საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი პროკურატურაში გამოცხადდა A2 | "თქვენი აფხაზეთი" A8 | ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 31 მარტი, 2004 წელი. №76 (625) | ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## რაზე შფოთავს "აღორძინება"

ცოტა ხნის წინათ, ელიზბარ ჯაველიძე და ანზორ აბრალავა ვერც კი წარმოიდგენდნენ, საკანონმდებლო ორგანოში მათი მოხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ თუ დადგებოდა. კარსმომდგარმა "საფრთხემ" აჭარის ლიდერის მეხოტბეთა ჩვეული თავდაჯერებულობა და მენტორული ტონი უკვალოდ გააქრო.

A3

### ეკონომიკა

## ნახვამდის, მომავალ ოქტომბრამდე

პირველი აპრილიდან "რაო ეეს როსიი" თბილსრესის მეცხრე ბლოკს გააჩერებს. ამის თაობაზე გუშინ განაცხადა "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკალაიუნასმა. ბლოკი მომავალ ზამთრამდე "დაისვენებს".

A4

### უცხოეთი

## უზბეკეთის დედაქალაქში ტერაქტების სერია გრძელდება

უზბეკეთში ტერაქტებმა მეტად საშიში და მრავალჯერადი ხასიათი მიიღო. სამშაბათს ტაშკენტში კვლავ ისმოდა აფეთქებებისა და სროლის ხმა. აფეთქებულია ავტომანქანა და მიკროავტობუსი. მიკროავტობუსი კაშხალის სიახლოვეს იდგა, მისი დანგრევის შემთხვევაში კი მთელ ქალაქს დატბორვა ემუქრებოდა.

A5

### საზოგადოება

## რისი ეშინიათ თბილისელ პედაგოგებს?

მიუხედავად იმისა, რომ მედიის საშუალებით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები ხშირად შუქდება, როგორც ჩანს, ეს საკმარისი მაინც არ არის. საზოგადოებაში გამუდმებით ისმის კითხვები, ვრცელდება ჭორები. ხშირ შემთხვევაში, ჭორი სრულიად არალოგიკური და საფუძველს მოკლებულია, თუმცა განათლების სამინისტროს მათზე პასუხის გაცემა, ალბათ, მაინც მოუწევს.

A6

### სამართალი

## დავით კირვალიძე არჩევანს დღეს გააკეთებს

სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს დავით კირვალიძეს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ორკვირიანი ვადა მისცა. თუმცა, ექსმინისტრმა პროკურატურის პირობის ერთი ნაწილი დღეს უნდა შეასრულოს - ბიუჯეტში 50 ათასი ლარი უნდა გადარიცხოს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | ☼ |
| ქუთაისი | 8 | წვიმა |
| ბათუმი | 8 | თოვლი |
| სოხუმი | 6 | თოვლი |
| ფოთი | 7 | თოვლი |
| თელავი | 8 | ☼ |
| ზუგდიდი | 8 | თოვლი |
| გორი | 5 | ღრუბელი |
| ახმეტა | 9 | ღრუბელი/მზე |
| ჭიათურა | 5 | წვიმა |
| გაგრა | 6 | თოვლი |
| სამტრედია | 7 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0050 |
| ევრო | 2.4455 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6509 |
| რუბლი | 0.0704 |

## აბუ არსანუკაევი:

# "ზვიადის ნეშტი ჩემი ხელით გადავასვენე"

საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავის ადგილმდებარეობა კვლავ გასაიდუმლოებულია

რუსლან უდუგოვი
ზაზა წულაძე

*იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეძლებს ლევილში ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე გაჟღერებული ინიციატივის შესრულებას, 9 აპრილს ჩეჩნეთიდან თბილისში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენებისა და შესაბამისი პატივით სამშობლოში დაკრძალვის თაობაზე, ეს ზვიად გამსახურდიას ნეშტის რიგით მეხუთე დაკრძალვა იქნება. პირველი პრეზიდენტი, რომელსაც დღეს 65 წელი შეუსრულდებოდა, გროზნოდან მეოთხედ საიდუმლოდ იქნა გადასვენებული და დღეს ზვიად გამსახურდიას საფლავის ადგილმდებარეობა*

გაგრძელება B1 გვერდზე



ზვიად გამსახურდია გროზნოში საპრეზიდენტო პატივით დაკრძალეს.

# შვიდპროცენტიანი ბარიერი "მემარჯვენე ოპოზიციამაც" დაძლია

აჭარის უმეტესი უბნების შედეგები კი გაუქმდება

*გუშინდელი მონაცემების თანახმად, "აღორძინების კავშირი" შვიდპროცენტიან საარჩევნო ბარიერს მიღმა რჩება. იმის მიუხედავად, რომ წინასწარი მონაცემებით, ასლან აბაშიძის პარტიამ მხოლოდ ექვსპროცენტიანი ბარიერი დაძლია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა კვლავ და კვლავ აცხადებს, რომ აჭარაში კენჭისყრისა და შედეგების შეჯამების პროცედურები სერიოზული დარღვევებით წარიმართა. ასე რომ, რეგიონის საკმაოდ ბევრი საარჩევნო უბნის შედეგებს გაუქმების რეალური საფრთხე ემუქრება. ხულოს საარჩევნო ოლქის მონაცემები კი მთლიანად გაბათილდება. ეს ნიშნავს, რომ საბოლოოდ, "აღორძინების" მიერ აღებული ხმები იმაზე გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე წინასწარი მონაცემებით იყო.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სამჯერ გამართა საგანგებო ბრიფინგი. თითოეულზე, წინასწარი შედეგების გამოქვეყნებასთან ერთად, განსაკუთრებული აქცენტი აჭარაში შექმნილ მდგომარეობაზე კეთდებოდა. **"ბევრი მადანაშაულებს, რომ არჩევნების დღეს აჭარის ხელმძღვანელობის მისამართით ზედმეტად მკვეთრი განცხადებები გავაკეთე, მაგრამ შემდგომმა დღეებმა დაადასტურა ჩემი სიტყვების სისწორე,"** - განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და საკუთარი პოზიცია კონკრეტული ფაქტებით გაამაგრა.

მისი თქმით, რეგიონის საოლქო საარჩევნო კომისიებში იმ საუბნო კომისიების თავმჯდომარეებს იბარებენ, სადაც "აღორძინებამ" დაბალი შედეგები აჩვენა. მეტიც -კომისიების ოპოზიციონერ წევრებს აშინებენ. **"მათ უმეტესობას საშუალება არ აქვს, რეგიონის საოლქო კომისიებში საჩივრები შეიტანოს და ამიტომ, ანგარიშს მათ მიერ აღმოჩენილ დარღვევებზე პირდაპირ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ. კომისიების წევრები, დამკვირვებლები და ამომრჩევლები ტერორში იმყოფებიან და ეს იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ კომისიები ობიექტურ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ. და კიდევ: ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აჭარიდან მოსული მონაცემების თანახმად, 28 მარტის არჩევნებში აჭარის ტერიტორიაზე 145 330-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, მაშინ, როცა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს რეგიონში 269 ათასზე მეტი ამომრჩეველი იყო. ეს ნათლად აჩვენებს, როგორი გაყალბებებით იმართებოდა აქამდე აჭარაში არჩევნები,"** - ასეთი კატეგორიული იყო ზურაბ ჭიაბერაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყირესმა ნავსი გატეხა და იმედი დაგვიბრუნა

რაზე ისაუბრეს ყორდანიამ და ბოსკამპმა?

**გერმანია (21 წლ.) - საქართველო 2:2**

**საქართველო:** *ლომაია, ქემოკლიძე, ხიზანეიშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, დარასელია, ნემსაძე, იაშვილი (ახალაია), ჯამარაული, სირაძე, აშვეთია (ალექსიძე).*
**გოლები:** *1:0 ჰანკე (11`), 1:1 ალექსიძე (55`), 2:1 ფოილნერი (68`), 2:2 ნემსაძე პენ. (79`)*

აკა ტონია

მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები იყო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა მწვრთნელის მაგივრად ფეხბურთის ფედერაციამ შეარჩია და მიუხედავად იმისა, რომ გერმანელ ახალგაზრდებთან თამაშს ზოგიერთი სათაკილოდაც კი მიიჩნევდა, გუშინდელი მატჩი უაღრესად საჭირო და სასარგებლო იყო ჩვენი ნაკრებისათვის.

ქართველი გულშემატკივარი მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში ელოდა ახალი მწვრთნელის დანიშვნას და ძალიან დასანანი იქნებოდა, ამ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გამართული პირველი მატჩისათვის ასევე უსასრულოდ რომ გვეცადა.

გაგრძელება B4 გვერდზე



გუშინ საქართველოს ნაკრებში ყირესის დებიუტი შედგა.

## ნატო რუსეთს უახლოვდება, რუსეთი - კავკასიას

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მოსკოვში გაკეთებული პირველი განცხადებებიდან ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება: იგი კმაყოფილია თბილი დახვედრით და რუს კოლეგებთან დღეიდან უშუალო, პირდაპირი კონტაქტები ექნება გაზეთებისა და ტელევიზიის დაუხმარებლადაც.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ხაზი გაუსვა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც, კერძოდ, თავდაცვის ახალდანიშნული მინისტრი პირველი ოფიციალური პირია, ვინც არჩევნების შემდეგ ჩამოვიდა მოსკოვში. ლავროვთან ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ, ქართული დელეგაცია, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის კოტე კემულარიასა და

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს პროკურატურა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის გადახდას სთხოვს

ხათუნა ჭანგირაშვილი

*გუშინ, დღის მეორე ნახევარში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უშიშროების სამინისტრომ თბილისის აეროპორტში რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბიზნესმენი მამუკა ჯინჭარაძე დააკავა, კარგა ხნის განმავლობაში დაუდასტურებელი იყო. გავრცელებული ხმებით, დაკავებული უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ტრანსპორტის პროკურატურაში გადაიყვანეს დასაკითხად. ტრანსპორტის პროკურატურაში ამ ინფორმაციას რამდენიმე საათის განმავლობაში არც ადასტურებდნენ და არც უარყოფდნენ. პირველი კომენტარები ჯინჭარაძის დაკავებასთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, მამუკა ჯინჭარაძე ტრანსპორტის პროკურატურაში მოწმის სტატუსით იკითხებოდა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## პუტინის ჩეჩნური ჩიხი

ანდრეი პიონტკოვსკი
*მოსკოვის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი*

1999 წლის შემოდგომაზე ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებამ, პრაქტიკულად, ყველასათვის უცნობი პოდპოლკოვნიკი ვლადიმირ პუტინი ქვეყნის პრეზიდენტად და ეროვნულ გმირად აქცია. ამომრჩევლებმა პუტინში დაინახეს ადამიანი, რომელიც რუსეთს ტერორიზმისგან დაიცავს და ყველაზე მწვავე პრობლემებს გადაჭრის.

ამ თვეში პუტინი მეორე ვადით აირჩიეს. მან არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ხელისუფლებაში მისი ყოფნის გახანგრძლივების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მას თავისი პოპულარობის ერთი მისხალიც კი არ დაუკარგავს, მაშინ, როდესაც მან ვერ შეასრულა თავისი დანაპირები, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტს დაასრულებდა. თუმცა, პუტინის პირველი პრეზიდენტობის დროს ჩეჩნეთის ომმა მოსკოვამდეც მიაღწია: ტერორისტული აქტების სერიამ, რომელშიც ჩეჩენ ექსტრემისტებს სდებენ ბრალს, ათობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 6 თებერვალს მოსკოვის მეტროში აფეთქების შედეგად 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# დამკვირვებლები პრეზიდენტს შთაბეჭდილებებს აცნობენ



იური იაროვი

28 მარტის საპარლამენტო არჩევნების გამო, პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, კმაყოფილება ორმა სტუმარმა გამოთქვა - დსთ-ს აღმასრულებელმა მდივანმა იური იაროვმა და საქართველოსა და ამიერკავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰაიკი ტალვიტიემ. ტალვიტიეს აზრით, საქართველომ არჩევნების თვალსაზრისით, დემოკრატიის მიმართულებით კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა. მიხეილ სააკაშვილთან სტუმარმა, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრა.

მოსკოვიდან წარმოგზავნილმა იაროვმა კი პრეზიდენტს 28 მარტის არჩევნების დროს ჩატარებული დაკვირვების შედეგების ხელმოწერილი ოქმი გადასცა. მისი თქმით, არჩევნებმა საკმაოდ ნორმალურ და მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. იაროვიც ჩავლილ არჩევნებს დემოკრატიასთან მიახლოებულ ნაბიჯად მიიჩნევს.

იური იაროვის განცხადებით, 16 აპრილს ყირგიზეთში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა არაფორმალური სამიტია დაგეგმილი და ეს იქნება ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი სექტემბერში, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დსთ-ს სახელმწიფოთა პრეზიდენტების შეხვედრისათვის.

*24 საათი*

# ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი აბაშიძის გარემოცვას შეთქმულებაში ადანაშაულებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე, აბაშიძის გარემოცვას ავტონომიის მეთაურის წინააღმდეგ შეთქმულებაში ადანაშაულებს. ბაკურიძის განცხადებით, აჭარაში 28 მარტის ხელახალი საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ არა აბაშიძის გარემოცვა, რომელთა შორის ბაკურიძე ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის, აჭარის უშიშროების მინისტრს და რიგ პარტიულ ლიდერებს მოიაზრებს. იგი პირადად იყო მოწმე, როგორ "კვებავდა" ეს ხალხი აბაშიძეს ყალბი ინფორმაციებით ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. მისი თქმით, იგი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ამგვარ დეზინფორმაციას და ჯერ კიდევ ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების და "ვარდების რევოლუციამდე" საჯაროდ აცხადებდა, რომ მალე გახდებოდნენ აბაშიძის წინააღმდეგ შეთქმულების მოწმენი. ბაკურიძის განცხადებით, სწორედ ამ გარემოცვის ყალბ ინფორმაციებზე დაყრდნობით ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება, რამაც საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ავტონომიის მეთაური ჯერ ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკურად გააკოტრეს და თუ მან ახლა მაინც არ გადადგა რადიკალური ნაბიჯები გარემოცვის იმ წევრების მიმართ, რომლებიც არარეალურ, თუმცა მათთვის სასურველ ინფორმაციას აწვდიდნენ, აბაშიძის პოლიტიკური ლიკვიდაცია გარდაუვალი იქნება, რისი პირველი ნიშნები - არჩევნების შედეგების სახით, უკვე გამოჩნდა. ამასთან, თბილისში მოღვაწე უუნარო პარტიული ლიდერები მეთაურის რეალური პროგრამის გატარებით კი არ იყვნენ დაკავებულნი, არამედ თბილისისგან მტრის ხატის შექმნით და ვითარების გამწვავებით, - ამბობს ბაკურიძე. **პრაიმ-ნიუსი**

# ვლადისლავ არძინბა ძალოვნების გაძლიერებაზე ფიქრობს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა, აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს ახალი ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებას არ გამორიცხავს და აფხაზეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებსა და მოსახლეობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისაკენ მოუწოდებს. არძინბას განცხადებით, საქართველოში 28 მარტისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ აჭარაში განვითარებულმა მოვლენებმა და აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის მისამართით საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებმა, აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაარწმუნა იმაში, რომ 90-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თბილისის მიერ დაშვებული შეცდომებისა და გატარებული პოლიტიკის წარუმატებლობის მიუხედავად, საქართველოს ახალ ხელისუფლებას სათანადო დასკვნები ჯერაც არ გაუკეთებია.

მისივე მტკიცებით, სოხუმში იმედოვნებდნენ, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი "აჭარასთან დაკავშირებით და აფხაზეთის მისამართით გაკეთებული განცხადებებისას მეტ გონიერებას გამოიჩენდა", მაგრამ "მის მიერ ბათუმის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად საქართველოს ახალი ხელისუფლება ძალის გამოყენებაზე უარს არ იტყვის". არძინბა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერების შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტას მოინდომებს. იგი შექმნილ ვითარებაში აფხაზური მხარისათვის ერთადერთ გამოსავლად აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას მიიჩნევს და აცხადებს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს და ფინანსებსაც არ დაიშურებს ბრძოლისუნარიანი აფხაზური ჯარის შესაქმნელად, რათა საქართველოს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, აფხაზეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას საფრთხე არ შეექმნას. **ინტერ-პრესი**

# აჭარაში რკინიგზის მაღალჩინოსნები დააპატიმრეს

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით ერთი კვირის წინათ აჭარის პროკურატურამ დააკავა აჭარის რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ვარშანიძე და დეპოს უფროსი გია ხუხუნაიშვილი. კულუარული ინფორმაციით, მათი დაკავების მიზეზი აჭარის რკინიგზაში ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილი ფინანსური დარღვევებია. შესაბამისი სტრუქტურები თავდაპირველად ამ ფაქტს არ ახმაურებდნენ, თუმცა მოგვიანებით იგი აჭარის სატრანსპორტო პროკურატურაში დაადასტურეს.

როგორც ოფიციალურად გაირკვა, ვარშანიძისა და ხუხუნაიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აჭარის სატრანსპორტო პროკურატურამ აღძრა. აჭარის ტრანსპორტის პროკურორი გოგი საყვარელიძე ადასტურებს, აჭარის რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის - ნუგზარ ვარშანიძის და ელდეპოს ხელმძღვანელის - გია ხუხუნაიშვილის დაკავების ფაქტს, თუმცა აცხადებს, რომ, ჯერჯერობით, ეს საქმე პროკურატურაში არ შესულა.

მისი თქმით, ამ პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აჭარის კონტროლის პალატის მასალების მიხედვით აღიძრა სატრანსპორტო პოლიციაში 218-ე მუხლით და მათ ბრალად ედებათ დიდი ოდენობით გადასახადების დაფარვა.

საყვარელიძის ინფორმაციით, ვარშანიძისა და ხუხუნაიშვილის ბრალეულობა თუ გამოიკვეთა, სისხლის სამართლის საქმე აჭარის სატრანსპორტო პროკურატურაში დაბრუნდება.

თუმცა, მოგვიანებით ნუგზარ ვარშანიძის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, ვარშანიძის დაკავებაზე სანქციის გაცემას საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი გეგმავდა, თუმცა აჭარის პროკურატურამ მხოლოდ იმ მიზეზით დაასწრო, რომ გენერალური პროკურატურის მიერ ვარშანიძის დაკავების შემთხვევაში შეიძლება სხვა პირებზე გასულიყვნენ.

ვარშანიძის ადვოკატი თემურ ცეცხლაძე გამორიცხავს ამ ვერსიას და აცხადებს, რომ იგი ამ საქმეში გუშინ ჩაერთო და დეტალებს კარგად არ იცნობს.

*ინტერ-პრესი*

# თურქული ტანკერი აუქციონზე გაიყიდება

თურქული ტანკერი "ემმა", რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა ნაოსნობის საერთაშორისო წესების დარღვევის ბრალდებით 2003 წლის შემოდგომაზე დააკავეს, შესაძლოა, 5 აპრილს გაიყიდოს. იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტმა გემის აუქციონი სწორედ ამ დღისთვის დანიშნა. მისი საწყისი ფასი 200 ათასი ლარი იქნება.

ტანკერი "ემმა" ქართულმა მხარემ 250 ათასი ლარით დააჯარიმა, თურქულმა მხარემ ეს გადაწყვეტილება ჯერ ფოთის საქალაქო, შემდეგ კი ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და ორივე პროცესი წააგო. მოგვიანებით ქუთაისის საოლქო სასამართლომ გენერალური პროკურორის მაშინდელი მოადგილის - ვენედი ბენიძის წერილის საფუძველზე გააუქმა თავისივე გადაწყვეტილება "ემმას" დაჯარიმების ძალაში დატოვების შესახებ.

2004 წლის იანვარში კი იუსტიციის სამინისტრომ არასწორად მიიჩნია ბენიძის წერილით გადაწყვეტილების შეცვლა და ქუთაისის საოლქო სასამართლომ (ახლა უკვე იუსტიციის სამინისტროს წერილის საფუძველზე) კვლავ აღადგინა თავისი გადაწყვეტილება გემის დაჯარიმების შესახებ. ტანკერი ამჟამად ფოთის პორტში დგას და აუქციონიც იქ გაიმართება.

*მედია-ნიუსი*

# პატიმრების რჩეული - დღევანდელი ხელისუფლებაა

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თბილისის ტერიტორიაზე არსებულ საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი საარჩევნო ხმის უფლების მქონე პატიმართა 67-მა პროცენტმა - 2025-მა პატიმარმა. მათი ხმები ასე გადანაწილდა: "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" - 1437 ხმა (70 პროცენტი), მემარჯვენე ოპოზიცია - 226 ხმა (1.1 პროცენტი), ლეიბორისტული პარტია - 119 ხმა (0.5 პროცენტი) დემოკრატიული აღორძინების კავშირი - 114 ხმა (0.5 პროცენტი), "ნაციონალისტები" - 28 (0.1 პროცენტი), სოციალისტური პარტია - 26 ხმა (0.1 პროცენტი), "ერთობა" - 23 ხმა (0.1 პროცენტი) ედპ-ტრადიციონალისტები - 17 ხმა, "თავისუფლება - კონსტანტინე ზ. გამსახურდია" - 14 ხმა, "მძლეველი" - 3 ხმა.

ყველას წინააღმდეგ ხმა მისცა 14-მა პატიმარმა.

ზუგდიდის, ბათუმისა და ქუთაისის საპყრობილეების ბინადართა ხმების ცალკე დათვლა შეუძლებელია, ვინაიდან მათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ჩვეულებრივი საარჩევნო უბნის გადასატანი ყუთის მეშვეობით.

*მედია-ნიუსი*

# ვაზიანის მორიგი ტრაგედია

ვაზიანის ყოფილ სამხედრო ბაზაზე 2001 წლიდან დღემდე მოსახლეობის ნაღმზე აფეთქების 18 შემთხვევა მოხდა.

გუშინ გარდაბანში, ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მორიგი აფეთქების ხმა გაისმა. ჯართის შეგროვებისას იქვე მცხოვრები, 24 წლის შალვა ბეგიაშვილი ნაღმზე აფეთქდა. მას რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორივე ხელის მტევნისა და კიდურების ამპუტაცია გაუკეთდა. ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაზარალებული შალვა ბეგიაშვილი ოჯახს ჯართის ჩაბარებით არჩენდა. ახლობლების განცხადებით, ამჟამად მის ოჯახს მკურნალობისთვის საჭირო სახსრები არ გააჩნია.

საქართველოში მოქმედი ანტინაღმური კოალიციის ორგანიზაციის ინფორმაციით, რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე (კერძოდ - საგარეჯოში) მხოლოდ მიმდინარე წელს ადგილობრივი მცხოვრებლების ნაღმზე აფეთქების ექვსი ფაქტი აღინიშნა, ახალციხეში კი - ერთი.

ყველა ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ არც ერთი მათგანი ლოგიკურ დასასრულამდე იმ მიზეზით არ მისულა, რომ რეალური დამნაშავე ვერ დგინდება.

*24 საათი*

# საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი პროკურატურაში გამოცხადდა

გუშინ ღამით გენერალურ პროკურატურაში საკუთარი სურვილით გამოცხადდა საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი იასე ზაუტაშვილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები ზაუტაშვილს გუშინ გვიან ღამემდე კითხავდნენ.

როგორც ცნობილია, გენერალურმა პროკურატურამ იასე ზაუტაშვილს "ძველი ცოდვები" რამდენიმე დღის წინ გაუხსენა და რადგანაც ბრალდებული პროკურატურაში არ გამოცხადდა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოსგან მისი დაპატიმრების ბრძანებაც აიღო და ძებნაც გამოაცხადა.

გენერალურმა პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდება წაუყენა ლევან ქისტაურს.

შეგახსენებთ, რომ აქციზური მარკების უკანონო გაცემის საქმესთან დაკავშირებით, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, ქისტაურის მსგავსად, წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს ლევან კალანდაძეს და აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილეს გიორგი ბეროზაშვილს. სწორედ ამავე საქმეზე ეჭვმიტანილად იყო ცნობილი და იძებნებოდა საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი იასე ზაუტაშვილი. დასახელებულ ყოფილ თანამდებობის პირებს გენერალური პროკურატურა აქციზური მარკების არაკანონიერად გაცემის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის 900 ათასი ლარით დაზარალებაში ადანაშაულებს. მათთვის წაყენებული ბრალდება - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მაქსიმუმ, ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ზარალი ბიუჯეტს აუნაზღაურდება, ოთხივე ბრალდებულს პატიმრობის სანქცია შეეცვლება.

გუშინ პროკურატურის თანამშრომლები კიდევ ერთი მოულოდნელობის მოწმენი გახდნენ. გენერალურმა პროკურორმა ყველასთვის მოულოდნელად საკადრო ცვლილებების განხორციელება იმით დაიწყო, რომ პროკურატურის სისტემაში მომუშავე ყველა თანამდებობის პირი კადრების განყოფილებაში გადაიყვანა. საკადრო ცვლილება არ შეხებია მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იმ გამომძიებლებს, რომლებიც გენპროკურორის საგამოძიებო ნაწილში მუშაობენ და ბოლო პერიოდში გახსნილ რეზონანსულ საქმეებს იძიებენ.

*24 საათი*

# მუქარა ჟურნალისტს

ბოლო ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობის პირებისგან კახეთის რეგიონში მასმედიაზე ზეწოლა გახშირდა. ამ რამდენიმე დღის წინ კი ვარდების რევოლუციის წყალობით ხელისუფლებაში მოსული ჩინოვნიკები რეგიონულ გაზეთ "სპექტრის" ლაგოდეხის ბიუროს კორესპონდენტს, მარინა გოგოლაძეს დაემუქრნენ. მიზეზი ამავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატია "ვინ შეჭამა პურკომბინატი" იყო. ჟურნალისტი საწარმოს გაკოტრებაში რაიონის საგადასახადო სამსახურის დოკუმენტაციის და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს ლაგოდეხში გურამ კაკალაშვილს ამხელდა. ბატონი გურამის მაგივრად კი ჟურნალისტს მისი ძმა დაემუქრა: ჭკუაზე მოდი, დღევანდელ სახელისუფლებო ბლოკს დაემორჩილე და ემსახურე, თორემ სადაც საჭიროა, იქ მიგაბრძანებთო. "სპექტრის" ჟურნალისტი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ, სხვა საკითხებთან ერთად, გენერალური პროკურატურა ლაგოდეხის პურკომბინატითაც არის დაკავებული. ამის შესახებ ინფორმაცია კი ჯერ არ გახმაურებულა. გურამ კაკალაშვილი ამ ფაქტს აბსურდულს უწოდებს, იგი მიიჩნევს, რომ მის მიმართ შავი პიარი გორდება.

ჟურნალისტმა საკუთარი უფლების დაცვის მიზნით განცხადება რაიონულ პროკურატურაში შეიტანა, პროკურატურამ კი საქმე რეაგირებისთვის პოლიციას გადასცა. რაც შეეხება კაკალაშვილს, იგი საპასუხო წერილის გამოქვეყნებას იმავე გაზეთში გეგმავს, სადაც მისი დანაშაულების მხილების შესახებ სტატია დაიბეჭდა.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# უშიშროების საბჭო მონოპოლისტების წინააღმდეგ

უშიშროების საბჭო ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერების ბიზნესით დაინტერესებულებს პირველ გაფრთხილებას აძლევს. საბჭოს ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის პავლე კუბლაშვილის განცხადებით, **"არსებობენ სერიოზული ბიზნესჯგუფები, ვისაც ამ სფეროში მონოპოლისტობის სურვილი აქვთ"**. უშიშროების საბჭოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, სფეროს მონოპოლიზების პროცესს წინ აღუდგეს. 1996-2003 წლებში, ეკოდიაგნოსტიკის სფერო მთლიანად მონოპოლიზებული ჰქონდა შპს "ეკოცენტრს". მოსალოდნელი კონკურენტები კი ბაზრიდან ხელოვნურად იდევნებოდნენ. ტექდათვალიერების თვალსაზრისით კი, მონოპოლისტების როლში უკვე შპს-ები "რუბიკონი" და "გოლსტ-9412" აღმოჩნდნენ. კუბლაშვილის თქმით, ხელისუფლების მიზანი ყველა მეწარმის თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებაა, მომსახურე ფირმების ავკარგიანობა კი თავად მომხმარებელმა უნდა შეაფასოს.

*24 საათი*

# ასლან აბაშიძემ, შესაძლოა, დაქირავებული ხალხი გამოაგზავნოს თბილისში

აჭარის ავტონომიის ხელისუფლების მიერ ბათუმში 30-მდე ავტობუსია მობილიზებული, რომ დაქირავებული ადამიანები თბილისში გამოაგზავნონ ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგის მოსაწყობად ან ლეიბორისტული პარტიის მხარდასაჭერად.

როგორც "გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარას" წარმომადგენელი თამაზ დიასამიძე ამბობს, ეს იქნება "ყველაზე უბადრუკი აქცია". დიასამიძის თქმით, უკვე ის ადამიანებიც დაიღალნენ, რომელთაც ავტონომიის მეთაური აბაშიძე ქირაობს აქციების მოსაწყობად და ის პირებიც, ვინც მათ ხელმძღვანელობს აქციებზე. ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას განცხადებით, ის არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აჭარის ხელისუფლება მათ მხარდასაჭერად ხალხს აგზავნის ბათუმიდან.

*პრაიმ-ნიუსი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №240

*2004 წლის 23 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო კომისიის შექმნის შესახებ.

1. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიის დამკვიდრებაში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას როლის წარმოჩენისა და მისი სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 2004 წლის 26 იანვარს ხელმოწერილ "ეროვნული თანხმობის დეკლარაციის" თანახმად, ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნას საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გურამ აბსანძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

ნემო ბურჭულაძე - საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი გაბაშვილი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი

მერაბ თავაძე - რეჟისორი, სამეფო თეატრის დირექტორი

ოთარ კობერიძე - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი

კახა ლომაია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

მუხრან მაჭავარიანი - პოეტი

როინ მეტრეველი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

გოგი ოჩიაური - მხატვარი-მოქანდაკე

2. კომისიამ განკარგულების გამოცემიდან სამ დღეში წარმოადგინოს საიუბილეო ღონისძიებების პროგრამა.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) კომისიის მიერ წარდგენილი პროგრამის შესაბამისად საიუბილეო ღონისძიებების დასაფინანსებლად მოამზადოს ხარჯთა ნუსხა.

4. ეთხოვოთ სსიპ საქტელერადიომაუწყებლობას (ზ. შენგელია) და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, რომ გააშუქონ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

*მიხეილ სააკაშვილი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტია ყველა ოპოზიციურ ძალას მათ მიერ შექმნილი ეროვნული წინააღმდეგობის ალტერნატიულ სახალხო პარლამენტში გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის გიორგი გუგავას თქმით, ჯერჯერობით, არსებობს მხოლოდ ასეთი პარლამენტის შექმნის იდეა და ამ ეტაპზე ოპოზიციურ პარტიებს მასში გაერთიანების სურვილი არ გამოუთქვამთ. მისი განმარტებით, "სახალხო პარლამენტი იქნება ორგანო, რომელიც ამჟამინდელი უკანონო პარლამენტის გადაწყვეტილებებს გააპროტესტებს". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარტია "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია გუშინ ბაზელში (შვეიცარია) გაემგზავრა, თუმცა იგი თბილისში ერთ კვირაში დაბრუნებას აპირებს. როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ სვიმონიშვილი აცხადებს, კონსტანტინე გამსახურდია ბაზელში ოჯახთან და ლექციების წასაკითხად ჩავიდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 65-ე წლისთავის აღსანიშნავად, დღეს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში (12 საათზე) პანაშვიდს გადაიხდის. პანაშვიდს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ბლოკი "ედპ-ტრადიციონალისტები", ლეიბორისტების მსგავსად, ალტერნატიული სახალხო პარლამენტის შექმნას არ აპირებს. ბლოკი, სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ფრონტის გაშლას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა გალის რაიონში მცხოვრებმა 1000-მდე ქართველმა ამომრჩეველმა მიიღო. მათმა უმეტესობამ არჩევნების დღეს ზუგდიდის საარჩევნო ოლქის რამდენიმე უბანზე მისვლა სამეგრელოს რეგიონის ხელმძღვანელთა მიერ გამოყოფილი ავტობუსით მოახერხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გუშინ ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრა. ვიზიტი რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ოფიციალური მოწვევით შედგება. გელა ბეჟუაშვილი და მისი რუსი კოლეგა ორი ქვეყნის სამხედრო უწყებებს შორის შემდგომი თანამშრომლობის და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლებში ქართველი ოფიცრების სტაჟირების საკითხებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან "ლეიბორისტული პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები შიმშილობის აქციას განაგრძობენ. ერთ-ერთი მოშიმშილის განცხადებით, აქცია მანამ არ შეწყდება, ვიდრე ცესკო რეალურ შედეგებს არ დააფიქსირებს და ობიექტურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთ მოშიმშილეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. არტერიული წნევის მომატების და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მაია ცატურიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში ოპოზიციამ შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია. ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას გაერთიანებული ოპოზიცია "ჩვენი აჭარის" ბათუმის საარჩევნო შტაბის უფროსი ელგუჯა მაკარიძე აკეთებს. მისი ინფორმაციით, ბათუმის ოლქში 41 541 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. აქედან "ნაციონალურ მოძრაობას" ხმა მისცა 23 681-მა, რომელიც მისული ამომრჩევლის 57 პროცენტს შეადგენს, "აღორძინებამ" 15 887 ხმა ანუ 28 პროცენტი, ხოლო სხვა პარტიებმა 1976 ხმა მიიღეს, რომელიც 5 პროცენტს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა სამხედროებმა გუშინ ამბოხებულები მოიგერიეს. ეს იმ სასწავლო წვრთნების დროს მოხდა, რომელსაც ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ბრიტანელი და ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები ერთობლივად ატარებენ. სამშვიდობო ოპერაციების ინსტრუქტორთა მომზადების კურსი ვაზიანის ბაზაზე 1 მარტს დაიწყო. წვრთნებში მე-11 ბრიგადის, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის, საჩხერის სამთო-მსროლელი ბატალიონის და სამშვიდობო ბატალიონის 47 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. წვრთნების დასრულების შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამშვიდობო ოპერაციების 47 სერთიფიცირებული ინსტრუქტორი ეყოლება, რომლებიც ერაყში გასაგზავნ პირველ ქართულ სამშვიდობო ბატალიონს კრწანისის სამხედრო პოლიგონზე მოამზადებენ. გუშინდელი სასწავლო წვრთნების სცენარით, იმ მეამბოხეების მოგერიება მოხდა, რომლებიც იძახდნენ "მიშა!", "მიშა!" და "ძირს ასლან აბაშიძე!" **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# შვიდპროცენტიანი ბარიერი "მემარჯვენე ოპოზიციამაც" დაძლია

პირველი გვერდიდან

ამასთან ერთად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ცალსახად აცხადებდა: რომ არა ის დარღვევები, რომელიც აჭარაში და ქვემო ქართლში იყო დაფიქსირებული, **"საქართველო არა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებულ, არამედ ამ სტანდარტებით გამართულ არჩევნებს მიიღებდა".**

**"ცესკო არ აპირებს იმ უსამართლობაზე თვალის დახუჭვას, რაც აჭარაში მოხდა და რაც აჭარის ხელისუფლების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. გაურკვეველია, აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს თუ არა იმის შეგრძნება, რა ხდება მთლიანად საქართველოში და რამდენად მაღალია ცენტრალური ხელისუფლებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოთხოვნები არჩევნების სამართლიანად გამართვისთვის,"** - აცხადებდა ზურაბ ჭიაბერაშვილი. იგი განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ქობულეთის გამგებლის ტარიელ ხალვაშის ქმედებების გამო, რომელიც კენჭისყრის დღეს და მოგვიანებით, შედეგების შეჯამების დროს, საარჩევნო პროცედურებში უხეშად ერეოდა.

ცესკო-ს თავმჯდომარეს ეჭვი ეპარება, რომ რეგიონის საოლქო საარჩევნო კომისიები ყველა უბნის შედეგებს გადაამოწმებენ. ამიტომაც, ზურაბ ჭიაბერაშვილი გადაწყვეტილებას იღებს, ცესკო-მ აჭარის ყველა უბნის მონაცემების სიზუსტე თავად შეისწავლოს.

ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, სერიოზული დარღვევები იყო გამოვლენილი ქვემო ქართლის რეგიონშიც, განსაკუთრებით - ბოლნისსა და გარდაბანში. აქედან გამომდინარე, რამდენიმე უბანზე არჩევნების შედეგები შეიძლება გაბათილდეს. ცესკო-ს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა ტყიბულიც. შესაძლოა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნები გამართულად არც ამ ოლქში ცნოს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*აჭარაში ჩატარებული არჩევნების მიმართ ჭიაბერაშვილი კატეგორიულად მკაცრია.*

რაც შეეხება არჩევნების შედეგების წინასწარ მონაცემებს. საღამოს ცხრა საათისთვის დათვლილი იყო მილიონ 485 986 ბიულეტენი. პარტიათა ხმები კი ასე გადანაწილდა: **"ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" - ხმათა 67, 02 პროცენტი, "მემარჯვენე ოპოზიცია - "მრეწველები" - "ახლები" - 7,6 პროცენტი, "აღორძინების კავშირი" - 6, 13 პროცენტი, "ლეიბორისტული პარტია" - 5,79 პროცენტი, პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" - 4, 19 პროცენტი, "ედპ - ტრადიციონალისტები" - 2, 55 პროცენტი, "ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" - 2, 37 პროცენტი.**

სხვა პარტიებმა და ბლოკებმა ერთპროცენტიანი ბარიერიც კი ვერ დაძლიეს.

# რაზე შფოთავს "აღორძინება"

*ნათქვამია, თავს ის კარგავს, ვისაც თავგზა ებნევა. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებმა კი ასლან აბაშიძის პოლიტიკურ საძმოში ბევრს დაუბნელა გონება. ეს უფრო იმათზე ითქმის, ვინც "აღორძინების" საარჩევნო სიის პირველ ათეულში იყო და თავი ქუდში (პარლამენტში) ეგონა. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ, ელიზბარ ჯაველიძე და ანზორ აბრალავა ვერც კი წარმოიდგენდნენ, საკანონმდებლო ორგანოში მათი მოხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ თუ დადგებოდა. კარსმომდგარმა "საფრთხემ" აჭარის ლიდერის მეხოტბეთა ჩვეული თავდაჯერებულობა და მენტორული ტონი უკვალოდ გააქრო. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჯაველიძე და აბრალავა მოღუშულები ისხდნენ და ელდანაკრავებივით გამოიყურებოდნენ.*

გიორგი ასანიშვილი

გონების დაბნელება შემთხვევით არ გვიხსენებია: გუშინ ელიზბარ ჯაველიძემ ერთი წუთის განმავლობაში ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა.

**"ამ ხნის კაცი არჩევნების ასეთ გაყალბებას ვერ ვიხსენებ. გამაოგნებელია, როდესაც ამბობენ, რომ საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად და ევროპულად ჩატარდა,"** - აღშფოთებას ვერ მალავდა "აღორძინების" სიის მეორე ნომერი. თუ მისი ნათქვამი სიმართლეა და არჩევნები, მართლაც, "ტოტალურად გაყალბდა", მაშინ გაუგებარია, რატომ არის ჯაველიძე შეშფოთებული ცესკო-ს თავმჯდომარის განცხადებით, რომ გაყალბებულ შედეგებს გააუქმებს?..

ალბათ, კიდევ უფრო მეტად დაიბნევით, როდესაც შეიტყობთ, რომ არჩევნების შედეგების "ფალსიფიცირებით" შეწუხებული ჯაველიძე იზიარებს საერთაშორისო დამკვირვებლების მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ არჩევნები აჭარაში... დემოკრატიულად ჩატარდა.

ელიზბარ ჯაველიძის თქმით, ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარაში შეიარაღებული შეჭრაც განუზრახავს. "აგრესიის" აღსაკვეთად, ნომერი მეორე "ამღორძინებელი" მზად არის, ხელში იარაღი აიღოს და ჩოლოქთან დადგეს. ჯაველიძისა და აბრალავასთვის, თურმე, აჭარის ოკუპაციის გეგმის დეტალებიც კი ცნობილია. მათი მონაყოლიდან "დგინდება", რომ ჩაფიქრებულია ბათუმში დესანტის გადასხმა, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის რეზიდენციის აღება და აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობის გამოცხადება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ესეც სიმართლეა და ასლან აბაშიძეს საფრთხე ზღვიდან და ჰაერიდან ემუქრება. მაშინ გაუგებარი ის არის, რა უნდა გააკეთოს ჩოლოქის გამშვებ პუნქტთან ავტომატით



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*აბრალავა და ჭაველიძე შეშფოთებულები არიან.*

მდგარმა ელიზბარ ჯაველიძემ...

**"გუშინ აჭარის თავზე ოთხი ვერტმფრენი დაფრინავდა",** - ამ არგუმენტის მოსმენის შემდეგ ძნელია, აჭარის მიმართ თბილისის აგრესიულ ზრახვებში ეჭვი შეგეპაროს.

ამიტომაც არის, რომ განსაცდელის წინაშე მდგარი რეგიონისთვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ანზორ აბრალავა მოუწოდებს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებს, ნუ აიღებენ იარაღს და უარი თქვან ცენტრალური ხელისუფლების დანაშაულებრივი ბრძანებების შესრულებაზე.

მთელი ამ ფანტასმაგორიის უკან ჯაველიძე-აბრალავას ტანდემის "კერძო ინტერესები" იკითხება - მომავალი პარლამენტი საკუთარი პერსონების გარეშე ვერ წარმოუდგენიათ.

**"როგორ თუ "აღორძინება" შვიდპროცენტიან ზღვარს ვერ გადალახავს, საქართველოს პარლამენტში აჭარას თავისი წარმომადგენლები არ უნდა ჰყავდეს?"** - გაოცებით კითხულობს ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ დავით ბერძენიშვილი, კობა ხაბაზი და სხვები ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებს ისე ვერ დაიცავენ, როგორც ამას "აღორძინების" წარმომადგენლები შეძლებენ.

კიდევ უფრო შორს მიდის ანზორ აბრალავა. მას დავით ბერძენიშვილის მიერ გაკეთებული ის განცხადებაც აშფოთებს, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე მიღებული იქნება გადაწყვეტილებები აჭარასა და ცენტრს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ. შეშფოთდება კი ბუნებრივია - ერთიან საკანონმდებლო სივრცეში აჭარის მოქცევა შეუქცევადია, ეს კი ნიშნავს, რომ ასლან აბაშიძესა და მის "მოციქულებს" მომავალში დალხინებული ცხოვრება აღარ ექნებათ.

# ნატო რუსეთს უახლოვდება, რუსეთი - კავკასიას

პირველი გვერდიდან

სხვა ოფიციალური პირების თანხლებით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გაეშურა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა ჩვენს დელეგაციას დუმის პირველ სართულზე მდებარე დიდ დარბაზში შეხვდა, სადაც პარლამენტარებთან ერთად გენერლის ფორმაში გამოწყობილი ცნობილი რუსი ექსპერტებიც იყვნენ შეგროვილნი. დარბაზიდან ადრე გამოსულმა დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კონსტანტინე ზატულინმა ჩვენთან საუბარში არ დამალა, რომ "ქართველ-ამერიკელი მინისტრის" მოსკოვში ვიზიტი ადგილობრივ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში დისკომფორტს არ შექმნის. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნატო-ში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაწევრიანების ფონზე, როცა რუსეთს სამხედრო თვალსაზრისით ავიწროებენ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოში საკუთარ სამხედრო ბაზებს არ გააუქმებს. **"სააკაშვილი მინიმუმ ორი საპრეზიდენტო ვადით ქვეყნის სათავეში იქნება, ზუსტად ამდენივე ხანი ჩვენი ბაზები იქ დარჩებიან,"** -ამბობს ზატულინი.



*გელა ბეჟუაშვილი მოხარულია, რომ რუს კოლეგებთან ურთიერთობა პრესის შუამავლობის გარეშე ექნება.*

ქართველ მინისტრსა და რუსეთის პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ზავარზინს ბაზებზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. გენერალი ზავარზინი ამტკიცებს, რომ სამხედრო ბაზების საკითხი ბეჟუაშვილთან შეხვედრაზე არც წამოჭრილა. სამაგიეროდ რუსი პარლამენტარები ჟურნალისტებს არწმუნებდნენ, რომ ისინი აქტიურად ჩაერევიან ახალი ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიკაციის მომზადებაში.

მოსკოვში ნატო-ს ახალი წევრების მიღებით გამოწვეული აღშფოთების მიუხედავად, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეები აქტიურად ესაუბრებიან ქართველ კოლეგებს. ამ მეტად მნიშვნელოვანი დიალოგის დეტალები პრესისა და საზოგადოებისათვის, ჯერჯერობით, უცნობი რჩება. ბეჟუაშვილის მოსკოვში პირველი ვიზიტის ფორმალურ მიზეზად ძველებურად რჩება რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში ქართველი ოფიცრების მომზადების საკითხების შეთანხმება. მთავარი მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრისას გაიმართება.

# "აზოტში" სამეთვალყურეო საბჭო შეიცვალა

გუშინ სააქციო საზოგადოება "აზოტის" აქციონერთა კრება გაიმართა, სადაც საწარმოს ახალი სამეთვალყურეო საბჭო აირჩიეს. საბჭოს თავმჯდომარის პოსტი და, შესაბამისად, ქარხანა ცოტა ხნის წინ დატოვა ყოფილმა დირექტორმა გოგი გოგოლაძემ, რომელიც "იტერას" "აზოტში" შესვლის ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ხელისშემწყობი იყო.

ექვსკაციან სამეთვალყურეო საბჭოში "იტერამ", როგორც აქციათა პაკეტის 90 პროცენტის განმკარგველმა, ხუთი კაცი შეიყვანა: დავით ელოშვილი, ვლადიმერ ევდოკიმოვი, რომან იაკოვენკო, ალექსანდრე ლუჟანსკი და დიმიტრი კაზაჩკინი. დავით ელოშვილი "იტერას" ქართულ წარმომადგენლობაში თამაზ პატარიძის მოადგილედ მუშაობდა, დანარჩენები კი "იტერას" სხვადსხვა განყოფილებების დირექტორები არიან.

რუსთაველებისათვის ყველაზე მოულოდნელი და სკანდალური სამეთვალყურეო საბჭოს მეექვსე წევრად რუსთავის ვიცე-მერის ლევან დუგლაძის არჩევა იყო. როგორც "აზოტში" აცხადებენ, "იტერამ" გამოიჩინა კეთილი ნება და აქციათა 10 პროცენტის მფლობელ ქართულ მხარეს თავისი წარმომადგენლის საბჭოში ყოლის საშუალება მისცა. თავად დუგლაძე, ჯერჯერობით, კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებს, თუმცა არ უარყოფს, რომ მას ერთ კვირაში თანამდებობის დატოვება მოუწევს. ეს მაშინ მოხდება, როცა სასამართლო "აზოტის" აქციონერთა კრების არჩევანს რეგისტრაციაში გაატარებს.

გუშინვე კრებამ "აზოტის" ახალი სამეთვალყურეო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დავით ელოშვილი აირჩია.

- მართალია, "იტერას" კაცია, მაგრამ ქართველი ხომ მაინც არის?! - ასე იმშვიდებდნენ თავს სასიკეთო ცვლილებების მოლოდინში აზოტელები.

"24 საათის" ინფორმაციით, შესაძლოა, "აზოტის" რეაბილიტაციის პროცესი დროზე ადრე, სულ რამდენიმე თვეში შეწყდეს. როგორც ამბობენ, "იტერა" თანახმაა ქარხნის კრედიტორული ვალდებულების გადახდა თავის თავზე აიღოს. დღეს "აზოტში" უჭირთ იმის თქმა, თუ რამდენ მილიონ ლარს შეადგენს ამჟამად საწარმოს კრედიტორული დავალიანება, რადგან უკვე კარგა ხანია ეჭვქვეშ დადგა მათი დიდი ნაწილის წარმოშობის კანონიერება. "იტერა" თავიდანვე დაინტერესებული იყო ამ საქმის გამოძიებით და საქართველოს ხელისუფლებას დახმარებასაც სთხოვდა. თუ "აზოტში" განვითარებულ მოვლენებსა და რუსთავში ვიზიტის დროს "იტერასადმი" ზურაბ ჟვანიას ხაზგასმულ კეთილგანწყობას გავითვალისწინებთ, რუსმა ინვესტორმა და საქართველოს ხელისუფლებამ საერთო ენა უკვე გამოძებნეს.

ჩვენი ინფორმაციით, დღეს პროკურატურის გამომძიებელთა ჯგუფი "აზოტში" შესვლას აპირებს. პროკურატურა ქარხანაში "იტერას" ყოფნის პერიოდს არ შეეხება. ის სწორედ იმ წლების გამოკვლევით არის დაინტერესებული, როცა რუსთავის ქიმიურმა ქარხანამ რეკორდული სისწრაფით დააგროვა ლამის 100 მილიონი ლარის ვალდებულებები და გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა.

# კახეთის გუბერნატორის მოადგილე დააკავეს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთის რეგიონში კორუმპირებული ჩინოვნიკების დაჭერა-დაპატიმრებები გრძელდება. ამჯერად სამართალდამცავების სამიზნე კახეთის გუბერნატორის, ბიძინა სონღულაშვილის ყოფილი მოადგილე, თავის დროზე კი დედოფლისწყაროს ყოფილი გამგებელი თემურ ლომაშვილი ხდება. მას ბრალად რაიონის პროკურატურამ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წაუყენა. საქმე ეხება 1995 წელს სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების უკანონოდ გაცემას. **"ამ ფაქტის შესახებ მასალების მოკვლევა მას შემდეგ დავიწყეთ, როცა სოფელ ზემო მაჩხაანის მოსახლეობა განცხადებით შემოვიდა პროკურატურაში და მოითხოვდნენ სახნავი ნაკვეთების გაცემის გადამოწმებას,"** - გვითხრა პროკურორის თანაშემწემ იოსებ ქადაგიშვილმა. მისივე თქმით, გაცემული მიწების რაოდენობა ასობით ჰექტარს აღემატებოდა. **"მიწების დარიგება ყოველთვის კანონდარღვევით ხდებოდა. ეს მაშინ, როცა სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების განაწილება კონკურსის სახით უნდა მომხდარიყო,"** -აცხადებს ქადაგიშვილი.

სოფელ მაჩხაანის მოსახლეობა კი ყოფილ გამგებელს სხვა ბრალდებებსაც უყენებს. ამის შესახებ კი პროკურატურაში კომენტარისგან თავს იკავებენ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვა ნაცნობი სახეების დაპატიმრებაც მოხდეს.

თემურ ლომაშვილის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ძიებას რაიონული პროკურატურა აწარმოებს. დღეს კი, რაიონული სასამართლო ლომაშვილისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას განიხილავს.

# ნახვამდის, მომავალ ოქტომბრამდე

"რაო ეეს როსიიმ" პირველი აპრილიდან მეცხრე ბლოკის დასვენება გადაწყვიტა

მაია ურუშაძე

პირველი აპრილიდან "რაო ეეს როსიი" თბილსრესის მეცხრე ბლოკს გააჩერებს. ამის თაობაზე გუშინ განაცხადა "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკალაიუნასმა. ბლოკი მომავალ ზამთრამდე "დაისვენებს". მანამდე კი, ენერგოსისტემა ქვეყანას დენით ადგილობრივი გენერაციისა და იმპორტის ხარჯზე მოამარაგებს.

წესით, საქართველოს ენერგოსისტემა დეფიციტს თბოენერგიით აპრილის შუა რიცხვებამდე უნდა ივსებდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში,"რაო ეეს როსიის" გადაწყვეტილება საბითუმო ბაზრის მხრიდან ბლოკის მიმართ არსებულმა დავალიანებამ დააჩქარა. როგორც "თელასში" აცხადებენ, საბითუმო ბაზარს მეცხრე ენერგობლოკის ოპერატორის - "მტკვარის" მიმართ 50 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა. "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, **"2003-2004 წლის მანძილზე მე-9 ენერგობლოკმა 43,37 მილიონი ლარის ღირებულების ელექტროენერგია აწარმოა, საიდანაც ერთი მესამედი - "თელასს", ხოლო ორი მესამედი კი საბითუმო ბაზარს მიაწოდა. მიუხედავად ამისა, ბლოკის ხარჯების (ბუნებრივი აირის შესყიდვა და ტრანსპორტირება) ძირითადი ნაწილის დაფარვა მაინც კომპანია "თელასს" მოუხდა. საერთო ჯამში, "თელასმა" 2003-2004 წლებში თბოსადგურის მიერ მოხმარებული 212 მილიონი კუბური მეტრი გაზის საფასურის (31,2 მლნ ლარი) 95 პროცენტი დაფარა."** საქართველოს მთავრობასთან ჯერ კიდევ "ეი-ი-ეს"-ის მიერ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად კი, კომპანიას უფლება აქვს ბლოკი გააჩეროს, როგორც კი ბლოკის მიმართ დავალიანება 30 მილიონ ლარს გადააჭარბებს. **"ამიტომ ჩვენ ბლოკის გაჩერება უფრო ადრეც შეგვეძლო, მაგრამ გავითვალისწინეთ მძიმე ენერგოკრიზისი და ეს არ გავაკეთეთ,"** - აცხადებს მიკალაიუნასი.


ვახო ბასილაიას ფოტო
"თელასი" მომავალი ზამთრისთვის უნდა მოემზადოს.

აპრილიდან ოქტომბრამდე "რაო" ბლოკს მომავალი ზამთრისთვის მოამზადებს. ამ მომზადებისთვის კი თანხებია დასახარჯი, ამიტომ დანგირას მიკალაიუნასი საზოგადოებას ახლავე ამზადებს: **"თუ ბაზარმა დავალიანება დროულად არ გაგვისტუმრა, მომავალი ზამთრის პერიოდში ბლოკის მუშაობას პრობლემები შეექმნება,"** - აცხადებს ის.

გასულ წელს "რაომ" ბლოკი 21 ოქტომბერს ჩართო. "თელასში" ბლოკის მუშაობით კმაყოფილები არიან და ამაყად აღნიშნავენ, რომ **"მიმდინარე სეზონზე, 5 თვის მანძილზე, თბოსადგურის მიერ ნაჩვენები ყველა პარამეტრი გასულ წლებში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე საგრძნობლად გაუმჯობესებულია."**

გაუმჯობესებაში ის იგულისხმება, რომ ბლოკმა ნოემბერ-მარტის პერიოდში 730 მილიონი კილოვატსაათი დენი გამოიმუშავა (შარშანდელზე ორჯერ მეტი), საიდანაც რეკორდულად დიდი ოდენობის ენერგია - 260 მილიონი კილოვატსაათი - სადგურმა ენერგოსისტემას ნოემბერში მიაწოდა. ამასთან, ამ პერიოდში ბლოკის მუშაობა მხოლოდ ექვსჯერ შეფერხდა და აქედან სამჯერ გარეშე მიზეზით - ენერგოსისტემაში მომხდარი სისტემური ავარიის გამო.

მომავალი წლის ზამთრის სეზონისთვის "თელასი" ენერგობლოკზე 4 მილიონ 250 ათასი ლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. შედეგად, კომპანიას თბოსადგურის ბლოკის მაჩვენებლების საგრძნობლად გაუმჯობესების იმედი აქვს. კერძოდ, "თელასი" ენერგობლოკის გამომუშავების საშუალო სიმძლავრის გაზრდას 235 მეგავატამდე ვარაუდობს, რის შედეგადაც ბლოკმა, ჯამში, 967 მილიონი კილოვატსაათი დენი უნდა გამოიმუშაოს.

## მოკლედ

### ახალციხის რაიონში ენერგოკრიზისია

დიდთოვლობამ და გადაულებელმა წვიმებმა ახალციხის რაიონში ენერგოკრიზისი გამოიწვია. ავარიულ მდგომარეობაშია ქვესადგურიდან გამომავალი ფიდერები. ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილი აქვს ყველა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტსაც. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ახალციხის სამმართველოს უფროსის მამუკა დონდუას განცხადებით, მოძველებული ქსელები გახშირებულ დაზიანებებს იწვევს და სასწრაფოდ უნდა მოხდეს მათი რეაბილიტაცია. ამისათვის საჭირო თანხები კი "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" უნდა გაიღოს. დონდუას ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაზიანებული ფიდერების აღდგენა, რათა დღეისათვის მაინც მოესწროს სასიცოცხლო ობიექტებზე ელექტროენერგიის მიწოდება. რამოდენიმე დღეში მთელ რაიონში აღდგება ელექტროენერგია, თუ, რა თქმა უნდა, კვლავ არ აირია ამინდი, რისიც ენერგოკომპანიაში ძალიან ეშინიათ. **ინტერ-პრესი**

### "ბრითიშ ეარვეისი" საქართველოსთან ურთიერთობას წყვეტს

დღეს ბრიტანეთის ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეისი" საქართველოსთან ურთიერთობას ოფიციალურად შეწყვეტს. 31 დეკემბერს "ბრითიშ ეარვეისის" თბილისის ოფისი ოფიციალურად დაიხურება. ამის მიზეზად ავიაკომპანიაში საქართველოს სამოქალაქო ავიაციასთან შექმნილ პრობლემებს ასახელებენ. "მიუხედავად საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მცდელობისა, სამოქალაქო ავიაციამ ჩვენს კომპანიას ფრენის საშუალება არ მისცა, რის გამოც ჩვენ საქართველოს ბაზარს ვტოვებთ," - აღნიშნავენ ავიაკომპანიაში. ბრიტანეთის ავიაკომპანიის მიერ საქართველოს დატოვების ფაქტს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია უარყოფითად აფასებს და იმედს გამოთქვამს, რომ ბრიტანეთის ავიაკომპანია ურთიერთობას სამოქალაქო ავიაციასთან უახლოეს მომავალში მოაგვარებს და, სავარაუდოდ, შემოდგომით ფრენებს განაახლებს. **ინტერ-პრესი**

### საგადასახადო ინსპექციებმა საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა ვერ შეასრულეს

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, შვიდი რაიონული საგადასახადო ინსპექციის საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება კვარტლის დაგეგმილ პარამეტრს. იანვარ-მარტში დაგეგმილი პარამეტრის შესრულება ვერ შეძლეს: დედოფლისწყაროს საგადასახადო ინსპექცია - 79,7 პროცენტი, ხარაგაულის საგადასახადო ინსპექცია - 73,6 პროცენტი, ქარელის საგადასახადო ინსპექცია - 76,5 პროცენტი, დმანისის საგადასახადო ინსპექცია - 67,5 პროცენტი და ახალქალაქის საგადასახადო ინსპექცია - 78,4 პროცენტი, ბათუმის საგადასახადო ინსპექცია - 67 პროცენტი, ქობულეთის საგადასახადო ინსპექცია - 69,4 პროცენტი.

ასევე ოფიციალური ინფორმაციით, 18 რაიონის საგადასახადო ინსპექციებმა იანვარ-მარტში დაგეგმილ პარამეტრს გადააჭარბეს. სავარაუდოდ, გეგმის შეუსრულებლობის გამო რამდენიმე დღეში აღნიშნული შვიდი რაიონული საგადასახადო ინსპექციის მუშაობასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრი შესაბამის ზომებს მიიღებს. არ არის გამორიცხული, ინსპექციების ხელმძღვანელების თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხიც დადგეს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა 22-27 მარტის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან 37,698 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯი დააფინანსა. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლების დასაფინანსებლად ხაზინამ ბიუჯეტის შემოსავლებიდან 28,294 მილიონი ლარი გამოყო. მათ შორისაა საგარეო ვალების მომსახურება - 4,157 მილიონი ლარი, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება - 1,479 მილიონი ლარი, საბიუჯეტო ორგანიზაციების მარტის თვის ხელფასების დაფინანსება - 18,264 მილიონი ლარი და სხვა. ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები ხაზინამ ამ პერიოდში 7,543 მილიონი ლარით დააფინანსა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევრობანკის დახმარებით წელს, აპრილ-მაისში, ბორჯომში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კოორდინატორებისთვის სემინარ-ტრენინგები მოეწყობა. აქ 80 რეგიონული სტრუქტურის წარმომადგენელთა მომზადება სამ ნაკადად მოხდება. ამ სისტემით უკვე გადამზადდნენ ცენტრალური უწყებების შესყიდვების კოორდინატორები. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით ყოველწლიურად 150 მილიონ ლარამდე სახელმწიფო შესყიდვა ფინანსდება. თუმცა, სააგენტო ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვების მხოლოდ 62%-ის თაობაზე იღებს ინფორმაციას, რომელთა შორის უმეტესი ხარვეზებით ხასიათდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე გუშინ რიგით 25-ე ვაჭრობა გაიმართა, სადაც 6 397 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. სავაჭროდ წარდგენილი 6 კომპანიის აქციებიდან გარიგება ექვსივეს აქციებზე დაიდო. გარიგება ასევე დაიდო თბილისის "ამწეს", თბილისის N4 პურის ქარხნის, "ივეროტექსის", "ლინოს", "ტრანსმშენის" და უნივერმაღ "თბილისის" აქციებზე. გარიგებების ჯამურმა მოცულობამ 33 069 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ღირებულებამ კი 6 397.50 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების საბჭოს ინფორმაციით, გარკვეული ჯგუფები ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების პროცესი და ამ სფეროს მონოპოლიზება გაუკეთონ. როგორც უშიშროების საბჭოს ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსმა პავლე კუბლაშვილმა გუშინ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, 1996-2003 წლებში ავტომობილების ტექდათვალიერება მონოპოლიზირებული ჰქონდა "ავტო-ეკო ცენტრს". მისი თქმით, ახლა ბაზარზე გამოჩნდებიან შპს "რუბიკონი" და "გოსტი". კუბლაშვილის თქმით, ხელისუფლების მიზანია, რომ ყველა მეწარმე აღმოჩნდეს თანაბარ მდგომარეობაში, მათი ავკარგიანობა კი მომხმარებელმა გადაწყვიტოს. **ინტერ-პრესი**


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**2 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

ალმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), თამარ მეფის გამზირის(ნაწილობრივ), თევდორე მღვდლის, აგლაძის, ცაბაძის, დიდუბის, ევდოშვილის, ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, ფოცხვერაშვილის, გოგოლის, კლდიაშვილის, კონსტიტუციის, ნინოშვილის, აფხაზეთის, ჩიტაიას, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), გროზნოს, კაპანაძის, მამრაძის, მეუნარგიას, პალიასტომის, ქინქლაძის, ქურდიანის, სარკინეთის, თეთნულდის, ვეშაპურის, ზაზიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.



## კონსულტანტი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დარგში

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, ბრითიშ პეტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) დარგში კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს ბრითიშ პტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო HSE კონსულტანტი გარემო ანგარიშვალდებული იქნება უსაფრთხოების უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

HSE კონსულტანტი უზრუნველყოფს კონსულტაციებს და მხარდაჭერას სამუშაო ძალებისთვის, რათა მათ გამოიყენონ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკა, როგორებიცაა "ბრითიშ პეტროლეუმის უსაფრთხოების ოქროს წესები" და "მუშაობის უსაფრთხო სისტემები". ახდენს ყველა ობიექტის საქმიანობის მონიტორინგს და კონსულტაციას უწევს ზედამხედველებს, როდესაც ადგილი აქვს უსაფრთხოების კარგი პრაქტიკის დარღვევის შემთხვევებს.

**როლები და პასუხისმგებლობები**

ძირითადად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

**წინასაექსპლუატაციო ეტაპზე**:

- დაესწროს საგეგმო შეხვედრებს და საუბრებს, სამუშაოს დაწყებამდე, რათა მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებების რისკის შეფასებაში და განისაზღვროს ყველა საფრთხე და მიღებულ იქნას სათანადო ზომები რისკის შემცირებისთვის.
- განახორციელოს მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკის, სახელდობრ, უსაფრთხოებიოს სავალდებულო ოქროს წესების დარღვევის შემთხვევების განსაზღვრაში
- კონსულტაციები გაუწიოს სამუშაო ძალებს, გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებასა (ASA) და უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამაში (STOP) მონაწილეობის მისაღებად, რათა განვითარდეს უსაფრთხოების დაცვის კულტურა.
- წეროს ანგარიშები, გააანალიზოს ASA-ს და STOP-ის ბარათები, რათა დაეხმაროს ზედამხედველებს უსაფრთხოების სწორი ქმედებების ხელშეწყობისა და საჭიროებისამებრ მაკორექტირებელი ქმედებების მხარდაჭერის საქმეში.
- ჩაატაროს გაზის ტესტები, როგორც ამას სამუშაოს ნებართვის პროცედურები მოითხოვს (PTW)
- განახორციელოს სამუშაოს ნებართვის პროცედურების (PTW) ეფექტიანობისა და სწორად გამოყენების მონიტორინგი.
- განახორციელოს სამუშაო ძალების ტრენინგის საპასპორტო სისტემის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ ჩაუტარდებათ შეთანხმებული და მათი სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები
- გაუწიოს დახმარება ინციდენტებისა და დაძაბული სიტუაციების გამოკვლევისას
- განახორციელოს უსაფრთხო მგზავრობისა და მოგზაურობის მენეჯმენტის გეგმის პროგრამის მონიტორინგი
- გაუწიოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კონსულტანტებს დახმარება, ატმოსფეროსა და მიწაზე გამოტყორცნების მონიტორინგის საქმეში და კონსულტაციები გაწიოს ობიექტების ზედამხედველებს, როდესაც მუშაობის პარამეტრები მიუღებელია.
- საწიროებისამებრ დახმარება გაწიოს ობიექტის ზედამხედველს დაღვრილი ნავთობის დასუფთავების საქმეში
- მონაწილკეობა მიიღოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩატარებულ ინსპექციებში, რათა განამტკიცოს დანადგარებისა და ოპერატორების მზადყოფნის საიმედოობა.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**


## სოფლის მეურნეობის საქმიანობა სამგორის მეფრინველეობის მეურნეობაში

გარდაბნის რაიონის სამგორის მეფრინველეობის მეურნეობაში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განხორციელება 2003 წლის ივნისში დაიწყო. ბი-პისა და მისი პარტნიორების მიერ შექმნილი და დაფინანსებული ამ პროგრამის მეშვეობით და მერსი ქორისა და მისი პარტნიორების დახმარებით შესაძლებელი გახდა სოფელში გაზის სისტემის რეაბილიტაცია და ამჟამად ბუნებრივი აირის მთელს მოსახლეობას მიეწოდება.



გარდა სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, 2003 წლის ნოემბრიდან სოფელი ჩაერთო საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის სოფლის მეურნეობისა და ენერგოეფექტუროსბის კომპონენტში, რომელსაც პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია "ელკანა" კურირებს. სოფელთან ერთად დაიგეგმა ორი მოდელის განხორციელება - ეკონომიური ენერგოეფექტური შეშის ღუმლებისა და და ხბორები შეძენა მოსახლეობისათვის. 49 ოჯახს უკვე დაურიგდა შესაბამისი რაოდენობის ღუმელი, რომელიც ცოტა შეშას საჭიროებს და დიდხანს ინარჩუნებს სითბოს, ასევე ხელსაყრელია საკვების მომზადებისათვის და 20-30 წლის განმავლობაში მუშაობს. შვიდი მსგავსი ღუმელი იყო შეძენილი საშუალო სკოლისათვის, ხოლო ერთიც ამბულატორიისათვის. შედეგად შემცირდება ხე-ტყის გაჩეხვა, რაც ძალიან გააუმჯობესებს გარემოსდაცვით სიტუაციას.

მაისის თვიდან დაიწყება მეორე მოდელის განხორციელება - დანარჩენი 59 ოჯახისათვის სოფელი თვითონ იყიდის მოზარდ საქონელს, რომელსაც ოჯახები გაზრდიან, პროექტის ვალდებულების მიხედვით სულ მცირე 6 თვე შეინახავენ, ხოლო შემდეგ გამოიყენებენ სანაშენედ ან სახორცედ.

ელკანას დახმარებით სოფელმა ასევე მოაწყო ხეების გაშენების კამპანია, რომლის ფარგლებშიც ყველა ოჯახმა მიიღო 5 ხეხილის ნერგი (ატამი, გარგარი, ალუჩა), რომლებიც უკვე დაირგო და გაიხარეს კიდეც.

# ბუნდესვერი თანხებს ზოგავს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უახლოეს წლებში სამხედრო ხარჯებში 26 მლრდ. ევროს დაზოგვას აპირებს. გერმანიის თავდაცვის მინისტრმა პეტერ შტრუკმა ბუნდესვერის ხარჯების შემცირების გეგმა ბერლინში გუშინ წარადგინა. ხარჯების შემცირება, ნაწილობრივ, ქვეყნის ბიუჯეტში არსებულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. გერმანია უახლოეს წლებში საფინანსო-საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების საფუძვლიან გარდაქმნას გეგმავს, რაც ხარჯების მიზანმიმართულ გამოყენებასაც გულისხმობს. ამასთან, მინისტრმა თქვა, რომ ხარჯების შემცირება სახსრების ოპტიმიზაციის გზით მიიღწევა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას ოდნავადაც არ დაეტყობა. **"ჩვენ მომავალშიც შევიძენთ ყველაფერს, რაც არმიას სჭირდება. დაზოგვა კი იმ ხარჯებს შეეხება, რომლებიც ახალი ამოცანების პირობებში სრულიად ზედმეტია,"** - თქვა მინისტრმა. მაგალითად, ბუნდესვერი უარს იტყვის აქამდე დაგეგმილ, 10 ათასი ჩვეულებრივი მანქანის შეძენაზე და სამაგიეროდ, 3,8 ათასი ახალი დაჯავშნული სატრანსპორტო საშუალებით გამდიდრდება. გერმანიის მთავრობა 180 ახალი ტიპის საბრძოლო თვითმფრინავ "ევროფაიტერის" შეძენას კვლავაც გეგმავს. თვითმფრინავები თანამედროვე "ჰაერი-ჰაერი" ტიპის რაკეტებით იქნება აღჭურვილი. 2005 წლისათვის გერმანიას საკუთარი სადაზვერვო-სატელიტური საშუალებებიც ექნება. ასევე დაგეგმილია ბუნდესვერის სტრატეგიული მობილურობის გაზრდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებისა და პერსონალის ტრანსპორტირების საშუალებების გაზრდას გულისხმობს. ამ მიზნით, 2009 წლიდან გერმანიას 60 სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდი აერობუს-A400M და 152 თანამედროვე ტიპის ვერტმფრენი ექნება. სამაგიეროდ, შემცირდება არმიის პირადი შემადგენლობის რიცხვი, 2010 წლისათვის ბუნდესვერში 250 ათასი სამხედრო და 75 ათასი სამოქალაქო პირი იმსახურებს. შტრუკმა თქვა, რომ 26 მლრდ-ს ზევით ხარჯების დამატებითი შემცირება ახლო მომავალში მოსალოდნელი აღარაა.



*გერმანიის თავდაცვის მინისტრი პეტერ შტრუკი*

ერთი სიტყვით, ბუნდესვერის დანაზოგები მის ბრძოლისუნარიანობას არ შეამცირებს. პირიქით, თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, არმიის მოდერნიზაცია მის ეფექტურობას გაზრდის კიდეც და ახალი ტიპის ამოცანების შესრულებას გაუადვილებს. ამგვარი ამოცანებია ტერორიზმთან ბრძოლა, კონფლიქტების პრევენცია და კრიზისების აღმოფხვრა. თავდაცვის მინისტრმა კატეგორიულად უარყო ოპოზიციური ქრისტიან-დემოკრატების წინადადება ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ბუნდესვერის ქვეყნის შიგნით გამოყენების შესახებ. შტრუკის თქმით, ბუნდესვერს არც კანონმდებლობით, არც სტრუქტურითა და მატერიალური აღჭურვილობით აღნიშნული ფუნქციის შესრულება არ შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ სატელიტური თვალთვალისა და ლოგისტიკის კუთხით გერმანელები, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნები, მთლიანად ნატო-სა და ამერიკელი პარტნიორების დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი. ევროპის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პირობებში, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას ცდილობენ. გერმანიის მიერ "ევროფაიტერებისა" და აერობუსების შეძენა ევროპელი პარტნიორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასაც გულისხმობს. ამასთან, გერმანელები პარტნიორების მხარდამხარ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფას მსოფლიოს რამდენიმე ცხელ წერტილში, მათ შორის - ავღანეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოში ცდილობენ.

# პუტინის ჩეჩნური ჩიხი

პირველი გვერდიდან

ყოველი ახალი ტერაქტი რუსულ ელიტაში უკვე ჩვეულებრივ რეაქციას იწვევს: პირველი ორი დღის განმავლობაში უამრავი ხმამაღალი "პატრიოტული" განცხადებები კეთდება, ხოლო შემდეგ კი ისადგურებს სიჩუმე - მომდევნო საშინელ ტრაგედიამდე.

როგორც ისტერიული მოწოდებები შურისძიებისაკენ, ასევე დამთრგუნავი სიჩუმეც იმაზე მიუთითებს, რომ ყველას, ამ განცხადებების ავტორთა ჩათვლით, კარგად ესმის, რომ ჩეჩნეთში ჩვენს პოლიტიკას პირდაპირ ჩიხში შევყავართ. 6 თებერვლის აფეთქების შემდეგ ჩვენ გვესმოდა მოწოდებები სიკვდილით დასჯის აღდგენის, "მათი გაცხელებული შანთებით დადაღვის," და "საქმის ბოლომდე მიყვანის" შესახებ. რუსეთის უდიდესი ყოველდღიური გაზეთის პირველ ფურცელზე გამოქვეყნებული იყო შვილმკვდარი მამის გამონათქვამი: **"მე მათ მოვკლავ ყველგან, სადაც კი მოვიხელთებ."**

ჩვენ უნდა გვახსოვდეს რუსი ოფიცრის ლევ ტოლსტოის სიტყვები, რომელიც თავის დროზე, კავკასიის დაუსრულებელ ომში მონაწილეობდა. ჩეჩნეთის მთიან სოფელში მორიგი "წმენდის" ჩატარების შემდეგ მან დაწერა: **"სიძულვილზე უფრო დიდია გრძნობა, რომელსაც რუსების მიმართ ყველა ჩეჩენი განიცდის."**

"საქმის ბოლომდე მიყვანის" შესახებ მოწოდების განხორციელების და მოსმენის შემდეგ, რაც უფრო მეტ ნგრევას ნიშნავს, ჩვენ გვავიწყდება, თუ რამდენჯერ ვაკეთებდით ამას: ვწვავდით ყველაფერს, რაც კი დასაწვავი იყო, პრევენტული მიზნებისათვის ვსჯიდით ათობით ათას საკუთარ მშვიდობიან მოქალაქეს. არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ მეორე მხარესაც საკმაოდ მრავალი ადამიანია, რომელიც იგივე სიტყვებს წარმოთქვამს: **"მე მათ მოვკლავ ყველგან, სადაც არ უნდა შემხვდნენ."**

მეოცე საუკუნეში ტერორიზმი პოლიტიკური მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა და დღემდე გრძელდება კონფლიქტები ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბასკეთში, შრი-ლანკასა და ინდონეზიაში. სეპარატისტები ყველგან მიმართავენ ძალადობას ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა უფრო მეტ ავტონომიას ან დამოუკიდებლობას მიაღწიონ.

მაგრამ, 21-ე საუკუნემ ახალი ფენომენი წარმოშვა, რასაც შეიძლება "მეტაფიზიკური ტერორიზმი" ვუწოდოთ. ტერორიზმი, რომელსაც, პირველ რიგში, "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული ისლამისტი რადიკალები მიმართავენ, პოლიტიკური მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტს არ წარმოადგენს. ის არის დასავლური ცივილიზაციის პრინციპული უარყოფა და მის დანგრევას ცდილობს.

ეს განსხვავება რუსეთისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩვენ 1990-იან წლებში დიდი გამოცდილება მივიღეთ იმისა, თუ როგორ იყენებდნენ ჩეჩენი სეპარატისტები ძალადობას პოლიტიკურ ინსტრუმენტად. ცვლილება, რომელსაც ჩვენ ამჟამად შევეჯახეთ, სხვა ხასიათისაა: ეს არის მეტაფიზიკური ტერორიზმი და მოცემულ შემთხვევაში ეს მონსტრი ჩვენვე შევქმენით.

რუსეთის ხელისუფლება მუდმივად იმეორებს ერთსა და იგივეს, რომ ის ჩეჩენ სეპატარისტებს კი არ ებრძვის, არამედ საერთაშორისო ტერორისტებს. და ეს უკვე არაფრისმთქმელ სიტყვებად გადაიქცა. იმ მეთოდების წყალობით, რასაც ომის დროს ვიყენებთ, ჩვენ, პრაქტიკულად, ჩეჩნეთის მთელი მოსახლეობა ჩვენსავე მტრებად ვაქციეთ და მეტაფიზიკური ტერორიზმისათვის "ცოცხალი ბომბების" უდიდესი მარაგი შევქმენით. ეს არის უკვე თავზეხელაღებული ხალხი, რომლებიც მზად არიან, ტერორისტების მიზნები შეასრულონ.

მეტროში მომხდარი აფეთქების შემდეგ, პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ტერორისტებთან მოლაპარაკებას კი არ აწარმოებს, არამედ ანადგურებს. მე ვფიქრობ, რომ ეს განცხადება სრულ გაუგებრობას სძენს ისეთი ტიპის ტერორს, რასაც შევეჯახეთ. ასეთი განცხადება გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი აფეთქების შემდეგ ვინმე დარეკავდა ე.წ. "გათავისუფლების ფრონტიდან" და შეგვატყობინებდა: **"მეტრო ჩვენ ავაფეთქეთ. თუ ორი კვირის შემდეგ არ შეასრულებთ ამა და ამ მოთხოვნას, ჩვენ კიდევ ერთ აფეთქებას მოვაწყობთ. გთავაზობთ მოლაპარაკებებს."**

მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში ასეთი შეტყობინება არ ყოფილა. რატომღაც, მაგონდება გაბრიელ გარსია მარკესის მოთხრობების კრებულის სათაური **"პოლკოვნიკს არავინ წერს."** პუტინის განცხადებებზე პასუხი კი სრული სიჩუმე იყო, რომელიც ნიშნავს: **"ჩვენ არ ველაპარაკებით რუსებს, ჩვენ ვაფეთქებთ მათ მეტროებს."**

რა უნდა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში? ყოველ გადამწყვეტ მომენტში რუსეთი მოქმედების ყველაზე უარეს ვარიანტს ირჩევდა. და კიდევ ერთი, პარადოქსული ფაქტი. კლასიკური მტრები, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენ დაჟინებით ვაწარმოებთ ომს, ორიენტირებულნი არიან დამოუკიდებელი ჩეჩნეთის პრეზიდენტსა და მის მომხრეებზე, რაც გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ომში მათ ჩვენს მოკავშირეებად აქცევს. რატომ? იმიტომ, რომ გლობალური ტერორიზმი ანგრევს ჩეჩნეთს და იმ მიზანს, რისკენაც ჩვენ ყველანი უნდა ვისწრაფოდეთ - ანუ ეს არის ხაზის გავლება ჩეჩნურ სეპარატიზმსა და გლობალურ ტერორიზმს შორის.

ამის მიღწევა კი სავსებით შესაძლებელია. პრეზიდენტ ასლან მასხადოვისა და ამჟამად აშშ-ში მცხოვრები "საგარეო საქმეთა მინისტრის" ჩათვლით, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას სერიოზულად აღარავინ განიხილავს. თავად ამ სიტყვებს - "დამოუკიდებლობას" და "ტერიტორიულ მთლიანობას" უკვე დაკარგული აქვს საკუთარი მნიშვნელობა იმ ტრაგედიის ფონზე, რაც აქამდე გრძელდება რუსი და ჩეჩენი ხალხის მონაწილეობით. ერთადერთი პერსპექტივა, რასაც ჯერ კიდევ რაღაც აზრი გააჩნია ჩეჩნებისათვის - ეს რუსეთის შეიარაღებული ძალების და პრომოსკოვურად განწყობილი ჩეჩნების ძალადობის დასრულება და მოლაპარაკების დაწყებაა მათთან, ვინც არ გეგმავს და არ ახორციელებს ამ ტერაქტებს.

ჩეჩნეთის ტრაგედიის უკანასკნელი საშინელი პარადოქსი არის ის შურისძიების მოწოდებები, რომელიც რუსეთში ისმის და ხელს უწყობს ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ჩათრევას ჩეჩნეთში გამეფებული ძალადობის წრეში. ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა იმისათვის, რომ ჩეჩნეთი რუსეთის ფარგლებში შევინარჩუნოთ და დავასრულეთ იმით, რომ რუსეთი ჩეჩნეთში გამოვკეტეთ.

*ვაშინგტონ პოსტი*

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ დაადასტურა ინფორმაცია სამი ლიტველი დიპლომატის "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადების შესახებ. დიპლომატებმა ორ დღეში უნდა დატოვონ რუსეთის ტერიტორია. საგარეო უწყების განცხადებით, მათი გაძევების მიზეზი "დიპლომატისათვის შეუფერებელი საქმიანობაა, რომელიც რუსეთის ინტერესებს აყენებს ზიანს". რუსეთის ეს ქმედება თებერვლის ბოლოს ლიტვის მიერ სამი რუსი დიპლომატის გამოძევებაზე პასუხს წარმოადგენდა. რუსეთსა და ბალტიისპირეთს შორის დაძაბულობა ბოლო დროს აშკარა დიპლომატიურ ომში გადაიზარდა. რუსეთს პრობლემები ჰქონდა ესტონეთთანაც. ესტონეთმა ორი რუსი დიპლომატი, ხოლო რუსეთმა ესტონეთის სამი დიპლომატი გააძევა ქვეყნიდან. სავარაუდოდ, რუსეთსა და ბალტიისპირეთს შორის გართულებული ურთიერთობები, 2 აპრილს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას უკავშირდება. რუსეთის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ამ ქვეყნების საჰაერო სივრცის ნატო-ს სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ გაკონტროლება იწვევს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალური შტაბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ალიანსის მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, შესაძლოა რუსეთმა გადახედოს თავის პოლიტიკას ნატოსთან მიმართებაში.

■ ■ ■

**რუსეთი.** მოსკოვის საქალაქო სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა დეპუტატ სერგეი იუშენკოვის მკვლელობის დამკვეთს და ორგანიზატორს მიხაილ კოდანევს და დანაშაულის უშუალო შემსრულებელს ალექსანდრ კულაჩინსკის.

"ლიბერალური რუსეთის" პარტიის ლიდერი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სერგეი იუშენკოვი შარშან, 17 აპრილს საკუთარი სახლის სადარბაზოსთან მოკლეს. გამოძიების მონაცემებით, მკვლელობის მიზეზი გახდა მიხეილ კოდანევის სურვილი, "ლიბერალური რუსეთის" პარტიას სათავეში ჩადგომოდა და მისი ფინანსები ხელში ჩაეგდო. თავად კოდანევი მკვლელობასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** სააგენტო "ბი-ბი-სი"-მ ბრიტანული პოლიციის მიერ ლონდონში 8 ახალგაზრდის დაკავების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ისინი ეჭვმიტანილნი არიან ტერორისტულ საქმიანობაში. ყველა დაკავებული 17-დან 32 წლამდე ასაკისაა. პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდების შედეგად ამოღებული იქნა 500კგ. ქიმიკატი, რომლითაც ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადებაა შესაძლებელი. ლონდონის პოლიციის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული დაკავებები მადრიდის 11 მარტის ტერაქტს არ უკავშირდება. მადრიდის აფეთქებების შემდეგ სკოტლანდ-იარდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯონ სტივენსმა განაცხადა, რომ ლონდონზე ტერორისტთა თავდასხმა თითქმის გარდაუვალია.




# უზბეკეთის დედაქალაქში ტერაქტების სერია გრძელდება

უზბეკეთში ტერაქტებმა მეტად საშიში და მრავალჯერადი ხასიათი მიიღო. სამშაბათს ტაშკენტში კვლავ ისმოდა აფეთქებებისა და სროლის ხმა. აფეთქებულია ავტომანქანა და მიკროავტობუსი. ამ უკანასკნელის აფეთქებას სავალალო შედეგების მოტანა შეეძლო მთელი ქალაქისათვის. მიკროავტობუსი კაშხლის სიახლოვეს იდგა, მისი დანგრევის შემთხვევაში კი მთელ ქალაქს დატბორვა ემუქრებოდა. სააგენტო "როიტერი" უზბეკეთის ოფიციალური ორგანოების ცნობაზე დაყრდნობით ავრცელებდა ინფორმაციას 19 დაღუპულის შესახებ.

გუშინ პირველი აფეთქება დილის ცხრა საათზე ქალაქის ჩრდილოაღმოსავლეთით სახელმწიფო ავტოინსპექციის პოსტთან მოხდა. ტერორისტებმა აფეთქებას გადარჩენილ მილიციელებს ავტომატური იარაღიდანაც გაუხსნეს ცეცხლი. ერთ-ერთ საცხოვრებელ შენობაში გამაგრებულ თავდამსხმელებსა და სამართალდამცავებს შორის მიმდინარე სროლა მთელი დღის მანძილზე ისმოდა. საღამოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს 16 ტერორისტის ლიკვიდაციის შესახებ. ოდნავ მოგვიანებით ცნობილი ხდება კიდევ ერთი აფეთქების შესახებ ქალაქის სხვა რაიონში. ამჯერად აფეთქებას შეეძლო გაცილებით დიდი მსხვერპლი გამოეწვია. ჩარვაკის წყალსაცავის ახლოს ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მიკროავტობუსი აფეთქდა. აღსანიშნავია, რომ ეს წყალსაცავი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს მიეკუთვნება და მისი კაშხლის დანგრევას მთელი ტაშკენტის დატბორვა შეეძლო. გუშინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია მეორე სამე აფეთქების შესახებაც.



*ტაშკენტი ალყაში მყოფ ქალაქს დაემსგავსა*

ახალი აფეთქება იმავე რაიონში მოხდა, სადაც დღის განმავლობაში ტერორისტებსა და სამართალდამცავებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. სააგენტო "ნიუსრუ"-ს ცნობით შაჰიდმა ქალმა საცხოვრებელი სახლი ააფეთქა. მსხვერპლის შესახებ ცნობილი არ არის.

ტაშკენტი უკანასკნელი დღეების განმავლობაში ალყაში მყოფ ქალაქს დაემსგავსა. ქუჩებში პატრულირებს ჯავშანტექნიკა. შეზღუდულია ქალაქში შესვლა ან ქალაქიდან გასვლა. ყველა ავტომანქანა გულმოდგინედ ისინჯება. ორშაბათს უზბეკეთმა საზღვრებიც კი ჩაკეტა ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან. გუშინ უზბეკეთში შეიქმნა ტერაქტების საგამოძიებო კომისია, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი ხელმძღვანელობს. საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ უზბეკეთის ხელისუფლების ვარაუდებს კარგად მომზადებული და დაფინანსებული, მათ შორის - უცხოური წყაროებიდან, ერთიანი საკოორდინაციო ცენტრის მქონე ტერორისტების არსებობის შესახებ.

უზბეკეთის ოფიციალური პირები თვლიან, რომ ტაშკენტისა და ბუხარის ტერაქტების უკან რადიკალური ისლამური დაჯგუფებები დგანან და ამით უზბეკეთ-აშშ-ს ანტიტერორისტული თანამშრომლობის ჩაშლას ისახავენ მიზნად. "სერიოზული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ დანაშაულების უკან რელიგიურ-ექსტრემისტული ორგანიზაცია "ხიზბ უტ-ტახრირი" და ვაჰაბიტები დგანან," - ქვეყნის გენერალური პროკურორის რაშიდ კადიროვის ამგვარი განცხადება გამოაქვეყნა გუშინ "გაზეტა.რუ"-მ. თუმცა, ამ პარტიის ბრიტანულ ოფისში კატეგორიულად უარყვეს ეს ბრალდება. პარტიის წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ მათი ორგანიზაცია მიზნების მისაღწევად ტერორს არასოდეს იყენებს და მხოლოდ არააგრესიული დარწმუნების მეთოდებს მიმართავს. პარტიის ბრიტანული ოფისის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, დოქტორმა იმრან ვახიდმა იქვე დაამატა, რომ ამ ტერაქტებს უზბეკეთის ხელისუფლება ქვეყანაში ოპოზიციის ჩასახშობად მაქსიმალურად გამოიყენებს.

"ხიზბ უტ-ტახრირთან" ერთად, ტერაქტების სავარაუდო ორგანიზატორთა შორის "უზბეკეთის ისლამური მოძრაობაც" განიხილება. 1999 წლის 16 თებერვალს ტაშკენტის რამდენიმე რაიონში მომხდარი აფეთქებები სწორედ ამ ორგანიზაციას დაბრალდა. დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ შესაძლოა, ეს ორგანიზაცია კვლავ ამოქმედდა. სპეცსამსახურთა მტკიცებით, "უზბეკეთის ისლამურ მოძრაობას" "ალ-ქაიდას" ქსელთან აქვს კავშირი. დღეს ამ ორგანიზაციამ სახელი შეიცვალა და "თურქესტანის ისლამური პარტიის" სახელწოდებით განაგრძობს მოღვაწეობას.

# განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადება

*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია გუშინ თბილისის 116-ე სკოლას ეწვია. ერთი სკოლის მაგალითზე, ზოგადი პრობლემის თვალსაჩინო განხილვის შემდეგ ამავე შეხვედრაზე მან ოფიციალური განცხადება გააკეთა:*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არ წყდება მშობელთა და სასწავლო პროცესით დაინტერესებულ პირთა სატელეფონო ზარები. მოსახლეობა აღშფოთებულია საქართველოს ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო ბაღში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკით - სკოლის ან ბაღის სამეურნეო საჭიროებისთვის ე.წ. "სასკოლო ფონდის გადასახადით," იძულებითი დაბეგვრით.

განვმარტავთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეს გადასახადი სრულიად ნებაყოფლობითია და ისიც მხოლოდ იმ სკოლებში, რომლებმაც კანონით დადგენილი წესით შექმნეს სკოლის დახმარების რეგისტრირებული ფონდები. ბაგა-ბაღებში კი კანონით დადგენილია გადასახადი მინიმალური ხელფასის 30 პროცენტის (5 ლარი და 40 თეთრის) ოდენობით.

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ **ბაგა-ბაღებში კანონით დადგენილი გადასახადის ზემოთ, ხოლო სახელმწიფო სკოლებში, ნებისმიერი, ნებაყოფლობითობის პრინციპის დარღვევით მოსახლეობის დაბეგვრა გამოძალვაა და სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება.**




*"სასკოლო ფონდებში თანხების შეტანა ნებაყოფლობითია".*

ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი უყოყმანოდ გამოიყენებს სკოლის დირექტორის სამსახურიდან დაუყოვნებლივი გათავისუფლებისა და მისი საქმიანობის სამართალდამცავი ორგანოებისთვის შესასწავლად გადაცემის კანონიერ უფლებას; ხოლო, ბაგა-ბაღების შემთხვევაში, ზემდგომობის წესით, განათლების რაიონული და საოლქო განყოფილებების მიერ ბაგა-ბაღების ხელმძღვანელების სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას.

*24 საათი*

## რისი ეშინიათ თბილისელ პედაგოგებს?

*მიუხედავად იმისა, რომ მედიის საშუალებით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები ხშირად შუქდება, როგორც ჩანს, ეს საკმარისი მაინც არ არის. საზოგადოებაში გამუდმებით ისმის კითხვები, ვრცელდება ჭორები. ხშირ შემთხვევაში, ჭორი სრულიად არალოგიკური და საფუძველს მოკლებულია, თუმცა განათლების სამინისტროს მათზე პასუხის გაცემა, ალბათ, მაინც მოუწევს. გუშინ თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში განათლების ფორუმი გაიმართა. სააქტო დარბაზში შეკრებილი სკოლის დირექტორების, პედაგოგების, პროფკავშირების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეკითხვებს განათლების მინისტრის მოადგილე სანდრო დიდებულიძე პასუხობდა.*

ნინო ცინცაძე

შეხვედრის მოწყობის ინიციატორი თბილისის საკრებულოში განათლების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი გახლდათ. ისინი მიიჩნევენ, რომ ბოლო წლებში განათლების სისტემაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ამ სფეროში მიმდინარე სარეფორმო პროცესები საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა და მონიტორინგის გარეშე ხორციელდება. ისინი იმედოვნებენ, რომ სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა თავის მომავალ ნაბიჯებს მათთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით გადადგამს. **"ჩვენ გვინდა, ყველამ გაიგოს, რომ, საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე, არანაირი რეფორმის, განსაკუთრებით კი, განათლების რეფორმის ჩატარება არ შეიძლება,"** - აცხადებდა გუშინდელ შეხვედრაზე საკრებულოს განათლების საკითხების კურატორი ბატონი გია მურღულია.

მართალია, განათლების ფორუმმა საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ ალექსანდრე ლომაიას ვრცელი მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც განათლების სფეროს მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა პუნქტებადაა ჩამოთვლილი, მაგრამ შეხვედრის დროს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა ინტერესი, ძირითადად, რამდენიმე კონკრეტული საკითხით შემოიფარგლა. ეს პრობლემები, პირობითად, ორად შეიძლება დავყოთ. პირველი სულიერ საზრდოთა რიგს განეკუთვნება, მეორე კი - მატერიალურს.

პირველი სფეროს გამხმოვანებლად ფორუმზე სპეციალურად იყო მიწვეული საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, რომელიც თვლის, რომ განათლების სამინისტრო საპატრიარქოსთან სათანადოდ არ თანამშრომლობს. მის აზრს განავრცობდა ისტორიის პედაგოგი სერგო ვარდოსანიძე. იგი დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის საათების შემცირების საშიშროებაზე ესაუბრებოდა. ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არარსებული საგანი სექსოლოგიაც.

განათლების მინისტრის მოადგილე ბატონი სანდრო დიდებულიძე შეეცადა, დაერწმუნებინა განათლების მუშაკები, რომ ჩვენs ენას, ლიტერატურასა და ისტორიას არაფერი ემუქრება, და რომ "არავითარი საგანი სექსოლოგია სკოლებში შემოღებული არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, სანამ განათლების სამინისტროში მე ვმუშაობ," - აცხადებდა იგი. ბატონმა სანდრომ, ასევე, აღნიშნა, რომ ამ პრობლემებთან დაკავშირებით ინტენსიური ურთიერთობა აქვს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან. (სხვათა შორის, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც გამომცემლობა "დიოგენეს" მიერ გამოცემულ ორ წიგნს სასტიკად დევნიდა. ამ წიგნებში მოზარდებს ასაკის ცვლილებებთან დაკავშირებულ ჰიგიენურ და ინტიმურ რჩევებს აძლევდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნები სკოლების სახელმძღვანელოდ განკუთვნილი არ ყოფილა. ამ წიგნების გამო, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი წიგნის ფესტივალზე "დიოგენეს" დახლებს პირდაპირ არბევდა და მათი ოფისის დარბევითაც იმუქრებოდა).

უნდა ითქვას, რომ საკითხთა პირველი - ე.წ. სულიერი რიგი, დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას იმდენად არ აღელვებდა, რამდენადაც კონკრეტულ-მატერიალური პრობლემები: 1. არის თუ არა სასკოლო და საბაღო ფონდები უკანონო და დაისჯებიან თუ არა ამგვარი ფონდების მქონე დირექტორები? (ამგვარი შინაარსის სტატია "ახალ თაობაში" დაბეჭდილა); 2. განისაზღვრება თუ არა პედაგოგთა უმაღლესი ასაკი 40 წლით; და 3. გაყრიან თუ არა ქუჩაში 60 წელს გადაცილებულ ყველა განათლების მუშაკს. ამ პრობლემატურ საკითხთა გამხმოვანებელი თბილისის 154 სკოლის დირექტორი გოჩა გურგენიძე გახლდათ.

**"მინდა, ჩემი სიტყვა დავიწყო იმით, რომ ჩემი ასაკი 60 წელია; მე ამას არ ვმალავ. სამინისტროში 6 მარტიდან ვმუშაობ. აქ ფეხით მოვედი იმიტომ, რომ მანქანა არა მაქვს - არც სამსახურეობრივი, არც - საკუთარი. ჩემი ტელეფონი სამსახურში, უკვე ერთი კვირაა, გამორთულია; კავშირს მხოლოდ მობილური ტელეფონით ვამყარებ. ამიტომ თქვენ რომ გამოდიხართ იმ პოზიციიდან, თითქოს სამინისტრო იყოს ერთ მხარეს და პედაგოგთა 70-ათასიანი კოლექტივი მეორე მხარეს, ეს არამართებულია. ჩვენ ბარიერის სხვადასხვა მხარეს არ უნდა ვიყოთ,"** - ასე დაიწყო თავისი სიტყვა ბატონმა სანდრო დიდებულიძემ და ასაკის თემა ტაშის გუგუნის ფონზე ამოწურა.

სასკოლო ფონდებთან დაკავშირებულ მტკივნეულ საკითხზე კი მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ სამინისტროში ყველაზე მეტი საჩივარი სწორედ ფონდებთან დაკავშირებით შემოდის. თუმცა, მას ისიც ესმის, რომ ფონდების გარეშე, სკოლებისა და ბაღების უმრავლესობა საკუთარ თავს, უბრალოდ, ვერ შეინახავს. **"ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ასეთ ფონდებში თანხის გადახდა ნებაყოფლობითია. ფულის შეკრება ძალიან ფაქიზად უნდა ხდებოდეს, იმ ბავშვების თავმოყვარეობა რომ არ შეილახოს, ვის ოჯახსაც შემოწირულობის გაკეთების საშუალება არა აქვს. საერთოდ, ყველაფერს აჯობებს, თუ ფინანსური ნაწილი მთლიანად სამეურვეო საბჭოებს გადაეცემათ და ფულის განკარგვას ისინი მოახდენენ,"** - ასე დაასრულა მან თავისი საუბარი.

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრე იაკოვენკო აცხადებს, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაუქმდება, როგორც კი მისი ტერიტორიიდან ტერორიზმის საფრთხე აღარ იქნება, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან.

2000 წელს სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხზე საუბრისას, ალექსანდრე იაკოვენკომ აღნიშნა, რომ მაშინ საქართველოს ტერიტორიიდან ტერორიზმის ძალიან სერიოზული საფრთხე იყო. სწორედ ეს გახდა სავიზო რეჟიმის შემოღების მიზეზი, აღნიშნა დიპლომატმა. რუსეთმა 2000 წლის დეკემბერში საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებისას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე შეღავათიანი რეჟიმები შეინარჩუნა. 2003 წლის დეკემბერში შეღავათები აჭარის ავტონომიაზეც გავრცელდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ქართველი ხალხის წინაშე დამსახურებების გამო, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ცნობილი რუსი პოლიტიკოსის ანატოლი სობჩაკის სახელი ეწოდება. როგორც პრაიმ-ნიუსს პრეზიდენტის პრესსამსახურში აცნობეს, 1989 წლის 9 აპრილს თბილისის ცენტრში მომხდარი ტრაგედიის აღსანიშნავად, თბილისში დაიდგმება ანატოლი სობჩაკის ბიუსტი, რომელსაც სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოიტანენ, მისი სახელი კი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭება. **პრაიმ-ნიუსი**



## პროექტის სამედიცინო მრჩეველი

"BP"-ის ნავთობსადენის პროექტების განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "ІღА" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი პროექტის სამედიცინო მრჩევლის თანამდებობაზე.

პროექტის სამედიცინო მრჩეველი იქნება "BP"-ის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში მონაწილე მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.

**სამუშაოს დახასიათება:**

გაუწიოს დახმარება პროექტის მენეჯმენტსა და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს კაპიტალური ფასეულობების პროცესისა (CVP) და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი Mმოთხოვნების შესაბამისად მიერ ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში დასახული მიზნების მიღწევაში.

პროექტის სამედიცინო მრჩევლის მთავარი ფუნქციაა დაეხმაროს საპროექტო გუნდს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

■ აზერბაიჯან-საქართველოს ყველა უბანზე ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვის (Getting Health Right) ამოცანების გათვალისწინებით პროექტის სამედიცინო სტრატეგიის, პროექტის ჯანდაცვითი პროცედურისა და პროექტის ჯანდაცვითი პროგრამის განხორციელებისთვის ხელშეწყობა;

■ პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტთან მუშაობა კონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული სამედიცინო მენეჯმენტისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო გეგმის კრიტიკულად შესაფასებლად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროექტის მაღალი ეფექტურობა და ხარისხი ყველა იმ საკითხში, რომელიც ჯანმრთელობისა და სამედიცინო მენეჯმენტს შეეხება.

**მოვალეობები:**

ზოგადი მოვალეობები შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით:

■ საპროექტო-სამედიცინო მზადყოფნის აუდიტის გრაფიკის შემუშავება და საგანგებო სამედიცინო რეაგირებისა და სანიტარიის საკითხებში კონტრაქტორის ბანაკსა და სხვა უბნებზე აუდიტების წარმოება კომპანიის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად. ამ დროს ის იმუშავებს კონტრაქტორებთან როგორც კომპანიის აგენტი ჯანმრთელობისა და სამედიცინო საკითხებში მომზადებულობის უზრუნველსაყოფად.

■ პროექტის მენეჯმენტის წარმომადგენლობა ქვეყნის სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოებთან და პროექტის მენეჯმენტის ინფორმირება ყველა იმ ცვლილებაზე, რაც შეიძლება მოხდეს ჯანდაცვის საკითხების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში (კანონები, ბრძანებულებები და ა.შ.).

■ აზერბაიჯან-საქართველოში არსებული სამედიცინო მომსახურების პუნქტების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეფასება. პროექტის მენეჯმენტისთვის რჩევების მიცემა რომელიმე ამ საშუალებასთან დაკავშირებით რაიმე ფორმალური მოქმედებების განხორციელების საჭიროების შესახებ და მათი განხორციელება პროექტის სახელით.

■ ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებში განხორციელებული საპროექტო მომსახურების შემთხვევების შემოწმება პროექტის ფარგლებში დადგენილი მოვლის სათანადო სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და პროექტის მენეჯმენტსა და ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებს შორის მაკავშირებელი პირის როლის შესრულება.

■ პროექტის მომსახურე პირის, ისევე როგორც კონტრაქტორის (თუ ეს სათანადო პროექტის მენეჯმენტმა ითხოვა) სამედიცინო ევაკუაციის შემთხვევების შემოწმება და იმის უზრუნველყოფა, რომ რეაგირების დონე შეეფერება პროექტისაგან მოსალოდნელ ხარისხსა და ეფექტურობას.

**გამოცდილება და განათლება:**

მოთხოვნილია შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაციები:

■ სამედიცინო ხარისხი.

■ ტრამვების, საგანგებო სიუტაციების მედიცინის, ზოგადი თერაპიისა და/ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე კლინიკასა თუ საავადმყოფოში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.

■ ავარიული სიტუაციებისა და საგანგებო შემთხვევების მედიცინის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ტრამვის გამო სასიცოცხლო დახმარებისა (ATLS) და კარდიალური სასიცოცხლო დახმარების (ACLS) კარგი და თანამედროვე ცოდნა.

■ კარგი კომუნიკაციური, ორგანიზაციული, სწავლება-პრეზენტაციისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარი.

■ აზერბაიჯანსა და საქართველოში პროექტის უბნებისთვის სპეციფიური დაავადებების ცოდნა და მათთან მუშაობის გამოცდილება;

■ უნდა გააჩნდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული ჯანდაცვის კანონმდებლობის/სტანდარტებისა თუ მოთხოვნების ცოდნა ან მისი ეფექტურად შესწავლა; მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და საავადმყოფოების მენეჯმენტთან მუშაობა.

■ უნაკლოდ უნდა ფლობდეს ქართულსა და ინგლისურს.

■ უნდა ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Windows).

■ დასავლეთის მედიცინასთან პრაქტიკული ხელშეხება (ტრეინინგის კურსები, მუშაობის გამოცდილება, და ა.შ.), პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის ზოგადი ცოდნა, სამედიცინო ევაკუაციის (ჰაერით, გზებით და ა.შ.) უნარ-ჩვევები და აგრეთვე პროექტის ტერიტორიის მიმდებარე უბნებზე არსებული სამედიცინო დახმარების პუნქტების ცოდნა უპირატესობად იქნება მიჩნეული.

კანდიდატი მზად უნდა იყოს, რომ საჭიროებისდა მიხედვით იმუშაოს დაშორებულ უბნებზე, თანაც გრძელი პერიოდით და ხელმისაწვდომი იყოს 24 საათის განმავლობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## 2004 წლის 31 მარტი

აშშ-ს საელჩო საქართველოში ეძებს სამშენებლო ფირმას, რომელიც ჩაატარებს კომუნალური ობიექტების (კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების) გაფართოვებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს თბილისში (დიღომი) მშენებარე ახალი საელჩოს კომპლექსისათვის. პროექტი ითვალისწინებს სანიაღვრე და საკანალიზაციო მილების, ჭების მონტაჟს და მათ მიერთებას ქალაქის სისტემასთან. ასეთი ფირმის შერჩევა განხორციელდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი გულისხმობს ისეთი სამშენებლო ფირმების წინასწარ შერჩევას, რომლებიც დააკმაყოფილებენ ქვემოთ მოყვანილ ტექნიკურ მოთხოვნებს. მეორე ეტაპისას ჩატარდება პირველ ეტაპზე შერჩეულ ფირმებს შორის კონკურსი, რომელიც გამოავლენს პროექტის ფაქტიურ შემსრულებელს. გამარჯვებული ფირმის შერჩევა მოხდება წარმოდგენილ საუკეთესო ფასებსა და სხვა წინადადებებზე დაყრდნობით. სამუშაოს სავარაუდო მოცულობაა 150,000 - 250,000 აშშ დოლარი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი და ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები უნდა შემოიტანონ 2004 წლის 16 აპრილის 16.00 საათამდე, აშშ-ს საელჩოს გენერალური სერვისის განყოფილების (GSO)სახელზე, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" მე-5 სართულის ვესტიბიულში. პირველი ეტაპის მონაწილეებმა (წინასწარი შერჩევა) უნდა აღნიშნონ, რომ საბუთები შემოაქვთ საელჩოს ახალი კომპლექსის კომუნალური ობიექტების (სანიაღვრე წყლებისა და კანალიზაციის) პროექტის განსახორციელებლად. საბუთებში უნდა იყოს:

1. ფირმის საქართველოში რეგისტრირებული ნომერი და ლიცენზიის ასლი;
2. ბოლო სამი წლის საბალანსო ანგარიში;
3 ცნობა საბანკო დაწესებულებიდან;
4. კომპანიის/ორგანიზაციის სქემა, რომელშიც მოცემულია მუშაკთა რაოდენობა და აღნიშნულია, რომელი თანამშრომლები ფლობენ ინგლისურ ენას;
5. ანალოგიური პროექტები, რომლებიც კომპანიამ განახორციელა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე;
6. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების ღირებულება;
7. კომპანიის მფლობელობაში არსებული მანქანა-დანადგარების ნუსხა;
8. სამი შეფასება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე განხორციელებული ან მიმდინარე პროექტის შესახებ.

აშშ-ს საელჩო ასევე გეგმავს მეორე შეკვეთის გაფორმებასაც, რაც მიზნად ისახავს საელჩოს ახალი კომპლექსისათვის სატელეკომუნიკაციო, გაზის, დენისა და წყლის მომარაგებისათვის საჭირო კომუნიკაციების მოწყობას. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საელჩო უფლებას იტოვებს ორივე შეკვეთა ერთ ფირმასთან გააფორმოს.

**შეკითხვებით მიმართეთ ლორენს ოსტროვსკის ან მელვინ არაკაკის ტელეფონზე: 59-50-88**

# დავით კირვალიძე არჩევანს დღეს გააკეთებს

### ყოფილი მინისტრი ბიუჯეტს მიყენებულ ზარალს თუ არ დაუბრუნებს, მას დააპატიმრებენ

*სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს დავით კირვალიძეს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ორკვირიანი ვადა მისცა. თუმცა, ექსმინისტრმა პროკურატურის პირობის ერთი ნაწილი დღეს უნდა შეასრულოს - ბიუჯეტში 50 ათასი ლარი უნდა გადარიცხოს.*

ინგა ალავიძე

ეს თანხა მხოლოდ ნაწილია იმ 225 ათასი ლარისა, რომლის ბიუჯეტისთვის დაკლებასაც პროკურატურა დავით კირვალიძეს ედავება და ახლა უკვე უკან დაბრუნებას მოითხოვს. გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იმედოვნებს, რომ მთლიან თანხას - 225 ათას ლარს - სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ორი კვირის განმავლობაში სრულად დაფარავს.

გუშინ დავით კირვალიძე გენერალურ პროკურატურაში გამომძიებლებმა სახლიდან მიიყვანეს და ხუთსაათიანი დაკითხვის შემდეგ ექვმიტანილის სტატუსით დაატოვებინეს პროკურატურა. იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი მინისტრი პირობას დაარღვევს და პროკურატურის მიერ დასახელებულ თანხას არ გადაიხდის, მას ბრალდებულად გამოაცხადებენ და ორთაჭალის ციხეში მისი მოადგილის - ხუტა მამალაძის გვერდით საკანში მიუჩენენ ადგილს.

ირაკლი ოქრუაშვილის ინფორმაციით, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება შესთავაზეს ყოფილი მინისტრის ყოფილ მოადგილეს ხუტა მამალაძესაც, **"თუმცა მან უარი განაცხადა. როგორც ჩანს, მას მოსაფიქრებელი დრო სჭირდება, ამიტომ იგი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს და საკანში გააგრძელებს ფიქრს"**, - განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.

გენერალური პროკურატურა დავით კირვალიძეს და ხუტა მამალაძეს სამსახურებრივ გულგრილობაში ადანაშაულებს. საუბარია 2001-2003 წლებში, ჰუმანიტარული დახმარების მიღებისას, სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 255 ათასი ლარის ზარალის მიყენებაზე. უფრო კონკრეტულად, გენერალურმა პროკურატურამ გამოააშკარავა 2002 წელს საქართველოში იტალიიდან შემოტანილი ჰუმანიტარული კარტოფილის ფანტელით ჩატარებული მაქინაცია. საქმე ისაა, რომ პროდუქციის ნაწილი სოციალურად დაუცველ ფენებს უნდა დარიგებოდა, ნაწილი კი ბიუჯეტში თანხების შეტანის მიზნით გაყიდულიყო. სამართალდამცველთა ბრალდებით, სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა არ გაადამოწმა სამთავრობო კომისიის მიერ გაყიდვისთვის დადგენილი ტარიფი, არადა, შესაძლებელი იყო კარტოფილის ფანტელის უფრო მაღალ ფასში გაყიდვა. ამ სამსახურებრივი გულგრილობის გამო, პროკურატურის დაანგარიშებით, ბიუჯეტმა 225 ათასი ლარის ზარალი ნახა.



*სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი არჩევანს დღეს გააკეთებს*

გოგიტა ბახსიძის ფოტო

"ჰუმანიტარული მაქინაციის" ავტორად გამოძიება ხუტა მამალაძეს მიიჩნევს, ამ პერიოდში სწორედ ის გახლდათ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (რადგან 2001 წლის ნოემბრის მოვლენების გამო მთავრობა გადამდგარი იყო) და სწორედ მის მიერ შედგენილ დადგენილებას (კარტოფილის ფანტელის დაბალ ფასებში გაყიდვის თაობაზე) დაეთანხმა პრეზიდენტი შევარდნაძე, რის შემდეგაც დადგინდა ახლა უკვე სადავო ტარიფი. ამ საქმეში დავით კირვალიძის ბრალეულობა იმაში გამოიხატება, რომ მინისტრის პოსტზე დაბრუნებულმა კირვალიძემ მისი მოადგილის მიერ მიღებული დადგენილებებით გააგრძელა მუშაობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განაწილებული ჰუმანიტარული ტვირთის არამიზნობრივ განაწილებასთან დაკავშირებით საქმე რამდენიმე თვის წინათ შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტმა აღძრა. დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის ირაკლი განუგრავას განცხადებით, იტალიიდან შემოტანილი ჰუმანიტარული ტვირთის - მაკარონისა და ფქვილის, რომელიც ლტოლვილებს უნდა დარიგებოდა, გაყიდვით მიღებულმა მოგებამ სოლიდური თანხა შეადგინა, თუმცა არ დასახელებულა მაქინაციის შემსრულებელთა ვინაობა. ითქვა მხოლოდ ის, რომ ეჭვმიტანილთა კვალი სოფლის სამინისტროს მაღალჩინოსნებამდე მიდიოდა, მაგრამ არა მინისტრამდე.

გუშინ დაკითხვიდან გამოსულმა დავით კირვალიძემ დაადასტურა, რომ საქმე სამსახურებრივ გულგრილობასთან დაკავშირებითაა აღძრული, თუმცა სხვა კომენტარისგან თავის შეიკავა.

როგორ არჩევანს გააკეთებს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი - მიიღებს გენერალური პროკურატურის შეთავაზებას და გადაიხდის მოთხოვნილ თანხას, თუ ამ გარიგებას ორთაჭალის საკანს ამჯობინებს, ეს დღეს გახდება ცნობილი.

# რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს პროკურატურა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის გადახდას სთხოვს

პირველი გვერდიდან

**"პროკურატურა არ გამორიცხავს მის დაკავებას, თუ იგი იმ ზარალის სრულად ანაზღაურებაზე უარს იტყვის, რომელიც სახელმწიფომ განიცადა უშიშროების ბალანსზე რიცხული ვერტმფრენის განადგურების გამო. ჯინჭარაძე იმ ვერტმფრენით სარგებლობდა, რომელიც დაუდევრობის გამო განადგურდა. ზარალი დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენს",** - ასეთი გახლდათ გენერალური პროკურორის განმარტება.

როგორც გაირკვა, უშიშროების სამინისტროს ბალანსზე არსებული ფრანგული წარმოების ვერტმფრენი, რომელიც ცოტა ხნის წინ მამუკა ჯინჭარაძემ სამინისტროსგან არენდით აიღო, ერთი კვირის წინათ გუდაურში ჩამოვარდა და დაიმტვრა. მნიშვნელოვნად დაზიანებული ვერტმფრენი ამის შემდეგ გამოუსადეგარია. გავრცელებული ინფორმაციით, ვერტმფრენს თავად მამუკა ჯინჭარაძე მართავდა. იგი ოჯახის წევრებთან, მათ შორის - მცირეწლოვან შვილთან ერთად სეირნობდა, როცა ვერტმფრენმა მართვა დაკარგა, მთას დაეჯახა და ჩამოვარდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვერტმფრენის მგზავრები - ჯინჭარაძის ოჯახის წევრები - სერიოზული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ამბობენ, დაშავებული ბიზნესმენი საავადმყოფოდან ორი დღის წინათ გამოეწერა. მისი მცირეწლოვანი შვილი კი დღემდე საავადმყოფოში გადის მკურნალობის კურსს.

გუშინ, ვიდრე ტრანსპორტის პროკურატურა ოფიციალურად დაადასტურებდა ან უარყოფდა მამუკა ჯინჭარაძის ამ უწყებაში დაკითხვაზე ყოფნის ფაქტს, ბიზნესმენის დაკავების შესახებ ინფორმაცია რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა საქართველოს გენერალური პროკურორის ინფორმაციაზე დაყრდნობით გაავრცელეს. **"საქართველოს გენერლური პროკურატურა თბილისის აეროპორტში დაკავებული რუსი ბიზნესმენის - მამუკა ჯინჭარაძისგან ზარალის ასანაზღაურებლად ერთ მილიონ ლარს ითხოვს"**, - აღნიშნავენ რუსული სააგენტოები.

"რია ნოვოსტის" ინფორმაციით, 1988 წელს საქართველოდან რუსეთში წასული ბიზნესმენი მამუკა ჯინჭარაძე კარგა ხანია, რაც ნიჟნევარტოვსკში ცხოვრობს და ქალაქის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატია.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში გადახვეწილი და იქ მოღვაწე ბიზნესმენი მამუკა ჯინჭარაძე საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ჩამოვიდა. მისი საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ ხმამაღლა პირველად "სოციალისტთა" ყოფილი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი საუბრობდა.

სწორედ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ ყოფილი ოპოზიცია ჯინჭარაძეს სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაში ადანაშაულებდა, ხოლო ნოემბრის რევოლუციის დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, სვეტლოგრადში საარჩევნო უბანი გახსნილი იყო სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერ მამუკა ჯინჭარაძის სუპერმარკეტში.

გავრცელებული ინფორმაციით, ჯინჭარაძე "სახალხო ბანკის" დამფუძნებელიც გახლავთ. ბოლო პერიოდში მამუკა ჯინჭარაძემ საქართველოში რამდენიმე ღონისძიება დააფინანსა, მათ შორის - სამების ტაძრის მშენებლობა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით თევზაძის ვიზიტი ერაყში. როგორც ამბობენ, ხელუსუფლების შეცვლის შემდეგ რუსეთში დაბრუნებული ბიზნესმენი, წარმოშობით ქობულეთელი, საქართველოში აჭარაში განვითარებული მოვლენების დროს ჩამოვიდა და ცენტრსა და რეგიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა.

უშიშროების სამინისტროს ბალანსზე რიცხული ვერტმფრენი, რომლის დაზიანებისთვისაც პროკურატურა ჯინჭარაძისგან ზარალის დაფარვას მოითხოვს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ კერძო ფირმას იჯარით ჰქონდა აღებული და ჯინჭარაძემ ვერტმფრენი სწორედ ამ ფირმისგან დაიქირავა. ამავე ინფორმაციით, ჯინჭარაძეს ამის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტაცია გააჩნია და ბიზნესმენი უწინაც სარგებლობდა დაქირავებული ვერტმფრენით.

სამხედრო პროკურატურის ინფორმაციით, თუ გამოძიებით დადასტურა, რომ უშიშროების სამინისტროს ბალანსზე არსებული ვერტმფრენი ბიზნესმენზე უკანონოდ იყო გაქირავებული, მაშინ არ გამოირიცხება სამინისტროს კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დასმაც.

გუშინ სამხედრო პროკურატურაში არ აკონკრეტებდნენ, ჰქონდა თუ არა უშიშროების სამინისტროს მის ბალანსზე არსებული ვერტმფრენით სარგებლობის უფლება რომელიმე კერძო ფირმისთვის ან ბიზნესმენისთვის მიეცა.


## შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი "ბი-პი"-ს მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი პასუხისმგებელი იქნება:

- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) შესახებ ყველა ჩანაწერების წარმოებაზე, მათ შოის ანგარიშებზე, ანგარიშებზე ინციდენტების შესახებ, უსაფრთხოების სფეროში ტრენინგების პროგრამებზე (STOP) და გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებაზე (ASA), აგრეთვე ინციდენტების სტატისტიკაზე, HSE-ს მონიტორინგის მონაცემებზე და ა. შ.
- მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენარჩუნებაზე, ზემოთ აღნიშნული ანგარიშებიდან გამომდინარე ყველა ღონისძიების თვალის მიდევნებისათვის.

**როლები და პასუხისმგებლობები:**

ძირითადი როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშების მომზადება აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ოპერაციებისთვის, შეთანხმებული განრიგის შესაბამისად
- სტანდარტული ანგარიშების მომზადება, რომლებიც საჭიროა გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების სერტიფიცირების სტანდარტებისთვის
- ყველა იმ საჭირო მონაცემების შენახვა, რომლებსაც მოითხოვენ აზერბაიჯანის/საქართველოს/თურქეთის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მარეგულირებელი ორგანოები
- AGT HSE-ს მონაცემთა ბაზის შენარჩუნება, ყველა შემავალი და გამავალი ანგარიშებისთვის, ინციდენტების შესახებ ანგარიშების და სტატისტიკური მონაცემებისთვის, განდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მონიტორინგის პროგრამიდან
- ASA-ს და STOP-ის პროგრამის მონაცემებისა და თვალის მიდევნების მონაცემთა ბაზის შენახვა
- HSE-ს მონაცემების ანალიზი, ტენდენციების განსაზღვრისათვის, რათა გაუწიოს რეკომენდაცია კონცენტრირებული მენეჯმენტის ღონისძიების თაობაზე
- "ბი-პი"-ს, დარგისა და იურიდიული ინფორმაციის და სტანდარტების HSE-ს ბიბლიოთეკის შენახვა, ბრითიშ პეტროლეუმის საინფორმაციო ვებსაიტის შევსებისთვის

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**საზოგადოებასთან ურთერთობის დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**


# "კანონიერი ქურდები" გავლენის სფეროებს რუსეთიდან აკონტროლებენ

*"24 საათი" ცოტა ხნის წინათ "კანონიერი ქურდების" მიერ იმერეთის რეგიონში მწვანილის ბიზნესის მონოპოლიზირებისა და ფერმერთა დატერორების შესახებ იუწყებოდა. წერილს სერიოზული რეზონანსი მოჰყვა.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ცნობისათვის, წყალტუბოს რაიონის დაბლობის ზონის სოფლების (გეგუთის, პატრიგეთის, ტყაჩირის, ფარცხანაყანების, საყულიას და სხვა) მოსახლეობა კარგა ხანია, რაც მწვანილის ბიზნესს ეწევა. პროდუქციას ისინი რუსეთში ასაღებდნენ. "კანონიერი ქურდები" აღნიშნულ ბიზნესს ყოველთვის ატერორებდნენ, მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეს სფერო ქურდებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში. სპეციალისტების განმარტებით, წყალტუბოს ზონის სოფლების მწვანილის ბიზნესს 140 მილიონის მოგება მოაქვს. თანხის ოცი პროცენტი (ანუ 28 მილიონი ლარი) ქურდების ჯიბეში მიდიოდა. **"ყველამ იცის, რომ ამით კრიმინალები მდიდრდებიან და ხელისუფალი ამაზე რეაგირებას არ აკეთებს... ჩვენ რა უნდა ვქნათ? ვინც ქურდების წესებს არ დაემორჩილება, მოსკოვში ჩასულ მანქანებს წვავენ, ჩვენ გვცემენ და გვძარცვავენ..."** - აცხადებდნენ მემწვანილეები.

მას შემდეგ, რაც ფერმერებმა დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართეს, ვითარება შეიცვალა. კონკრეტულად, მწვანილის დამამზადებელ პუნქტებში ამჟამად "კანონიერი ქურდების" მანქანები აღარ დგანან. გლეხებს აღარავინ აიძულებს, მწვანილი მხოლოდ ქურდების გადამზიდავი ფირმის საშულებით გაიტანონ რუსეთში. მემწვანილეების განმარტებით, პოლიციამ ამ ბიზნესის მონოპოლისტი რამდენიმე სტატუსიანი ქურდი დააკავა და ამან ის გამოიწვია, რომ მათი ჩამოცილებით მოსახლეობამ შეღავათი მხოლოდ მწვანილის ტრანსპორტირებისას მიიღო. ამჟამად კილოგრამი მწვანილის რუსეთში გატანა 40 თეთრით იაფი ჯდება, ვიდრე ეს ქურდების "კამაზების" მეშვეობით ხორციელდებოდა. თუმცა, საქართველოში შევიწროებულ კრიმინალებს საქმიანობა მაინც არ შეუწყვეტიათ. "კანონიერი ქურდების" რეკეტი რუსეთის ტერიტორიაზე გაძლიერდა. საქართველოში დაწესებული შეზღუდვის გამო ქურდები მემწვანილეებს რუსეთის ტერიტორიაზე ახლა ორმაგად ბეგრავენ.

**"ახლა ადგილობრივი ქურდებისგან თავისუფალი ვართ, სოფლებში მათი სატვირთო მანქანები აღარ დგანან. სამაგიეროდ, ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია რუსეთში. ქურდების წარმომადგენლები ახლა თითქმის ორმაგს გვართმევენ. შეინიშნება სხვა მომენტებიც. კერძოდ, მათ ყვარყვარე თუთაბერის ხრიკები აითვისეს. კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელება ახლა არ მინდა, მაგრამ ქურდების წარმომადგენლები ახლა ხელისუფლების სახელით მოდიან და გვეუბნებიან, რუსეთში ჩვენი მანქანები უნდა წავიდესო. ისინი სპეციალურ ნიხრებს აწესებენ და ამბობენ - ეს საქმე ხელისუფლებამ დაგვავალაო... იბარებენ ექსპორტიორებს და ეუბნებიან, ჩვენ გარეშე მანქანებს ვერ გაიყვანთო,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა ექსპორტიორმა.

ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მემწვანილეთა პრობლემების მოგვარებას ცდილობს, - "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაა". მათი ძალისხმევით წყალტუბოს დაბალი ზონის სოფლებში ახლახან ბაღჩეულისა და ბოსტეულის ასოციაცია "კოლხეთი" დაარსდა. მემწვანილეთა უფლებები აღნიშნულმა ორგანიზაციამ უნდა დაიცვას. "კოლხეთის" მიზანია ამ სფეროს კრიმინალებისაგან გათავისუფლება, მწვანილის ექსპორტისთვის ხელშეწყობა და ახალი ევროპული ბაზრის მოძიება.

არადა, დანაშაულებრივი სამყაროს ბიუჯეტში წასული ფული ქვეყნის ბიუჯეტისთვის სერიოზული დანამატი იქნებოდა. **"მწვანილის ექსპორტიდან წინა წელს ბიუჯეტში გადახდილი იყო 980 ლარი. ეს მაშინ, როდესაც ამ ბიზნესის სეზონური საქონელბრუნვა 10-12 მილიონი ლარია და მთელი ეს ფული კრიმინალების ხელში მიდის. მე გამოვედი ინიციატივით, რომ აღნიშნული სფერო კრმინალებისგან დაგვეცვა... თუკი მწვანილის ბიზნესიდან ბიუჯეტში წელიწადში 200-300 ათსი ლარი შემოვა, ეს ფული ისევ სოფლების კეთილმოწყობას მოხმარდება,"** - აცხადებს პრეზიდენტის რწმუნებული დათო მუმლაძე. მემწვანილეები კი სახელმწიფო გარანტიებს კვლავაც უნდობლობით უყურებენ. ისინი აცხადებენ: თუ რუსეთის ტერიტორიაზე მწვანილის ბიზნესის "რეკეტით" დაკავებული ქართველი "კანონიერი ქურდები" არ დააპატიმრეს, აღნიშნული ბიზნესი კრიმინალების კონტროლიდან ვერასოდეს გამოვა.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ჩვენ დევნილ მოსახლეობას წარმოვადგენთ

*აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლეს საბჭოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს - "ნაციონალური მოძრაობის" წევრი თეიმურაზ მჟავია. აქტიური დევნილები მასზე ამბობენ: ჩვენი მეგობარი კაცია, ეროვნული მოძრაობიდან მოდის, მაგრამ არ ვიცით გაქაჩავს თუ არაო. დევნილებს იმდენი პრობლემა დაუგროვდათ, რომ მათი შეშფოთება სრულიად გასაგებია. რამდენიმე კითხვით ახალ თავმჯდომარეს სწორედ ამ პრობლემების თაობაზე მივმართეთ.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**- ბატონო თემურ, ბოლო წლებში დევნილ მოსახლეობაში ძალიან არაპოპულარული გახდა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება. თქვენი აზრით, ძირითადად, რამ გამოიწვია ეს უკმაყოფილება?**

- უკმაყოფილების წინაპირობა წინა პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება იყო. არ მინდა ნიშნისმოგებით საუბარი და თავის მართლება, მაგრამ ყოვლად მიუღებელია ის პოზიცია, რომელიც მათ აფხაზეთის საკითხში ჰქონდათ - სრული უმოქმედობა.

ამდენად, ახალ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენს დევნილ ხელისუფლებასაც საქმის თავიდან დაწყება მოუწევს (თუმცა, ეს არ იქნება ნულიდან დაწყება, რაღაც-რაღაცები მაინც კეთდებოდა).

უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი იყო ის ტრაგიკული გარემოება, რომელშიც დევნილი ხელისუფლება აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, 5 წლით არჩეული ხალხი თავის უფლებამოსილებას 12 წლის განმავლობაში ახორციელებს. ბუნებრივია, ასეთი ხელისუფლება მოსახლეობისთვის მიუღებელი და არაპოპულარული ხდება. თუმცა, მე არ ვამბობ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რაც ამ შეზღუდულ პირობებშიც კი შეიძლებოდა.

**- ახლა რისი გაკეთება შეიძლება?**

- აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ორი მიმართულებით უნდა იმუშაოს - პოლიტიკური და სოციალური. ჩვენ გველის ხელისუფლების დაკომპლექტების პრობლემა, რაც, ცხადია, მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ამ პროცესს უაღრესად პრინციპულად მიუდგება. მით უმეტეს, რომ დევნილი საზოგადოება აღმასრულებელ ხელისუფლებაში მისთვის სასურველ ცვლილებებს ელის.

რაც შეეხება სოციალურ სფეროს, აქ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შესაძლებლობები შეზღუდულია. საამისოდ ყველა რესურსი აკუმულირებულია ცენტრალურ ხელისუფლებაში - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. ჩვენ შეგვიძლია, მათ წინაშე გარკვეული მოთხოვნებითა და რეკომენდაციებით წარვდგეთ, ვინაიდან დევნილ მოსახლეობას წარმოვადგენთ და ძალიან კარგად ვიცით მისი პრობლემები. ჩვენი ხედვა ამასთან დაკავშირებით საკმაოდ კვალიფიციურია.

**- ახალი რეალობიდან გამომდინარე, როგორია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა?**

- ეს არის ურთულესი, მრავალდონიანი კონფლიქტი, რომელიც რეგიონული კონფლიქტიდან იწყება და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტით მთავრდება. იგი გადაჭრილად ჩაითვლება მაშინ, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია აღსდგება. ამ საკითხში კი კონსტიტუციური უფლებამოსილება და პრეროგატივა ცენტრალურ ხელისუფლებას გააჩნია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია, გვერდში ამოვუდგეთ მას.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

თემურ მჟავია

აქვე გეტყვით, რომ საკმაოდ იმედიანად ვარ განწყობილი. შეუძლებელია, დადებითად არ შეფასდეს ის ვიზიტები, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ამ მოკლე ხანში განახორციელა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ვიზიტები უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საფრანგეთი (ევროპის ცენტრი), აშშ, რუსეთი და სომხეთი - ის ქვეყნებია რომელთაც გარკვეული, ზოგ შემთხვევაში, სრულიად გამოკვეთილი მიმართება გააჩნიათ აფხაზეთის პრობლემასთან. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას და მის მიერ იმ ჩარჩო ხელშეკრულების შესრულებას, რომელიც იცავს საქართველოს, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყნის უფლებამოსილებას. რუსეთში ვიზიტის შემდეგ ურთიერთობების აშკარა დათბობა იგრძნობა. იმედია, რუსეთი თავად მივა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ინტერესებიც გასათვალისწინებელია და თავის იმპერიულ ამბიციებზე უარს იტყვის.

ცხადია, გულხელდაკრეფილი არც ჩვენ უნდა ვისხდეთ. დევნილ მოსახლეობაში აფხაზეთში დაბრუნების მოთხოვნილება კი არის, მაგრამ საჭიროა უდიდესი ნება და სწრაფვა გვქონდეს. ჩვენ ასეთი იდეოლოგია უნდა ჩამოვაყალიბოთ. სწორედ ეს იქნება ჩვენი მხრიდან ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა აფხაზეთის საკითში.

**- როგორია თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საკითხისადმი?**

- ეს უმტკივნეულესი საკითხია. ამასთან დაკავშირებით აბსოლუტურად ჯანსაღი სულისკვეთებაა, როცა დევნილი მოსახლეობა ამბობს, რომ კმარა 12-წლიანი უძრაობა. გულახდილად ვამბობ, მიხარია, რომ საზოგადოება ამ მიმართულებით გააქტიურდა. ცხადია, არსებობს ბუნებრივი წინააღმდეგობა საზოგადოებასა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ შევაჯერებთ ინტერესებს, პოზიციებს და მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ლეგიტიმაციას ცენტრალური ხელისუფლება მიანიჭებს. მოგეხსენებათ, ჩვენი ლეგიტიმაციის წყარო სწორედ ცენტრალური ხელისუფლებაა, რომელმაც 1995 წელს უფლებამოსილება აღუდგინა დევნილობაში მყოფ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და მინისტრთა საბჭოს. ამიტომ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების როლი და ადგილი კონფლიქტის მოგვარების საკითხში. მანვე უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება იმ მოსალოდნელი არჩევნების მიმართ, რომლის ჩატარება-არჩატარება პოლიტიკური საკითხია და არა სამართლებრივი პრობლემა. მთავარია, განისაზღვროს - პოლიტიკურად რამდენად მიზანშეწონილია არჩევნების ჩატარება და რამდენად წაადგება ეს სახელმწიფოს ინტერესებს. ყოველივე ეს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაირკვევა.

**- როგორ უყურებთ თანამდებობრივი შეუთავსებლობის ინსტიტუტს, რომელსაც დღემდე ჰქონდა ადგილი აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში?**

- თავისთავად ცხადია, რასაც სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, ის უპირობოდ მოიშლება. ამის გარანტი ვიქნებით მე და ჩემი კოლეგები უმაღლესი საბჭოდან.

**- დაბოლოს, რა გზით უნდა დავბრუნდეთ აფხაზეთში?**

- თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ ჩემი დამოკიდებულება თამაზ ნადარეიშვილის პოზიციისადმი. სხვათა შორის, ჩვენს შორის ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ გაეროს VII თავს არსებობის უფლება თავისთავად აქვს.

თუმცა ვფიქრობ, რომ სამშვიდობო ინიციატივების საკმარისი რესურსი არსებობს, რომელიც ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. უფრო მეტიც, სამშვიდობო რესურსი ჯერ არც ამოძრავებულა. აქედან, ჩემი პოზიციაა მშვიდობიანი დიალოგი და გახლეჩილი საზოგადოების მოთხოვნილებების შეჯერება.

# "აფხაზური კლუბი" ქუთაისში

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ახლახანს ქუთაისში პროექტ "თქვენი აფხაზეთის" ფარგლებში "აფხაზური კლუბის" გასვლითი სხდომა მოეწყო. ქუთაისში გაზეთ "24 საათის" მაგივრობა და კლუბის წევრების მასპინძლობა ფონდმა "სოხუმმა" იკისრა, რომელსაც ქალბატონი ალა გამახარია ხელმძღვანელობს. პროექტის კოორდინატორის თორნიკე ბერიშვილის განმარტებით, მრგვალი მაგიდის მიზანი იყო ქუთაისში მცხოვრები დევნილების აზრის გაგება აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების პერსპექტივის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ფონდ "სოხუმის" საკონფერენციო დარბაზში მოწვეულნი იყვნენ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების წარმომადგენლები. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობდნენ: ლორიკ მარშანია, ზურაბ ერქვანია, გურამ ოდიშარია, ჯემალ გამახარია, ვახტანგ ხმალაძე, სოხუმის სუბტროპიკული უნვერსიტეტის რექტორი და სხვები...

დღის წერსიგის მიხედვით შეხვედრაზე დისკუსია შემდეგ თემებზე გაიმართა: აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები (რეალობა და პერსპექტივა) ხედვა რეგიონებიდან. ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტის მოგვარებაში და სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობა.

**"ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობენ ქუთაისში მყოფი დევნილები იმის შესახებ, თუ სად უნდა არსებობდეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურები და საერთოდ რა სტრუქტურებზე შეიძლება საუბარი დღევანდელ სპეციფიკურ ვითარებაში. არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ამუშავებენ აღნიშნულ საკითხებზე სპეციალურ პროექტებს. ჩემი მიზანია ამ პროექტების განხილვის მოწყობა და ჯანმრთელი კრიტიკის მოსმენა, რათა შემდგომში ისინი ხელისუფლებისთვის რეალურ რეკომენდაციებად გადაიქცეს,"** - განაცხადა თორნიკე ბერიშვილმა.

დისკუსიაში მონაწილე ადგილობრივმა დევნილებმა განაცხადეს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურა აუცილებლად მოითხოვს გადახედვას. კერძოდ დაისვა საკითხი, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება სამოცზე მეტ საბიუჯეტო ორგანიზაციას ინახავს, რაც დევნილებს არამართებულად მიაჩნიათ. ამავე დროს ისინი უკმაყოფილებას გამოხატავენ აფხაზეთის დეპუტაციისთვის საქართველოს პარლამენტში ვადის გაგრძელების გამო. აღნიშნულ საკითხზე დევნილთა მოსაზრებას ვახტანგ ხმალაძეც დაეთანხმა.

**"პარლამენტის წევრებისთვის ვადის გაგრძელების პროცედურა არაბუნებრივი პროცესია. უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა გაირკვეს საქართვლოსთვის უკეთესია თუ არა პარლამენტში აფხაზეთიდან დეპუტაციის ყოფნა. პირადად მე მიმაჩნია რომ ეს საჭიროა, ამიტომაც უნდა მოინახოს სამართლებრივი გზა ამის განხორციელებისათვის,"** - განაცხადა ხმალაძემ.



*გასვლითი სხდომა ქუთაისში.*

ცალკე დისკუსიის საგანი გახდა დევნილთა საკანონმდებლო ორგანოს არსებობა. **"ჩემი აზრით დევნილების წარმომადგენლობითი ორგანო რაღაც ფორმით უნდა არსებობდეს, თუმცა იდეალურთან მიახლოებულ სახელმწიფოში ეს აუცილებელი არ არის. სახელმწიფო ერთნაირად უნდა ზრუნავდეს ნებისმიერ მის მოქალაქეზე, მაგრამ დაბრუნების შემთხვევაში დევნილებს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური პოზიციები. ამიტომაც არ იქნებოდა ურიგო, თუკი კანონის საფუძველზე იარსებებდა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ როტაციას განიცდიდა. ის რაც ამ მხრივ დღეს ხდება, არღვევს ნებისმიერ კანონს და ხელს უწყობს ანტისახელმწიფოებრივ აზროვნებას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ სახელმწიფო არა ვართ. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მოსპობის. უნდა შეიცვალოს მისი სახელი, რადგანაც იგი მთლიანად აფხაზეთს არ წარმოადგენს, თუმცა სახელში უნდა შენარჩუნდეს დევნილი და აფხაზეთი,"** - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ სად უნდა განთავსდეს ლეგიტიმური ხელისუფლება, დევნილები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, თითქმის, ერთსულოვანნი იყვნენ: **"დევნილთა ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა იყოს თბილისში, რადგან იგი საქართველოს დედაქალაქია. ზუგდიდში ყოფნა კი იმას ნიშნავს რომ ვიღაცას არ უნდა ამ ორგანოების არსებობა."**

ჯემალ გამახარია კი ყველაფერზე პასუხისმგებლობას ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას აკისრებდა: **"საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები, ამიტომაც ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა აფხაზეთის დაბრუნებას ეს სტრუქტურები."**

რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორებს "მრგვალი მაგიდის" მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური ფაქტორები კონფლიქტის მოგვარებისას პირველხარისხოვანი არ არის. **"ეკონომიკური ფაქტორები ძალიან მაღალ დონეზეა ესპანეთში და კანადაში, მაგრამ სეპარატიზმი მაინც არსებობს,"** - აცხადებდა ზაქარეიშვილი.

შეხვედრაზე გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ **"დევნილებს შორის ჩატარდეს რეფერენდუმი და თავად ხალხს ვკითხოთ როგორი ფორმით სურს ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფნა."**

საბოლოო ჯამში მრგვალი მაგიდის ყველა მონაწილე ერთხმად აცხადებდა, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურების ამ ფორმით არსებობა დაუშვებელია და იგი სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს.

— *ცხოვრებისეული ისტორიები* —

## სოხუმში ვეღარ დავბრუნდი...

სახლი, რომელშიც მე სოხუმში ვცხოვრობდი, განსაკუთრებული იყო. მას სოხუმში "აფხაზურ" სახლს ეძახდნენ, რადგან ძირითადად აფხაზები ცხოვრობდნენ.

ომი რომ დაიწყო, ძალიან გაგვიჭირდა ყველას: ქართველებსაც და აფხაზებსაც. ომი, რა თქმა უნდა, საშინელი რამაა - იყო განუწყვეტელი ძარცვა და ქურდობა. ჩვენი სახლი ახალ რაიონში იდგა. ომის დროს, გუმისთის მხრიდან, აფხაზური პოზიციები ძალიან ახლოს იყო ჩვენს სახლთან. იყო სროლები და ბევრი ცუდი რამ - ეკონომიკურად ყველას ძალიან გაგვიჭირდა. პური ძალიან ძნელად იშოვებოდა და ეს იყო პირველი პრობლემა. საერთოდ, საჭმელი ძალიან ცოტა იყო.

მე მყავდა აფხაზი მეზობლები, მრავალშვილიანი ოჯახი. მათ რვა თუ ცხრა შვილი ჰყავდათ, კარგად აღარ მახსოვს. ბავშვები დედით ობლები იყვნენ და მე ისინი ძალიან მეცოდებოდნენ.

ეს ბავშვები ყოველდღე, სამსახურიდან ჩემს დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ. მე, რა თქმა უნდა, დედის მაგივრობას ვერ ვასრულებდი, მაგრამ მათთვის ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვინც მათ ეხმარებოდა, მათზე ზრუნავდა.

ისინი ხშირად მოდიოდნენ ჩემთან ერთი თხოვნით: მიმეცა მათთვის ცოტა პური, შაქარი, ან ჩაი. მათ ზუსტად იცოდნენ სამსახურიდან ჩემი მოსვლის დრო და უკვე კარებთან ატუზულები მეკითხებოდნენ - "დარეჯან დეიდა, შეიძლება თქვენთან შემოვიდეთ? შეიძლება, ჩაი დავლიოთ თქვენთან?".

მე თვითონ დედა ვარ და, რა თქმა უნდა, როგორც შემეძლო, ყოველთვის ვეხმარებოდი ბავშვებს, ხან რას ვაძლევდი და ხან რას.

ღვთის ნებით, ალბათ, დავბრუნდებით სოხუმში და მე მათ კვლავ შევხვდები. ისინი უკვე დიდები იქნებიან, მაშინ ყველაზე პატარა მხოლოდ სამი წლისა იყო, უფროსი კი - თოთხმეტის.

ამდენი წელია, მათ შესახებ აღარაფერი ვიცი, არადა, ხშირად მახსენდებიან. მე ვგრძნობდი, რომ მათ ძალიან ვუყვარდი. ალბათ, ისინიც იმავეს გრძნობდნენ ჩემგან. ბავშვები ხომ ყველაზე კარგად ხვდებიან, როდესაც ისინი უყვართ. ყოველთვის, როდესაც მე სამსახურში მივდიოდი, ბავშვები, განსაკუთრებით პატარები, ამას ძალიან განიცდიდნენ - იცოდნენ, რომ მათი დატოვება მომიხდებოდა რამდენიმე საათით...

მერე დაიწყო დაბომბვები, აღარ შეიძლებოდა ქალაქში გაჩერება და ჩემმა ოჯახმაც დატოვა სოხუმი.

მას შემდეგ სულ ასე მგონია, რომ იმ ბავშვებს ვუღალატე - სამსახურიდან შინ აღარ დავბრუნდი, მათი იმედი ვერ გავამართლე და ჩემდაუნებურად, ისინი ბედის ანაბარა მივატოვე.

მაგრამ ჩემი ბრალი ნამდვილად არ არის - ერთ მშვენიერ დღეს, უბრალოდ, შინ დაბრუნება ვეღარ შევძელი...

*ლელა მარგიანი*


პირველად საქართველოში - იპოთეკური სესხები 10 წლით

თუ თქვენ გსურთ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ: სახლი, ბინა ან აგარაკი, მაგრამ არ გაგაჩნიათ საკმარისი დანაზოგი,

„თიბისი ბანკი" გთავაზობთ იპოთეკური დაკრედიტების პროგრამას !

იპოთეკური სესხები არის :

იაფი - წლიური საპროცენტო განაკვეთი 16-დან 20 %-მდე;
გრძელვადიანი - იპოთეკური სესხი გაიცემა 10 წლამდე ვადით;
სწრაფი - სესხის დამტკიცება 3 დღეში;

იპოთეკური კრედიტით შეიძლება ისარგებლონ:

მოქალაქეებმა, რომელთაც გააჩნიათ სტაბილური, დოკუმენტურად დადასტურებადი შემოსავალი, რომელიც მიიღება:
- ხელფასის სახით (მინ. 400 აშშ დოლარის ოდენობით)
- საიჯარო გადასახადის სახით;
- დივიდენდის სახით.

სესხის უზრუნველყოფა:

სახლის ბინის შეძენა - შესაძენი ბინა ან სახლი
რემონტი - სარემონტო ობიექტი
მშენებლობა - მშენებარე ობიექტი და არსებული საცხოვრებელი სახლი ან ბინა



სესხები 10 წლით

მოიწყე ცხოვრება დღეს - გადაიხადე ხვალ !

თი ბი სი ბანკის ვერის ფილიალი. მელიქიშვილის გამზ. 18 ტელ.:22 25 37.

www.24hours.ge 24 B

# აბუ არსანუკაევი: "ზვიადის ნეშტი ჩემი ხელით გადავასვენე"

A1 გვერდიდან

საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელმაც 1993 წლის 31 დეკემბერს, ღამის პირველ საათზე ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების ოჯახში, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, 1994 წლის 1-დან 10 იანვრამდე გასაიდუმლოებულ ვითარებაში პირადი დაცვის წევრების - რობინზონ მარგველანის, გოჩა კეკენაძის, ბაჩუკი გვანცელაძის, ზაზა ბურჯანაძის და მაშინდელი პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის მიერ დაკრძალული იქნა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარში, ადგილობრივი გლეხის ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში. ვინაიდან მაშინდელი ხელისუფლების სპეცსამსახურები ექსპრეზიდენტის ნეშტს გამალებით ეძებდნენ, უსაფრთხოების მიზნით, პირველად ის საიდუმლო ვითარებაში გადასვენებული იქნა 11 იანვარს იმავე სოფელში ადგილობრივი მცხოვრების ვალიკო ზარანდიას ფარდულში, სადაც 17 თებერვლამდე იყო დამარხული. გამსახურდიას ქვრივის მანანა არჩვაძის მოთხოვნით, 17 თებერვალს ჯიხასკარში ჩასულმა ჩეჩნეთის მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა თანმხლებ დელეგაციასთან ერთად, ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის პირადი თვითმფრინავით, ზვიად გამსახურდიას ნეშტი გროზნოში გადაასვენა, სადაც 24 თებერვალს პრეზიდენტის საკადრისი პატივით, ის ჩეხოვის ქუჩაზე, იმ სასტუმროს ეზოში დაკრძალეს, რომელშიც გამსახურდია მეუღლესა და შვილებთან ერთად 1992 წლის იანვრიდან იძულებითი ემიგრაციის პერიოდში ცხოვრობდა. რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის (1994-97) დროს გამსახურდიას საფლავი მნიშვნელოვნად დაზიანდა, არსებული ინფორმაციით, გროზნოში შესულმა რუსეთის არმიის ჯარისკაცებმა საფლავის ქვა ავტომატური იარაღიდან დაცხრილეს, თუმცა ნეშტის მეოთხედ საიდუმლოდ გადასვენების შესახებ გადაწყვეტილება, მხოლოდ მეორე ომის (1999) დაწყების შემდეგ მიიღეს, სანამ რუსები გროზნოს მეორედ აიღებდნენ.

აბუ არსანუკაევი ის ადამიანია, რომელმაც პირველი პრეზიდენტის ქვრივის მანანა არჩვაძის თხოვნა დააკმაყოფილა და სისხლისმღვრელი ბრძოლების დროს, რამდენიმე ადამიანთან ერთად გამსახურდიას ნეშტი გადაასვენა. არსანუკაევი ჩეჩნეთში ერთ-ერთი ცნობილი ფიგურაა. 1992 წლიდან ის პრეზიდენტ დუდაევის პირადი დაცვის უფროსი იყო და პარალელურად გროზნოში ჩასული ზვიად გამსახურდიას და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების დაცვაც ევალებოდა. როგორც ამბობენ, დუდაევი მას თვალდახუჭული ენდობოდა და მის პროფესიონალიზმს უდიდეს პატივს სცემდა. დუდაევმა არსანუკაევი იჩქერიის უმაღლესი ორდენით "კომან სითაც" (ვაინახურად - ერის ღირსება) კი დააჯილდოვა. დუდაევის მკვლელობის შემდეგ, არსანუკაევი მცირე ხნით ჩეჩნეთის პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ კი კარგა ხანი ჩრდილში იყო. 1999 წელს იგი ახალმა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა გაიხსენა, ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭა და თავის ადმინისტრაციაში ოპერატიული შტაბის უფროსად დანიშნა. 2000 წლის ივნისში არსანუკაევი სოფელ ცა-ვედენოში რუსებმა დააპატიმრეს, თუმცა მოულოდნელად მეორე დღესვე გაუშვეს. 2002 წლის ივლისში მან ღია წერილით მიმართა ჩეჩნეთის ამჟამინდელ მეთაურს ახმად კადიროვს და შეწყალება, ხელშეუხებლობა და სამსახური ითხოვა. დღეს იგი კადიროვის ადმინისტრაციის წევრია, პარალელურად კი ჩეჩნეთის გუდერმესის რაიონის მმართველების ძმებ იამადაევების დაცვის უფროსად მუშაობს. არსანუკაევი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ადამიანიდან, რომელმაც გამსახურდიას ახალი საფლავის ადგილმდებარეობა იცის. ის ამაყობს იმით, რომ იცნობდა და ემსახურებოდა ისეთ პიროვნებას, როგორიც პრეზიდენტი გამსახურდია იყო. აბუ არსანოვი ახლაც დიდი მოწიწებით იხსენებს საქართველოს პირველ პრეზიდენტს:

- ზვიად გამსახურდია ახლოს მაშინ გავიცანი, როდესაც 1992 წელს სომხეთიდან გროზნოში ჩამოფრინდა ოჯახთან, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან ერთად. მას შემდეგ, მე, როგორც იჩქერიის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის დაცვის უფროსს, ზვიადის და მისი ოჯახის წევრების დაცვაც დამევალა. ჯოხარი ზვიადს უდიდეს პატივს სცემდა, თავის ძმად მიაჩნდა, იცოდა რა ზვიადის სულიერი და მორალური მდგომარეობა, ცდილობდა გაემხნევებინა, ძალიან ხშირად მიდიოდა ჩეხოვის ქუჩაზე იმ სასტუმროში, სადაც ზვიადი, ქალბატონი მანანა, გიორგი და ცოტნე ცხოვრობდნენ. ზვიადი ძალიან დიდი პიროვნება იყო, ვამაყობ იმით, რომ ვიცნობდი და ვემსახურებოდი მას. ურთიერთობაში ის ძალიან უშუალო და უბრალო იყო, ხშირად გვესაუბრებოდა, თუ კარგ ხასიათზე იყო, გვეხუმრებოდა კიდეც. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ჯოხარის გარდა მას ჩეჩნეთის მაშინდელი ელიტის ყველა წარმომადგენელი უდიდეს პატივს სცემდა.

საქართველოდან გამოძევებული პრეზიდენტის ფიქრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი სამშობლოს გარშემო ტრიალებდა. ის ოცნებობდა იმ დღეზე, როცა კვლავ შეძლებდა საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას. რამდენჯერმე უთქვამს, რომ ამ შემთხვევაში ჩეჩნეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი გახდებოდა, დააფინანსებდა საავტომობილო გზის მშენებლობას, რომელიც საქართველოსა და ჩეჩნეთს დააკავშირებდა და ჩვენ, ჩეჩნებს მოგვეცემოდა საშუალება საქართველოში და შემდეგ თურქეთში უპრობლემო გამგზავრებისა. ის გვპირდებოდა, რომ იჯარით მოგვცემდა ფოთის ნავსადგურს და ჩვენ, საქართველოს მეშვეობით, შევძლებდით ნავთობის ევროპაში გატანას და ამით საქართველოც მოიგებდა. მას სხვა ბევრი საინტერესო იდეა ჰქონდა, ის ერთიან კავკასიაზე, საერთოკავკასიურ ერთობაზე ოცნებობდა.

**- რით იყო განპირობებული ის, რომ დუდაევმა ზვიად გამსახურდიას დაცვა თქვენ, მისი პირადი დაცვის უფროსს დაგავალათ, რაიმე საფრთხე ემუქრებოდა მას გროზნოში?**

- პირველ რიგში, ეს გამოწვეული იყო იმ დიდი პატივისცემითა და დამოკიდებულებით, რაც დუდაევს გამსახურდიას მიმართ ჰქონდა. ზვიადი მთელი ჩეჩენი ერის სტუმარი იყო, ჩეჩნეთის პრეზიდენტი მას ყურადღებას არ აკლებდა. მეორეც - საფრთხე ყოველთვის არსებობდა. ზვიადს უამრავი მტერი ჰყავდა. ჩეჩნეთში მისი მოყვრების გარდა, იყვნენ ისეთები, ვისაც გამსახურდიას მიმართ ჯოხარის ასეთი ყურადღება აღიზიანებდა. საქართველოში მოსული ახალი ხელისუფლებაც ყველანაირად ცდილობდა, რომ გამსახურდია მათთვის გადაგვეცა. ჯოხართან ამ თემაზე საუბარი არ გაუბედავთ, თუმცა ჩემთან და დაცვის ბიჭებთან, ხშირად მოდიოდნენ, გვპირდებოდნენ დიდ ფულს, თუ გამსახურდიას გადავცემდით. სხვათა შორის, ძალიან დიდ თანხებზე იყო საუბარი. თუმცა ამ თემაზე საუბარს, რა თქმა უნდა, აზრი არ ჰქონდა, გამსახურდია ერის სტუმარი იყო. ჩვენ მას არც ცოცხალს და არც მკვდარს, არანაირ ფულზე არ გავცვლიდით. იყო კიდევ ერთი მომენტი: მასთან ძალიან ხშირად ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ადამიანები, საქართველოდან, მოსკოვიდან, იმართებოდა შეკრებები მინისტრებთან, დეპუტატებთან, ჟურნალისტებთან... ასე რომ, პრეზიდენტის გაძლიერებული დაცვა აუცილებელი იყო.

**- როგორ ცხოვრობდნენ გამსახურდიები ჩეხოვის ქუჩაზე?**

- ძალიან უბრალოდ. ყველა ძალიან ნერვიულობდა - ქალბატონი მანანა, ცოტნე, გიორგი. ძალიან იშვიათად თუ ნახავდით მათ სახეზე ღიმილს. მახსოვს, როგორც კი ტელევიზორში საინფორმაციო გადაცემები იწყებოდა, ყველანი ერთად ჩამორბოდნენ მეორე სართულიდან პირველზე, რომ საქართველოს ამბები გაეგოთ. ზოგჯერ ბიჭებთან ასანთის ღერებზე ბანქოსაც ვთამაშობდით. თუ ხასიათზე იყო, ზვიადს მწვადის შეწვა უყვარდა. მთელი რიტუალი იყო, არაჩვეულებრივად წვავდა, მისი შემწვარი მწვადის გემო ახლაც კარგად მახსოვს.

**- 1993 წლის სექტემბერში გამსახურდიამ საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, ჯოხარ დუდაევისთვის ეს მოულოდნელი იყო?**

- მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ზვიადი ხშირად საუბრობდა ამაზე. ჯოხარი სულ წინააღმდეგი იყო. მაშინაც ძალიან დიდხანს ისაუბრეს, დუდაევი უმტკიცებდა, რომ ეს გადაწყვეტილება მცდარი იყო, მაგრამ ზვიადმა არ დაუჯერა. სამ თვეში მისი თვითმკვლელობის შესახებ გავიგეთ. საერთოდ, მგონია, რომ 1993 წლის დეკემბერში რომც არ დაღუპულიყო, დიდხანს, ალბათ, ვერ იცოცხლებდა, ის ძალიან განიცდიდა ყველაფერს, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ განიცდიდა. 1994 წლის 24 თებერვალს ის გროზნოში დავკრძალეთ. ასეთი პატივით ჩეჩნეთის ისტორიაში არავინ დაუკრძალავთ. მინდა, ეს ქართველებმა იცოდნენ. ჯოხარ დუდაევმა ყველაფერი გააკეთა, რომ შესაბამისი პატივი მიეგო ზვიადისთვის. უცნაურია რომ მისი დაკრძალვა ჩვენი გენოციდის დღეებს დაემთხვა. 1944 წლის 23 თებერვალს ქართველმა ჯუღაშვილმა, იოსებ სტალინმა ყველა ჩეჩენი, მათ შორის ჩემი მშობლები, ყაზახეთსა და ციმბირში გაასახლა. 50 წლის მერე მე და მთელმა ჩეჩნეთმა გროზნოში საქართველოს პრეზიდენტი მივაბარეთ მიწას. ამ უცნაურ დამთხვევაზე, მას შემდეგ, ხშირად მიფიქრია, ალბათ, ეს კანონზომიერი იყო.

**- რით იყო გამოწვეული გამსახურდიას ნეშტის ჩეხოვის ქუჩიდან გადასვენება?**

იმით, რომ საფლავი არ დაკარგულიყო, ვინმეს არ მოეთხარა და შემდეგ არ ევაჭრა. კიროვის ბაღისა და ჩეხოვის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გამსახურდია 1994 წლის 24 თებერვალს დავკრძალეთ, დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა, ამიტომ გადავმარხეთ *(რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დროს სასტუმროს ეზოში, სადაც დასაფლავებული იყო გამსახურდია, მოქმედებდა საველე ჰოსპიტალი და ეზოში უამრავი გარდაცვლილი ჯარისკაცი დამარხეს. გროზნოში ამბობენ, რომ გამსახურდიას ნეშტის გადასვენების აუცილებლობა სწორედ ამიტომ გაჩნდა - ავტ.)*

**- ვინ ხელმძღვანელობდა გადასვენებას?**

- ზვიად გამსახურდიას ნეშტი ჩემი ხელით გადავასვენე, როგორც კი გამსახურდიას ოჯახმა ასეთი სურვილი გამოთქვა. ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ადამიანი იყო, რომელსაც ზვიადთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

**- საქართველოდან თუ ესწრებოდა ვინმე გადასვენების პროცესს?**

- არა, ეს შეუძლებელი იყო. თუმცა, გამსახურდიების ოჯახი ყველაფრის საქმის კურსში იყო.

**- სად გადაასვენეთ ნეშტი?**

- ისევ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, საიმედო ადგილას. საფლავის ადგილმდებარეობა ძალიან ვიწრო წრემ იცის, როგორც გროზნოში, ისე თბილისში. ნეშტი იქ იქნება მანამდე, სანამ საქართველოს ახალი ხელისუფლება არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, მისი სამშობლოში გადასვენების შესახებ. *(გროზნოში არსებული ერთი ვერსიით, გამსახურდიას ნეშტი ერთ-ერთ მიუდგომელ ხევში დაკრძალეს. მეორე ვერსიით კი, ნეშტი გადაიტანეს იმ ადგილზე, სადაც, გასაიდუმლოებულ ვითარებაში, იჩქერიის პირველი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევია დაკრძალული - ავტ.)*

■ ■ ■

საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინიციატივას გამსახურდიას ნეშტის სამშობლოში გადასვენების შესახებ მიესალმება აბუ არსანუკაევის ამჟამინდელი პატრონი, ჩეჩნეთის პრომოსკოვური მეთაური ახმად კადიროვი. ის ამბობს, რომ ოფიციალური გროზნო შეძლებს თბილისიდან ჩასული დელეგაციის უსაფრთხოების დაცვას და გამსახურდიას ნეშტის გადასვენება უმტკივნეულოდ ჩაივლის.

- ზვიად გამსახურდიას პირადად არ ვიცნობდი. ჯოხარის დროს მე პოლიტიკურ საქმიანობას არ ვეწეოდი, მხოლოდ რამდენჯერმე მყავს ნანახი ადგილობრივი ტელევიზიით. ასევე შორიდან დამინახავს დუდაევთან ერთად რამდენიმე შეხვედრაზე ქალაქ გროზნოში. მე საქართველოს ახალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, გამსახურდიას ნეშტის გადასვენების შესახებ, მხოლოდ მივესალმები. გამსახურდია საქართველოს მოქალაქე, პრეზიდენტი იყო და სააკაშვილს სურს, რომ ის პატივით დაკრძალოს სამშობლოში. სააკაშვილის ადგილზე, ალბათ, მეც ამგვარად მოვიქცეოდი. ეს პატრიოტული ნაბიჯია.

**- ვისთან უნდა შეთანხმდეს ნეშტის გადასვენების დეტალები?**

- პირველ რიგში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, შემდეგ ჩვენთან, რომ უსაფრთხოება უზრუნველვყოთ. თუ მოსკოვთან ყველაფერი შეთანხმდება, იმ დელეგაციას, მისიას, რომელიც თბილისიდან ჩამოვა გამსახურდიას ნეშტის გადასასვენებლად, უსაფრთხოების ასპროცენტიან გარანტიას მივცემთ.

■ ■ ■

თუ თბილისიდან ზვიად გამსახურდიას გადასასვენებლად დელეგაცია ჩავა, იმ დღეს საომარი მოქმედებები, ალბათ, შეწყდება, დაპირისპირებული ჩეჩნების ორივე ბანაკში არიან გავლენიანი ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას დიდ პატივს სცემდნენ - ასე ფიქრობს მათე ციხესაშვილი. ეს ქართველი ქისტი, ჯოხარ დუდაევის პრეზიდენტობის პერიოდში, იჩქერიის პარლამენტის დეპუტატი იყო და 1994 წელს მონაწილეობდა გამსახურდიას ნეშტის გადასვენებაში, სამეგრელოს სოფელ ჯიხასკარიდან სენაკში, შემდეგ კი გროზნოში.

დღეს მათე ციხესაშვილი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში დაკარგული ადამიანების მოძიების კომიტეტის თავმჯდომარეა და ინგუშეთის ქალაქ ნაზრანში ცხოვრობს.

მათე ციხესაშვილი: "მაშინ სამეგრელოდან ზვიადის ნეშტის გადმოსვენება ძალიან რთულად წარიმართა. გროზნოში, ჩვენც და ოჯახმაც, მისი დაღუპვის შესახებ 3 იანვარს შევიტყვეთ, როცა ზვიადის დაცვის ბიჭები ჩამოვიდნენ. იცით, რომ საქართველოს უშიშროება საფლავს ეძებდა, რათა მის სიკვდილში დარწმუნებულიყო? ზვიადის პირადმა დაცვამ კი მოახერხა იმდენი, რომ მათ ჯიხასკარში საფლავს ვერ მიაგნეს. შემდეგ იყო ძალიან რთული მოლაპარაკებები თბილისთან. ჯოხარ დუდაევმა ამ მისიის შესრულება ვიცე-პრეზიდენტს, ახლახან მოკლულ ზელიმხან იანდარბიევს დაავალა. ყველაფერზე თითქოს შევთანხმდით, ჩავფრინდით სენაკში, გვამისთვის ექსპერტიზა არ უნდა ჩაეტარებინათ, ახლოსაც არ უნდა მიკარებოდნენ, ასეთი იყო ქალბატონ მანანას მოთხოვნა. მე ჩეჩნების დელეგაციაში ერთადერთმა ვიცოდი ქართული, იანდარბიევმა სწორედ იმიტომ წამიყვანა, რომ, თუ რამე ისეთ საუბარს გავიგებდი, უნდა მეცნობებინა მისთვის. სენაკში ყველაფერი შეიცვალა, პროკურატურამ კატეგორიულად მოითხოვა ექსპერტიზა, მანამდე ჯიხასკარიდან სენაკამდე ვერტმფრენშიც ქართველებსა და ჩეჩნებს შორის კინაღამ ჩხუბი დაიწყო, იანდარბიევი ძალიან გაბრაზდა, ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ცხედარი კინაღამ დაგვატოვებინეს, მაგრამ ჩვენ ჩვენი მაინც გავიტანეთ. ეს მომენტი ძალიან ცუდად მახსოვს, ყველა ჩეჩენს, ვინც იქ იყო, ასევე დაამახსოვრდა. არ ვიცი, რატომ მოიქცნენ მაშინდელი ხელმძღვანელები ასე ცუდად, ცხედარი რომ მართლა ზვიადის იყო, ეს ყველამ აღიარა, მეტი რა უნდოდათ?!

მიხარია, რომ ათი წლის შემდეგ საქართველოში ვითარება და განწყობები შეიცვალა და დღეს უკვე ზვიადის ნეშტის გადასასვენებლად ნიადაგი მზადდება. ის ხომ უდიდესი ქართველი და კავკასიელი იყო, ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან."









# აფიშა

### კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საოპერო სტუდიის სპექტაკლები
დონიცეტი "დონ პასკუალე"
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუთაშვილი
დას: 19.00 სთ

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ძიძა მამები"
დას: 11:30; 13:15; 15:00 სთ

"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 17:00; 19:15; 22:30 სთ

**ამირანი**
"ქუდიანი კატა"
დას: 13:00; 15:00 სთ

"21 გრამი"
დას: 17:00 სთ

"ანგარიშსწორება"
20:00; 22:00 სთ

### გამოფენა

**TMS**
ზაზა ნებიერიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე

**კოპალა**
უცნობი გუდიაშვილი

**ჰობი**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა "ექიმები ხატავენ"

### კლუბები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
გოსლაბ მარტ Eve
ნიკა მაჩაიძე (Nikakoi), ტუსია ბერიძე,
გოგი ძოძუაშვილი და თამუნა ქარუმიძე (ვიზუალური)
დას: 23:00 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს,** 1 აპრილს, 17 საათზე, მწერალი ზაალ სამადაშვილი ლიტერატურული ციკლით "ახალი განზომილება"; სტუმარი - მალხაზ ხარბედია; თემა - "პირადი ბიბლიოთეკა".

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## სავარაუდო ახალი ხელმძღვანელი

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვლადიმერ ვარძელაშვილი ერთ კვირაში, შესაძლოა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ დაინიშნოს.

როგორც ვლადიმერ ვარძელაშვილმა განაცხადა, მისი ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ რეკომენდაცია წარდგენილია პრეზიდენტ სააკაშვილთან, ხოლო ბრძანებულება პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ უნდა გამოსცეს.

25 წლის ვლადიმერ ვარძელაშვილი ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს, რამდენიმე თვეა, ხელმძღვანელობს. იგი ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრანტია.

*მედია-ნიუსი*

## დიზაინერთა კონკურსი

ხელოვნებისა და მოდელების კავკასიის სააგენტო AMCA-ს პრეზიდენტი სოფო ჭყონია საქველმოქმედო კონკურსს გამართავს და ახალგაზრდა მოდელიორ-დიზაინერებს გამოავლენს.

"ჩვენი პოდიუმი დედამიწაა" - ამ დევიზით გაიმართება 3 აპრილს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ახალგაზრდა მოდელიორ-დიზაინერთა ყოველწლიური საქველმოქმედო კონკურსი, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანების გამოვლენას და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

საქველმოქმედო ფონდ "ქალთა კლუბი - მეტეხის" (პრეზიდენტი მარინა გუნია) და AMCA-ს ორგანიზებით კონკურსი საქართველოში მეოთხედ იმართება.

კონკურსში 20 ახალგაზრდა მოდელიორ-დიზაინერი მიიღებს მონაწილეობას. გამარჯვებულთა გამოსავლენად "ქორთიარდ მარიოტში", AMCA-ს მოდელების მონაწილეობით, სპეციალური ჩვენება გაიმართება, სადაც თითოეულმა კონკურსანტმა ხუთი კოსტუმი უნდა წარმოადგინოს. 20 მონაწილეს შორის საუკეთესოთა გამოსავლენად იმუშავებს სპეციალური ჟიური, რომლის წევრებიც ქართველი და უცხოელი სპეციალისტები იქნებიან. მათ შორის: პარიზის მოდის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ფრენსის პეირონი, მილანის მოდის აკადემიის პრეზიდენტი რაფაელო მორეალე, აკადემია "იტალიანას" პრეზიდენტი, პროფესორი ვიჩენცო გიუბა. ჟიურის უხელმძღვანელებს სორბონისა და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორი ალექსანდრ ვასილევი.

კონკურსში გამარჯვებულები - გრანპრის, I და II ადგილის მფლობელები რუსეთში გამართულ საერთაშორისო კონკურს "სილუეტში" მიიღებენ მონაწილეობას. "ჟიური, ასევე, გამოავლენს საუკეთესო ესკიზების ავტორებს. ორგანიზატორების თქმით, გამარჯვებული ახალგაზრდა მოდელიორ-დიზაინერები სასწავლებლად ან სტაჟირების გასავლელად სხვადასხვა ქვეყანაში გაემგზავრებიან.

*ინტერ-პრესი*

*ცივილიზაცია*

# როგორ უნდა ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია საქართველოს სკოლებში

*დღეს ბევრი საუბრობს სკოლაში რელიგიის ისტორიის სწავლების შესახებ. აკაკი ბაქრაძის არქივში არის პატარა, ორგვერდიანი წერილი სათაურით - "ცნობისათვის", სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით. ალბათ, საინტერესო არის ამ თემის აქტუალურობის გამო, გავეცნოთ აკაკი ბაქრაძის მოსაზრებას და იმედი გვაქვს, რომ ის გახდება ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის საგანი. რელიგიის სწავლების საკითხი სკოლაში ეხება, საერთოდ, სკოლისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც და ეკლესიის როლსაც სახელმწიფოში.*
*როგორი სკოლა გვინდა: სეკულარული - საერო, თუ? როგორი გვინდა რომ იყოს ახალი ქართული სახელმწიფო ახალ საუკუნეში?*

*ლაშა ბაქრაძე*

აკაკი ბაქრაძე



მე მომხრე ვარ, რომ სკოლაში ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია საერთოდ, მაგრამ - არა ქრისტიანობის ისტორია გამოყოფით. რელიგიის ისტორიის სწავლება ჩემთვის ნიშნავს ყველა დიდი რელიგიის - ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმის - ძირეულ დებულებათა შედარებით შესწავლას. ამისათვის ცალკე სახელმძღვანელო უნდა არსებობდეს. მართალია, კაცობრიობა დაყოფილია რასებად, ერებად, ენებად, რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით, მაგრამ იგი მაინც ერთიანი და მთლიანია. ერთიანი და მთლიანი მისი ადამიანური არსია. თუ იგი დაყოფილია რასებად, ერებად, ენებად, რელიგიებად, ეს კაცობრიობის მრავალფეროვნებაა - ანუ მშვენიერება. "ჩვენ კაცთა მოგვცა სამყარო, გვაქვს უთვალავი ფერითა". ქართველობა ამ უთვალავი ფერის ნაწილია. ქართველ ბავშვს უნდა ჰქონდეს ღრმა შეგნება იმისა, რომ იგი ქართველია, მაგრამ ამასთანავე ისიც მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ კაცობრიობის ნაწილია. ქართველი ბავშვი უნდა გაიზარდოს სკოლაში სიამაყის გრძნობით თავის ეროვნების მიმართ, მაგრამ ამავე დროს მასში ნამცეციც არ უნდა ერიოს რასობრივი, ეროვნული, ენობრივი და რელიგიური სიძულვილისა. ეს ერთი მხარეა საკითხისა. მეორე გახლავთ ის, და ეს არსებითია, რომ ქართული სკოლის სახელმძღვანელო ქართველმა მუსლიმმა ბავშვმა ხელში ისე უნდა აიღოს, რომ რელიგიური დისკრიმინაციის რაიმე განცდა არ გაუჩნდეს. თუ სახელმძღვანელო სავსე იქნება ქრისტიანული ლოცვებით, მაშინ იგი ამ სახელმძღვანელოს უნდობლად მოეკიდება. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ჩვენ სახელმძღვანელოების გაგზავნა უნდა შეგვეძლოს თურქეთშიაც იქაურ ქართველებისათვის, ირანშიაც ფერეიდანელებისათვის და აზერბაიჯანშიც ინგილოებისათვის. მესამე - ზოგათსაგანმანათლებლო ქართული სკოლა არის საერო სკოლა. თუ მასში დიდი ოდენობით შევიტანთ ტექსტებს, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანულ მოძღვრებასთან, მაშინ მას იდეოლოგიურ ხასიათს მივცემთ; გვინდა თუ არ გვინდა, დავამსგავსებთ კომუნისტური რეჟიმის დროინდელ იდეოლოგიურ სკოლას. სკოლა რუსეთში ყოველთვის იდეოლოგიური იყო (ბუნებრივია, საქართველოშიც ასეთი სკოლა ინერგებოდა). ცარისტულ რუსეთში სკოლა ეყრდნობოდა სამ პრინციპს - თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ხალხურობა. კომუნისტებმა ეს პრინციპი დატოვეს სკოლისათვის, ოღონდ თვითმპყრობელობა შეცვალეს პროლეტარიატის დიქტატურით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა - მარქსიზ-ლენინიზმით, ხალხურობა კი უცვლელი დარჩა. დღევანდელი რუსული სკოლაც სამ პრინციპს ეყრდნობა - მართლმადიდებლობა (ძველი აღადგინეს), დემოკრატია (რუსულად გაგებული) და ხალხურობა.

ამდენად, ცარისტული სკოლაც იდეოლოგიური იყო, კომუნისტური სკოლაც და დღევანდელიც. საქართველოში კი უნდა შეიქმნას სკოლა, რომელიც ყმაწვილს მყარი ცოდნის საფუძველს მისცემს. გაზრდის თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს და არა ამა თუ იმ იდეოლოგიის მონას. ჩვენ არ შეიძლება იდეოლოგიური სკოლა გვქონდეს 21-ე საუკუნეში. ეს იქნებოდა ყმაწვილის გონების დაჩლუნგება.

ვიმეორებ: რელიგიის ისტორია უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, მაგრამ - ყველა დიდი რელიგიის, როგორც საკაცობრიო კულტურის ნაწილის. ჩვენ ისედაც ბევრი ლაპარაკი მოგვიწევს ქრისტიანობაზე სახელმძღვანელოებში, რაკი დღემდე მოღწეული ქართული მწერლობის ნიმუშები თავისი არსით ქრისტიანულია. სულ ერთია, ეს ძველი ქართული მწერლობა იქნება თუ ახალი. ამ ნიმუშების განმარტების დროს, ცხადია, ვერ ავუვლით გვერდს ქრისტიანულ მოძღვრებას და ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ქართველ ბავშვს საკმარისი ცოდნა ჰქონდეს ქრისტიანობაზე, როგორც რელიგიაზე.

# გუდიაშვილის № 11

*ახალი სივრცე მხოლოდ ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებისთვის. მხატვრის შვილიშვილი ანანო მელივა ქართველ ბიზნესმენებთან ერთად ახალ, სუპერთანამედროვე საგამოფენო დარბაზს აწყობს.*

ნინო ჟანიშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუდიაშვილის ქუჩა ერთ-ერთი ულამაზესია თბილისში ძველი სახლებითა და საინტერესო ისტორიებით. ამ ქუჩაზე 1930 წელს ლადო გუდიაშვილი მეუღლესთან ერთად გადმოვიდა საცხოვრებლად. მანამდე კი პარიზიდან დაბრუნებული მხატვარი ერთხანს სამხატვრო აკადემიის ერთ სარდაფივით ოთახში ცხოვრობდა.

თავიდან ლადოს ორსართულიანი სახლიდან პატარა ფართი გამოუყვეს. მოგვიანებით კი, 1950-იანი წლებისთვის გუდიაშვილებმა რამდენიმე ოთახი შეიერთეს და ასე შეიქმნა ლადოს სამუშაო ოთახი - უზარმაზარი სახელოსნო მისივე სურათებით, ძველებური ავეჯითა და ნივთებით გაწყობილი. ინტერიერის გაფორმებაზე და სამუშაო განწყობის შექმნაზე მხატვრის მეუღლე ნინო მგელაძე ზრუნავდა. გუდიაშვილი მთელ დღეებს სწორედ აქ ატარებდა; ის ხომ ბუნებაში სახატავად, ფაქტობრივად, არ გადიოდა.

ამჟამად გუდიაშვილის 11 ნომერში, ქუჩის სახელწოდების გარდა, არაფერი მიგვანიშნებს, რომ აქ ვინმე ცნობილი ადამიანი ცხოვრობდა. სახლის ფასადზე არც მემორიალური დაფაა და თავად ბინაც არასდროს გადაუკეთებიათ მხატვრის მემკვიდრეებს მუზეუმად. **"მას არ უნდოდა, რომ მისი სახლი როდესმე მუზეუმად გადაკეთებულიყო. თვითონ ლადო ამბობდა, - სამუზეუმო მხატვარი არა ვარო. ის თავმდაბალი ადამიანი იყო და თავს დიდ მხატვრად არ მიიჩნევდა. სულ გვთხოვდა, არასოდეს ჩემს სადარბაზოსთან მემორილური დაფა არ გააკეთოთო. თუ ვინმეს დააინტერესებს ჩემი ხელოვნება, ყოველგვარი დაფების გარეშე მიპოვისო,** - იხსენებს მხატვრის შვილიშვილი ანანო მელივა, - **სახლ-მუზეუმს თავისი სპეციფიკა აქვს და ეს სახლი ამ დატვირთვას ვერც გაუძლებდა. ამის გამო, თაობები ისე გაიზარდა არც იციან, ლადო ვინ იყო. ეს იმისთვის იხატებოდა, რომ ხალხს ენახა".**

ამ ხარვეზის გამოსწორება ანანო მელივამ რამდენიმე წლის წინ მოინდომა. მან გადაწყვიტა "ლადოს საგამოფენო დარბაზის" მოწყობა, სადაც მხოლოდ ლადო გუდიაშვილთან დაკავშირებული ექსპოზიციები გაიმართება. სამსართულიანი საგამოფენო სივრცე იმავე სადარბაზოში მოეწყობა, სადაც ლადო ცხოვრობდა. ანანო მელივას პროექტს საწყის ეტაპზე მეცენატობას უწევდნენ კომპანია GWS და ბადრი პატარკაციშვილი.

ამჟამად სამსართულიანი საგამოფენო დარბაზის მშენებლობა TBC ბანკის პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს. დარბაზს მინის გადახურვა ექნება და ის უახლესი განათების სისტემით აღიჭურვება. ანანო მელივა აღფრთოვანებას ვერ მალავს მამუკა ხაზარაძისადმი: **"ასეთი ერთგულება არ მინახავს; მამუკა აქ ძალიან ხშირად მოდის. ლურსმინიდან დაწყებული, ყველაფერს ამოწმებს. მისი ასეთი მხარდაჭერა, პირველ რიგში, მის ინტელექტზე მიუთითებს".**

ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია გაბნეული. თუმცა, მისი მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი მისივე სახლში ინახება. როგორც მოგეხსენებათ, გუდიაშვილი მეტად პროდუქტიული მხატვარი იყო. დღეს მისი ბევრი ნამუშევარი დაკარგულია. ანანო მელივას იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში გამქრალი ნამუშევრებიც გამოჩნდება: **"ლადოს უამრავი წიგნი აქვს გაფორმებული. ილუსტრაციები გამომცემლობაშივე იკარგებოდა. ლადოც მორიდებული ადამიანი იყო. არასოდეს არ იწყებდა მათ ძებნას. თუმცა, სადღაც გულის სიღრმეში უხაროდა კიდეც - ე. ი. ვიღაცებს მოსწონდათ იგი, როგორც მხატვარი".**

გუდიაშვილის 11 ნომერში თავის დროზე ბაგრატიონთა შთამომავლები ცხოვრობდნენ. ამ სახლის სადარბაზო ერთ-ერთი უმშვენიერესია თბილისურ სადარბაზოებს შორის, მოჩუქურთმებული კარებითა და პარადული შესასვლელით, აჟურული რიკულებითა და სახლის თანადროული, მე-19 საუკუნის ქვის ფილებითა და ქართული აგურით. ამ სახლში შეიქმნა ლადო გუდიაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ცოტა ხანში უკვე ყველა დაინტერესებული ადამიანი ახალ საგამოფენო დარბაზში იხილავს.

# ინსტინქტი მომავალი ექიმებისთვის

ნანა ბასილაშვილი

სტუდენტობა რომ უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, ეს ყველამ კარგად ვიცით. ამ დროს რომ განსაკუთრებით გინდება გართობა და ყველანაირი მოვლენის ცენტრში ყოფნა, ესეც ყველას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. ყოველივე ამისათვის სტუდენტებს კუთვნილი სტიპენდია, გნებავთ, "ცუდ" და თუნდაც "კარგ" დროში რომ არასდროს ჰყოფნით, ამაშიც არაფერია ახალი. ტრანსპორტის, კონცერტის, თეატრისა თუ კინოს ბილეთების "გემოს," ალბათ, სწორედ ამ დროს ყველაზე უკეთ შეიგრძნობს ადამიანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას, ამ მხრივ, ძალიან გაუმართლა. იმის გარდა, რომ ამავე უნივერსიტეტში არსებული კულტურის ცენტრის მიერ გამართულ სხვადასხვა კულტურული ღონისძიების მონაწილეები და მაყურებლები არიან, ხშირად სრულიად უსასყიდლოდ ამა თუ იმ თეატრების სპექტაკლების ხილვის საშუალება ეძლევათ. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის რექტორატი შესყიდულ სპექტაკლებს საკუთარ სტუდენტებს თავიანთ უნივერსიტეტშივე წარუდგენს.

გუშინ მომავალმა ექიმებმა ლექცია-პრაქტიკულების დამთავრების შემდეგ III კორპუსის სააქტო დარბაზში მოიყარეს თავი. რექტორატმა და უნივერსიტეტის კულტურის ცენტრმა მორიგი სიურპრიზი სწორედ ამ ახლად გარემონტებულ დარბაზში წარმოადგინეს. თეატრალური სარდაფის ერთ-ერთმა პოპულარულმა სპექტაკლმა სრულიად დამსახურებულად კიდევ ერთხელ დაიმსახურა მხურვალე აპლოდისმენტები. "ინსტინქტი" (რეჟისორი ოთარ ეგაძე) ზოგიერთმა სტუდენტმა - მეორედ ან მესამედ, ზოგმა კი პირველად ნახა. დარბაზი სავსე იყო მაყურებლით.

უკვე შვიდი წელიწადია, რაც სამედიცინო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის რექტორის რამაზ ხეცურიანის ინიციატივით, კულტურის ცენტრი დაარსდა. ცენტრის კურატორი პრორექტორი გიორგი ავალიშვილია. სამედიცნო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებიც ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან, სწორედ ამ ცენტრში წევრიანდებიან. უნივერსიტეტში არსებობს მიმიკისა და პლასტიკის თეატრი, დრამატული თეატრი, ვაჟთა და მომღერალთა გუნდი "ფესვები", ქორეოგრაფიული ანსამბლი "ქართული ფოლკლორი", თანამედროვე ცეკვების გუნდი.

"ყოველწლიურად ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის, სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით, უამრავი ღონისძიება ეწყობა. ჩვენი სტუდენტობა მაქსიმალურადაა ჩართული ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, თავიანთ შემოქმედებას კი ყოველწლიურად სხვადასხვა საანგარიშო სოლო კონცერტსა თუ საღამოზე წარადგენენ", - აღნიშნა კულტურის ცენტრის დირექტორმა ბადრი მაჭავარიანმა.

"ინსტინქტს" გუშინ თავად რამაზ ხეცურიანი და რექტორატის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ. როგორც შევიტყვე, ისინი ცენტრის მიერ წარმოდგენილი ყველა ღონისძიების აქტიური მაყურებლები არიან, ხშირ შემთხვევაში - ინიციატორებიც. "ჩვენ ყოველთვის მაქსიმალურად ვცდილობთ, შევქმნათ სულიერების კერა ჩვენს სასწავლებელში. ბოლოს და ბოლოს, ექიმები არ ხუმრობენ ხელოვნების სფეროში", - აღნიშნა რამაზ ხეცურიანმა.



თეიმურაზ ბასილაშვილის ფოტო

*"ინსტინქტი" სამედიცინო უნივერსიტეტში.*

# ყველაზე სერიოზული და ყველაზე სასაცილო კაცი

*პეტრუს ალექსანდრუს (პიტერ ალექსანდრე) უსტინოვი - მწერალი, მსახიობი, მთხრობელი, რეჟისორი დაიბადა 1921 წლის 16 აპრილს; გარდაიცვალა სახლთან ახლოს, ჟენევის ტბის პირას მდებარე კლინიკაში 2004 წლის 28 მარტს. 82 წლის მსახიობს გულმა უმტყუნა.*

არავინ იცის, რას დააწერენ პიტერ უსტინოვის საფლავის ქვას მისი ოჯახის წევრები, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ ჟურნალისტის კითხვას, - როგორ ეპიტაფიას აირჩევდა თვითონ, - უსტინოვმა ჩვეული ეშმაკური ღიმილით ასე უპასუხა: "ბალახზე ნუ დგახართ".

თუმცა, ისინი, ვინც მსახიობის 60-წლიან კარიერას ადევნებდნენ თვალს, ამ ეპიტაფიაში უჩვეულოსა და ცინიკურს ვერაფერს დაინახავენ. ისინი მიჩვეულები იყვნენ უსტინოვისგან ორიგინალურ აზროვნებას და ყოველთვის ელოდნენ კიდეც მისგან რაიმე მსგავსი ფრაზის გაგონებას:

"სიცილი ყველაზე ცივილიზებული მუსიკაა, რაც კი მსოფლიოში შეუქმნიათ".

"თეატრი ადგილია, სადაც ეჭვები უნდა გავინიავოთ და უფრო მეტად ჩავუფიქრდეთ ჩვენს ადამიანურ ბუნებას".

"4 წლის ასაკში, როცა ქაღალდის ქუდები გვახურავს და ხის ხმლებს ვიქნევთ ჰაერში, ყველანი ნამდვილი გენერლები ვართ. უბრალოდ, ზოგიერთი ჩვენგანი ამ ასაკშივე რჩება და აღარ იზრდება".

"ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, კომედია არის სასაცილო საშუალება, იყო სერიოზული".

"ჩემი წინაპრების საოცარი წინდაუხედაობის წყალობით, ისეთი აღრეული სისხლი მიდულს ძარღვებში, რომ, თითქმის, ავტომატურ, თანდაყოლილ ერთგულებას განვიცდი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ... იქ თავს ყოველთვის შინ ვგრძნობ".

კერკ დუგლასი "სპარტაკის" გადაღებებზე უსტინოვს ასე იგონებდა: "პიტერი ისეართობდა მსახიობებს, რომ მათ მუშაობის პროცესშიც კი უშლიდა ხელს. დადგებოდა გადასაღები მოედნის განაპირას, დაიწყებდა სახეზე სხვადასხვა მიმიკის მორგებას, ქურთუკის ჩამოცმას, სათვალით თამაშს, ცნობილი ადამიანების მიბაძვას, მსახიობები დიდხანს ითმენდნენ, მაგრამ ბოლოს ყველას ისტერიკული სიცილი წასკდებოდა ხოლმე და იძულებულნი ხდებოდნენ, ახალი დუბლის გადაღება დაეწყოთ".

რიჩარდ ატენბორო მის შესახებ ამბობდა: "ეჭვგარეშეა, უსტინოვი ჩვენი თაობის გენიოსი იყო. ის ისეთივე გამორჩეული ფიგურა გახლდათ, როგორც ჩეხოვი ანდა შოუ". თუმცა, როცა უსტინოვი 70 წლის გახდა, იგივე ატენბორომ შენიშნა: "მას ჯერ კიდევ არ შეუქმნია ის, რისი უნარი და ნიჭიც შესწევს - ალბათ, იმიტომ, რომ პიტერი მრავალმხრივ ტალანტს ფლობს".



პიტერ უსტინოვი.

მართლაც, როგორც მისი ბიოგრაფი ჯონ მილერი ამბობს, უსტინოვს იმდენგვარი კარიერა ჰქონდა, რომ ექვს სხვა ადამიანსაც თავისუფლად ეყოფოდა. ის ფენომენურად დაკავებული იყო.

მსახიობის შესახებ გუშინ მთელი დასავლური პრესა წერდა. ვრცელი ნეკროლოგები უსტინოვს "ნიუ იორკ ტაიმსმაც" უძღვნა, "გარდიანმაც", ბი-ბი-სი-მაც, "როიტერმაც" და "ესოშიეიტიდ პრესმაც".

გუშინვე "გარდიანის" მიმომხილველი მსახიობის ცხოვრებას ერთ უწყვეტ ფოიერვერკს ადარებდა და იქვე აღნიშნავდა: "მისი კომიკური ნიჭი ისეთივე მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე, როგორც პიტერ კუკის, ჯონ ქლიზის და როვან ატკინსონის გამოსვლები. მაგრამ, მათგან განსხვავებით, უსტინოვი ცნობილი დრამატურგიც იყო, კინორეჟისორიც, რომანისტიც, გაზეთის ძალზედ ანგარიშგასაწევი მესვეტეც, ორი "ოსკარის" მფლობელი მსახიობიც (ფილმებისთვის "სპარტაკი" და "ტოპკაპი") და პოლიგლოტიც".

64 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 18 წლის უსტინოვი პირველად გამოჩნდა ლონდონის სცენაზე. ვესტ-ენდის პუბლიკა და თეატრის წამყვანი კრიტიკოსები სიცილით იხოცებოდნენ. თუმცა, სანამ დიდ აუდიტორიას გაართობდა, უსტინოვი მშობლებისა და მათი მეგობრების განწყობის ამაღლებაზე ზრუნავდა.

მას მშობლებისგან - იონა უსტინოვისა და ნადია ბენუასგან ფრიად აღრეული რუსულ-გერმანულ-იტალიურ-ფრანგული სისხლი დაჰყვა; 2 წლის იყო, როცა თუთიყუშის მიბაძვა დაიწყო. "ის მე მბაძავდა, მე - მას", - იგონებდა თავად. შემდეგ უკვე "თუთიყუშის ნომრით" ის მშობლებისა და მათი სტუმრების წინაშე წარდგა. თანდათან მისაბაძი ობიექტების არეალიც გაიფართოვა და რეპერტუარში ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი შეიყვანა. პარალელურად, პიტერმა წერის ნიჭიც გამოამჟღავნა და გაზეთ "ლონდონ ივნინგ სტანდარტში" ფელეტონი გამოაქვეყნა თავის თანაკლასელზე - რიბენტროპის ვაჟზე.

18-იოდე წლის იყო, როცა პირველი პიესა დაწერა და ერთ ღამეში გახდა პოპულარული. ახალბედა დრამატურგი თეატრში მიიღეს და მისი პიესების დადგმა ერთგვარ მოდადაც იქცა. 25 წლის იყო, როცა კინემატოგრაფით სერიოზულად დაინტერესდა და პირველი მხატვრული ფილმი დამოუკიდებლად გადაიღო. შემდეგი 30 წლის განმავლობაში 21-ზე მეტ ფილმში მიიღო მონაწილეობა (ყველაზე ღრმად მასკულტურის ცნობიერებაში ერკიულ პუაროს როლებით დაიმკვიდრა ადგილი). თუმცა, პარალელურად, სულ წერდა, კომიკური ნომრებით სცენაზე გამოდიოდა; კარიერის ბოლოს კი მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ოპერაც კი დადგა.

თავად მსახიობი თავის მრავალმხრივ კარიერას ასე ანაწილებდა: პირველ ადგილზე იყო რომანების წერა; მეორეზე - მოთხრობების; მესამეზე - პიესების თხზვა; მეოთხეზე - მსახიობობა; მეხუთეზე - რეჟისორობა; მეექვსეზე - პროდიუსერობა. "წერა ჩემი ყველაზე ღრმა და სათუთი სიყვარულია, - თქვა მან 1982 წელს, - მსახიობობა თავისი არსით უფრო იოლია. უბრალოდ, ქამელეონი უნდა იყო და შეგეძლოს, სხვადასხვა სიტუაციას მოერგო, სხვების მიერ დაწერილი გაითავისო. წერა კი უფრო იდუმალი პროცესია, გაცილებით ინტიმური".

მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკავა რუსეთსაც (თხზულებები: "ჩემი რუსეთი" 1983 წ; "პიტერ უსტინოვი რუსეთში" 1988 წ; "ძვირფასო მეფ" 1977 წ.). 1988 წელს ის პეტერბურგში საგანგებოდ გადაფრინდა, რათა დასწრებოდა დედამისის ოჯახის მუზეუმის გახსნას, რომელიც მისი დიდი ბაბუის მიერ აშენებულ შენობაში მოათავსეს. ის მეგობრობდა მიხეილ გორბაჩოვთანაც. სხვათა შორის, წელს პროკოფიევის "პეტია და მგლის" გახმოვანებისთვის "გრემის" ჯილდო გორბაჩოვთან, ბილ კლინტონთან და სოფი ლორენთან ერთად პიტერ უსტინოვმაც მიიღო...

პიტერ უსტინოვი, როგორც თაყვანისმცემლებს ჰპირდებოდა, ბოლო წუთებამდე მუშაობდა. გარდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა, უსტინოვი აქტიურად თანამშრომლობდა გაერო-ს ბავშვთა დაცვის ორგანიზაციასთანაც. გუშინ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ მსოფლიოს ბავშვებმაც კი, უსტინოვის სახით, დიდი მეგობარი დაკარგეს. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ის დარემის უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო ტიტულითაც დააჯილდოეს, სადაც ის ერთხანს დეკანიც გახლდათ.

პიტერ უსტინოვი, მართლაც, ფენომენურად ნიჭიერი და ძალიან დაკავებული ადამიანი იყო და, ისევ რიჩარდ ატენბოროს რომ დავესესხოთ, ალბათ, სწორედ ამ მრავალმხრივი ტალანტის გამო ვერ შექმნა ერთი დიდი მხატვრული ნაწარმოები.

სვეტი

## აჭარის ლიდერის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებები და დამატებანი



ლაშა ბუღაძე

**მუხლი 1**

დედებს, მამებს, ბიცოლებს, ბიძებსა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც პატივისცემით ვეპყრობით, ამიერიდან მხოლოდ "ბაბუ" უნდა დავუძახოთ. ლექსიკონიდან ამოღებულ იქნას შემდეგი სიტყვები: ბაბუაწვერა, ბობოყვათი, ბაბინა, - და ყველა ის სიტყვა, სადაც ასო-ბგერა "ბ" დამამცირებლად და სპეკულაციურადაა მოხმარებული.

**მუხლი 2**

აჭარის მოსახლეობა ვალდებულია ისაუბროს ისე, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური საუბრობს. მაგ: სიტყვა "ჩამოიტანეს" მაგივრად ითქვას "ჩამოიტანენ"; "გაპუტეს" მაგიერ ითქვას "გაპუტენ"; "გააყალბეს" მაგივრად "გააყალბენ" და "ჩააძაღლეს" მაგიერ "ჩააძაღლენ".

ასევე, საუბრის დროს, სავალდებულოა მეტაფორული შედარებების ხშირი მოშველიება, როგორც ამას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი აკეთებს. მაგ: "აჭარა არის ჩიტი, რომელიც გაძარცვენ და დააყაჩაღენ". ან ასე: "წარმოიდგინეთ სირაქლემა, რომელსაც თავი მიწაში ჩაურგავს და ტანი ზემოთ დარჩენია, აი, ასე იქცევა დღეს ცენტრალური ხელისუფლება..." გრამატიკული შეცდომების დაშვება სავალდებულოა! გრამატიკული ფორმების ცვლა, განახლება და გადამუშავება, ასევე, აჭარის ლიდერის პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს. არც სიტყვების თანმიმდევრობით წარმოთქმაა აუცილებელი, და არც შინაარსია მნიშვნელოვანი, - დე, მსმენელმა თავად გამოიტანოს აზრი შინაარსის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის საუბრის მანერას ამიერიდან ეწოდოს ელფთა საერთაშორისო ენა!

**მუხლი 3**

ბავშვთა ოპერის სოლისტებს კატეგორიულად ეკრძალებათ მომღერალ მაიკლ ჯექსონთან ახლოს მისვლა, გასაგებ მიზეზთა გამო...

ბავშვთა ოპერის სოლისტებს აეკრძალოთ სახლში ლაპარაკი, - ხმის დაკარგვის შემთხვევაში თავი შავ ზღვაში დაიხრჩონ.

ბავშვთა ოპერას ყოველწლიურად საჩუქრად გადაეცეს ერთი კატერი და ერთიც არწივი. ნაჩუქარი კატერებით ზღვაში გასვლა სასტიკად აკრძალულია! არწივის ხელით ჭმევა სავალდებულოა!

აჭარის ტერიტორიაზე ბავშვთა ოპერის კრიტიკა ისჯება კანონით.

**მუხლი 4**

ბათუმს ეწოდოს: "ასლანოპოლისი", ქობულეთს: "ასლანაბადი", ხოლო ხელვაჩაურის რაიონს: "ჯემალ გოგიტიძე".

**მუხლი 5**

ახალი წელი აღინიშნოს მხოლოდ მაშინ, როცა ამის სურვილი ექნება ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს.

**მუხლი 6**

არჩევნების დროს ავტონომიურ რესპუბლიკაში მშობიარობა აკრძალულია.

**მუხლი 7**

ჯემალ გოგიტიძის გამოხედვა აღიარებულ იქნას მსოფლიოში საუკეთესო გამოხედვად.

**მუხლი 8**

აჭარის მეთაურის დაქვემდებარებაში შევიდეს შუმერთა სახელმწიფო და ჩაძირული ატლანტიდის რიგი რეგიონები.

**მუხლი 9**

გაიზარდოს მოთხოვნილება ტანმორჩილ მამაკაცებზე.

**მუხლი 10**

ლინჩის წესით ჩაიქოლოს ყველა მაღალი მამაკაცი.

## 130 წელი ფუფუნებითა და სიზუსტით

ნინო ჟანიშვილი

Piaget-ის საათმა თავის დროზე ბურჟუაზიასთან მებრძოლი ფიდელ კასტროც კი მონუსხა. კომანდანტემ Piaget-ის ბრილიანტის საათი ჯინა ლოლობრიჯიდას ხელზე შენიშნა. კასტროს დიდხანს არ უფიქრია და მსახიობს საათების გაცვლა შესთავაზა. Piaget-ის საათის სანაცვლოდ, კასტრო ჯინა ლოლობრიჯიდას ქრონოგრაფს სთავაზობდა, რომლითაც მან მთელი რევოლუცია გაატარა. ლოლობრიჯიდა დასთანხმდა. ამბობენ, - ფიდელ კასტრო, სიგარებისა და სოციალიზმის გარდა, საათებშიც კარგად ერკვევაო. მართალია, საათი ქალის იყო, სამაგიეროდ, მექანიზმი ჰქონდა უბადლო.

Piaget-ის დევიზია "სიზუსტე და ფუფუნება", "საათები და საიუველირო ხელოვნება ერთდროულად". შემთხვევითი არ არის, რომ სამარკო ნიშნის ექსკლუზივია ბრილიანტის რგოლი-საათები, რომელსაც უკვე აღარ უშვებს არც ერთი სხვა ფირმა.

Piaget-ის ისტორია შვეიცარიის მეტად მოსაწყენ იურას რეგიონში დაიწყო. იურას სოფლებში, სადაც დღეები ერთფეროვნად გადის, ჯერ კიდევ 500 წლის წინ დაიწყეს დროის საზომი მოწყობილობის დამზადება. მე-19 საუკუნისთვის იურას რეგიონის მესაათებს უკვე გამოცდილება და მდიდარი ტრადიციებიც დაუგროვდათ. მაგრამ, უფრო მეტად მათ გაუმართლა, ვისაც პარაქტიკული გონება აღმოაჩნდა. ზოგიერთმა მესაათემ არა მარტო საათების დამზადებას, არამედ ვაჭრობასაც მიჰყო ხელი. ამ ადამიანებმა სახელოსნოებში ოსტატები შემოიკრიბეს, შემდეგ ეს სახელოსნოები დიდ მანუფაქტურებად და სავაჭრო ნიშნებად გადააქციეს. მესაათე-ბიზნესმენები მანუფაქტურებს თავიანთ სახელებს არქმევდნენ.

ზუსტად ასე მოიქცა მესაათე ჟორჟ ედუარდ პიაჟე, რომელმაც







"პიაჟე პროტოკოლის" სხვადასხვა მოდელები.

1874 წელს სოფელ კოტ-ო-ფეში საათების მანუფაქტურა Piaget დააარსა. მანუფაქტურა თავიდან ყურადღებას ამახვილებდა არა თავად საათების კორპუსის, არამედ მექანიზმების დამზადებაზე. მაგრამ, ეს მექანიზმები ექსტრა-კლასისა იყო. Piaget დღესაც ხშირად უთავსებს საკუთარი წარმოების მექანიზმებს სხვა სამარკო ნიშნის საათებს.

Piaget-ის საათების წარმოება ისევ სოფელ კოტ-ო-ფეში მიმდინარეობს, ხოლო საიუველირო მორთულობები და საიუველირო საათები ჟენევაში მზადდება ფირმის ხელოსნების მიერ. კოტ-ო-ფეში მდებარე მანუფაქტურა ეს არის პატარა ხუთსართულიანი სახლი, რომელშიც თეთრ ხალათებში გამოწყობილი ოსტატები დაფუსფუსებენ. ძირითადად, ეს ხელობა სოფელში მემკვიდრეობით გადაეცემათ.

1942 წლამდე კოტ-ო-ფეში მხოლოდ მექანიზმებს ამზადებდნენ. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის დროს ნეიტრალურ ზონაში მყოფებმა უკვე გადაწყვიტეს საათების გამოშვება. ამიერიდან ჟორჟ პიაჟეს შვილები და შვილიშვილები ერთი იდეით ხელმძღვანელობდნენ - საათი არა მხოლოდ დროის საზომი მოწყობილობაა, არამედ სამკაული.

წელს Piaget-ს გადაწყვეტილი აქვს, ფართოდ აღნიშნოს 130 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით კოტ-ო-ფეს თეთრხალათიანმა მესაათეებმა Emperador-ის მოდელის ახალი ვარიანტი დაამზადეს. ეს არის თეთრი და ვარდისფერი ოქროს კორპუსი, რომლის წინა და უკანა სახურავი გამჭვირვალეა - ანუ შესაძლებელია ხელით გრავირებული მექანიზმით ტკბობა.

გასულ წელს ფირმამ გიჟური და ძვირადღირებული საათები შესთავაზა თავის კლიენტებს. ეს იყო საათები თითზე, მხარზე გასაკეთებლად, ასევე - ჩანთის სახელურზე დასამაგრებლად. წელს უკვე Piaget "ზაპონკებზეც" იწიკწიკებენ. ამ საათებს აფრიალებული დროშების ფორმა აქვთ, რომლებიც თეთრი ბრილიანტებითა და ლალის თვლებითაა მოოჭვილი. ერთი მათგანი შვეიცარიის დროშას მოგვაგონებს - შუაში ჯვრით, მეორე კი იაპონიის დროშას - წითელი წრითა და თეთრი ფონით.

Piaget-ის ახალ საიუველირო ნივთებში გამოყენებულია თეთრი ოქრო, თეთრი მარგალიტი, თეთრი ბრილიანტები, გამჭვირვალე მთის ბროლი. ექსპერტები გვირჩევენ, რომ ეს სამკაულები აუცილებლად უნდა მოვისინჯოთ, რადგან ვიტრინაში ისინი საკმაოდ მოსაწყენად გამოიყურებიან.

სახელოვანი ფირმის საათების ღირებულება 1000 დოლარიდან იწყება. ფასი, ცხადია, გაცილებით მატულობს, თუკი ცნობილი სამარკო ნიშანი ოდესღაც, ასევე, ცნობილ ადამიანს ეკეთა. 1997 წელს Piaget-ის საათი, რომელიც ჯეკ კენედის ეკუთვნოდა, 55 ათას დოლარად გაიყიდა.

## მენუჰინის კოლექცია "სოთბიზე"

მაისში "სოტბის" აუქციონზე გატანილი ლოტები თანაბრად ცხოველ ინტერესს გამოიწვევს როგორც კლასიკური მუსიკის, ისე ანტიკვარიატის თაყვანისმცემლებში. აუქციონზე გააქვთ ნივთები სახელგანთქმული მევიოლინის იეჰუდი მენუჰინისა და მისი მეუღლის, ყოფილი პრიმაბალერინა დაიანა გულდის კოლექციიდან.

სხვა ძალზედ იშვიათ და ძვირფას გასაყიდ ნივთებს შორის იქნება ნიკოლო პაგანინის ორი ცნობილი პორტრეტი, ფიოდორ რუკერტის მოსკოვში გაკეთებული რუსული მინანქრის სააღდგომო კვერცხი და ვიოლინოს ფორმის მქონე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გულსაბნევი.

როგორც ვარაუდობენ, აუქციონზე 400 ათასი გირვანქა სტერლინგი უნდა შეგროვდეს. თანხის ნაწილი იეჰუდი მენუჰინის სკოლის ფონდში გადაირიცხება.

მევიოლინემ, რომელიც 1999 წელს გარდაიცვალა, დაიანა გულდი 1944 წელს გაიცნო და პირველივე შეხვედრაზე განუცხადა, რომ ოდესმე ისინი აუცილებლად იქორწინებდნენ. ცნობილმა ბალერინამ მენუჰინის პროგნოზს ნონსენსი უწოდა და შეახსენა, რომ მენუჰინს ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც მალე ხუთი წლის გახდებოდა. ორი წლის შემდეგ მევიოლინეს პირველმა ცოლმა ნოლამ განქორწინება ითხოვა; უკვე 1947 წელს კი გულდი და მენუჰინი შეუღლდნენ. მალევე დაიანამ ბალერინის კარიერა მიატოვა, რაც მოგვიანებით გამოსულ ავტობიოგრაფიაში ასე ახსნა: "როდესაც ცოლ-ქმარი საშემსრულებლო ხელოვნებაში მოღვაწეობს, მათგან რომელიმემ კარიერას აუცილებლად უნდა დაანებოს თავი და მეუღლის პროფესიას ბოლომდე შეერწყას"...



მენუჰინები ჩესტერ სკვერის მახლობლად, მე-19 საუკუნის დიდ სახლში დასახლდნენ. მათი რეზიდენცია სავსე იყო ძვირფასი საათებით, რუსული, ევროპული და აზიური ხელოვნების ნიმუშებით, კერამიკით, ვერცხლეულითა და ნახატებით.

ასე რომ, მაისში დაგეგმილი "სოტბის" აუქციონი, მართლაც, მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ. ძვირფასი ნივთების მოყვარულები მრავალ საინტერესო ექსპონატს შეიძენენ და დაათვალიერებენ, მენუჰინისა და გულდის თაყვანისმცემლები კი მათი ერთობლივი ცხოვრების ამსახველი ნივთების ხილვას შეძლებენ.

ფეხბურთი

# ჟირესმა ნავსი გატეხა და იმედი დაგვიბრუნა

## რაზე ისაუბრეს ჟორდანიამ და ბოსკამპმა?

A1 გვერდიდან

საბედნიეროდ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჟირესის პირველი მატჩი მალევე შედგა და ეს დებიუტი გუშინ, გერმანიის ქალაქ მანჰაიმის "კარლ ბენც შტადიონზე" აღინიშნა.

საქართველოს ნაკრები გერმანიაში 27 მარტს გაემგზავრა. ფეხბურთის ფედერაციის მიერ დასახელებულ 18-კაციან შემადგენლობას ჯერ კიდევ მანჰაიმში ჩასვლამდე გამოაკლდა კახა კალაძე, რომელმაც "მილანის" უკანასკნელ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ნაკრებს ვერც გიორგი დემეტრაძე შეუერთდებოდა, მიზეზი ასევე ტრავმა იყო. უშუალოდ მანჰაიმში ჟირესის ორჯერად ვარჯიშებს კიდევ ორი ფეხბურთელი "შეეწირა". ტრავმები მიიღეს ცქიტიშვილმა და ხიზანიშვილმა. ასე და ამრიგად, გუშინდელი მატჩის განაცხადში საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ და მხოლოდ 14 ფეხბურთელი წარადგინა.

"ეს უჩვეულო მატჩია, თუმცა უდიდესი გამოცდა გველის", - განაცხადა გუშინდელი შეხვედრის წინ გერმანიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა ული შტილიკემ. ის, რომ ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულს ხვდებოდა მართლაც იშვიათი ფაქტია, მაგრამ გამოცდას რაც შეეხება... გუშინდელი შეხვედრა გამოცდა იყო არა მარტო გერმანიის ნაკრებისათვის, არამედ საქართველოს ეროვნული გუნდისათვის და უპირველესყოვლისა მისი ახალი მწვრთნელისათვის.

შეხვედრის პირველივე წუთებიდან მასპინძლები დომინირებდნენ. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები ამ მატჩში თავის წამყვან ფეხბურთელებს ბენიამინ ლაუტს (მიუნხენ 1860) და ჰანო ბალიჩს (ლევერკუზენი) მოისაკლისებდა, თუმცა შემადგენლობაში იყო "ბაიერნელი" ბასტიან შვაინშტაიგერი. გერმანელების აქტიურობამ შეხვედრის მე-11 წუთზე გამოიღო შედეგი. "გლადბახელმა" თომას ბროიხმა ლევან კობიაშვილის თანაგუნდელ მაიკ ჰანკეს გაუკეთა გადაცემა და ამ უკანასკნელმა დაახლოებით ათი მეტრის დისტანციიდან გაუტანა ლომაიას. მასპინძელთა შეტევები ამის მერეც გრძელდებოდა, თუმცა საქართველოს ნაკრებს ხან ბედი სწყალობდა, ხანაც მეკარე ლომაია "ვაჟკაცობდა". გერმანელთა მეკარე ტიმ ვიზე თამაშში პირველად 31-ე წუთზე ჩაერთო, ვიტალი დარასელიას შორეული დარტყმის შემდეგ.



*გუშინდელ მატჩს იოჰან ბოსკამპიც ესწრებოდა.*

შესვენების შემდეგ ჟირესმა ცვლილება განახორციელა და მიხეილ აშვეთიას ნაცვლად რატი ალექსიძე შეიყვანა მოედანზე. ანგარიშიც სწორედ ალექსიძის ლამაზი თავურის შემდეგ გავათანბრეთ შეხვედრის 56-ე წუთზე. მოულოდნელად გაშვებულმა გოლმა გერმანელები არ დააბნია და ლომაის კარის მიმართულებით მორიგი შტურმი დაიწყო. 22 წლის მარკუს ფოილნერმა 20 მეტრის დისტანციიდან დაარტყა ჩენი კარის მიმართულებით და გერმანიის ნაკრები კვლავ დააწინაურა - 2:1.

შეხვედრის 79-ე წუთზე გიორგი ნემსაძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით წონასწორობა კვლავ აღადგინა და საქართველოს ნაკრები მარცხისაგან მაინც იხსნა.

მატჩის შემდეგ გერმანიაში დავრეკეთ და ჩვენებს მატჩის მსვლელობის შესახებ ვკითხეთ. მანჰაიმში მყოფმა სფფ-ის წარმომადგენლებმა დაგვიდასტურეს, რომ მატჩი მართლაც გერმანელთა უდავო უპირატესობით მიმდინარეობდა და რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების შთაბეჭდილებები გადაჭარბებული ნამდვილად არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრები არ დამარცხდა. მწვრთნელი, რომელიც აქამდე არც ერთ თავის ფეხბურთელს არ იცნობდა, მოღვაწეობას საკმაოდ წარმატებულად იწყებს. თუ ამ ფაქტს იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა უკანასკნელ მომენტში საგრძნობლად შესუსტდა, გუშინდელი მატჩის შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ. ჰო, და კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: გასვლით მატჩში საქართველოს ნაკრებმა უკანასკნელად 2001 წლის 6 ოქტომბერს მიაღწია ფრეს (რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ), მას შემდეგ ჩვენ ყველა გასვლითი მატჩი წავაგეთ. ჟირესმა ნავსი გატეხა და თავისთვის სრულიად უცნობი გუნდით სტუმრად ფრეს მიაღწია - ოპტიმისტური განყობის საფუძველი ნამდვილად გაჩნდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გუშინ საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, იოჰან ბოსკამპს შეხვდა, შემდეგ კი ჰოლანდიელი მწვრთნელი თავად მატჩსაც დაესწრო. თუ რაზე ისაუბრეს ჟორდანიამ და ბოსკამპმა უცნობია, თუმცა სავარაუდოდ, საუბრის ერთ-ერთი თემა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებიც იყო.

საქართველოს დელეგაცია კი მანჰაიმიდან დღეს დაბრუნდება.

ფორმულა 1

# რა ელის "ფერარის" უდაბნოში

ნინო პირველი

კვირას, 4 აპრილს, სპარსეთის ყურეში პირველად უნდა შედგეს ფორმულა 1-ის რბოლა. ბოლო 15-20 წლის განმავლობაში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახლო აღმოსავლეთი მუდამ წითელი ფანქრით შემოხაზულ სახიფათო ზონად ითვლებოდა. კონფლიქტები, შეიარაღებული დაპირისპირებები, ტერაქტები, სისხლიანი სცენები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის მიუხედავად, ფორმულას ბოსი ბერნი ეკლსტოუნი მაინც იმდენად ორიგინალური აღმოჩნდა, რომ კალენდრიდან ავსტრიის გრან-პრი ამოიღო და სამაგიეროდ ბაჰრეინი ჩასვა.

მართალია, ერთი წლის წინათ მსოფლიოს ტერაქტების ისეთი პანიკური შიში არ ჰქონდა, როგორითაც ახლაა შეპყრობილი, მაგრამ მშვიდი და საათივით აწყობილი ავსტრია რომ ბევრად უფრო უსაფრთხო იქნებოდა, ვიდრე ტერორისტებისთვის იოლად ხელმისაწვდომი ბაჰრეინი, ამაზე, ალბათ, არც ღირს ლაპარაკი. და მაინც, ავსტრია გადახაზეს და მის ნაცვალდ ბაჰრეინი ჩასვეს, 150 მილიონი ევრო დახარჯეს ტრასის ასააგებად და, ტერაქტის აშკარა საფრთხის მიუხედავად, სულაც არ აპირებენ რბოლის გადადებას. ამ დღეებში ბაჰრეინი მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მოდი, ჩვენც ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს პატარა ეგზოტიკური ქვეყანა.

### ეს ბაჰრეინია!

ბაჰრეინის სამეფო 35 კუნძულისგან შედგება. ევროპის დიდი ქალაქებიდან აქ ჩამოსასვლელად დაახლოებით ექვსსაათიანი ფრენაა საჭირო. კუნძულებზე 606 000 ადამიანი ცხოვრობს. ქვეყანას განაგებს მეფე ჰამიდ იბნ ისა ალ-ხალიფა, რომელსაც ევროპული განათლება აქვს მიღებული: მისი უდიდებულესობა ინგლისში, სამხედრო აკადემიაში სწავლობდა. სანამ ხელისუფლების სათავეში ჰამიდ იბნ ისა ალ-ხალიფა მოვიდოდა, ბაჰრეინში დიდი არეულობა სუფევდა. მისი გამეფების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მეფემ პოლიტპატიმრები გაათავისუფლა და ქალებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მისცა. ბაჰრეინი ისე განვითარდა, რომ ახლო აღმოსავლეთის შვეიცარია შეარქვეს. ჰამიდ იბნ ისა ალ-ხალიფა დღემდე დიდი წარმატებით უძღვება ქვეყანას. სუნიტ სამეფო ოჯახს ჯერჯერობით პრობლემა არ შეჰქმნია მოსახლეობასთან, რომლის 70 პროცენტს შიიტები შეადგენენ.

სახელმწიფო ენა არაბულია, საქმიანი ენა კი - ინგლისური. ფულის ერთეულს ბაჰრეინული დოლარი ჰქვია. ბაჰრეინის ფართობი მხოლოდ 707 კვადრატული კილომეტრია, მთელი სახელმწიფო დაახლოებით ჰამბურგის ან მილანის ტოლი ძლივს იქნება. ბაჰრეინი სულაც არ არის მკაცრი მუსულმანური ქვეყანა, სადაც ყველაფერი აკრძალულია. სპარსეთის ყურის ამ მარგალიტს თავისი წესები აქვს: აქ ნახავთ დისკოთეკებსაც, სადაც ალკოჰოლის გაყიდვა ნებადართულია და შილიფად ჩაცმულ სექსუალურ მოცეკვავეებსაც.



*ბაჰრეინის ტრასა შუა უდაბნოშია გაშენებული.*

ბაჰრეინში ნავთობი დიდი ოდენობით პირველად 1932 წელს მოიპოვეს. მას შემდეგ ეს ქვეყანა ნავთობის მთავარ საბადოდ იქცა. აქაური დიდებულების საარაკო სიმდიდრეც სწორედ ნავთობის დამსახურებაა. ევროპელებს ჯერაც არ დავიწყებიათ სამეფო ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის გაუგონარი ხელგაშლილობა, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში 5,4 მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯა ზეიმებში, ბრილიანტებსა და მოგზაურობაში.

### რბოლა უდაბნოში

ეს რბოლა ნამდვილად არ იქნება იოლი, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა ტერაქტებსა და ტერორისტებზე ლაპარაკობს. ამას გარდა, საქმეს ართულებს თავად ბაჰრეინის გეოგრაფიული მდებარეობაც - ახალი ტრასის სიგრძე 5 417 კილომეტრია და ფორმულას პილოტებს უდაბნოს დასაძლევად ეპატიჟება. "ეს რბოლა ძალიან საინტერესო იქნება. ყველა დაინტრიგებულია. ძალიან მაინტერესებს, შევა თუ არა ქვიშა ძრავაში და როგორ იმოძრავებს მანქანა ამის შემდეგ. სხვა მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს", - ამბობს მიხაელ შუმახერი. "ფერარის", ცოტა არ იყოს, არ გაუმართლა. ახალი ტრასის დაჭაშნიკების პატივი ინგლისურ "უილიამსს" ერგო. "ეს რომ ჩვენ გაგვეკეთებინა, მაშინვე ერთი ამბავი ატყდებოდა, "ფერარი" პრივილეგირებული გუნდიაო. ახლა რაღას იტყვით?" - ნიშნის მოგებით ჰკითხა ჟან ტოდტმა ჟურნალისტებს.

"უილიამსის" დაწინაურებამ "მაკლარენიც" გააღიზიანა, მაგრამ ფრენკ უილიამსი სიტუაციის გამწვავებას მოერიდა და მეტოქეები დაამშვიდა, საშინელი არაფერი მოხდარა, ნუ ნერვიულობთო. "შესანიშნავი ტრასაა. უკვე ალმოვაჩინე ისეთი ადგილები, სადაც მშვენივრად მოხერხდება მეტოქისთვის გასწრება", - შენიშნა რალფ შუმახერმა.

რამდენად დაცული იქნება მონაწილეებისა და მაყურებლების უსაფრთხოება? ბაჰრეინში ამ საკითხს ძალიან სერიოზულად უდგებიან. იმ 80 000 გულშემატკივარს, რომელიც რბოლაზე დასწრებას მოისურვებს, მკაცრად შეამოწმებენ. ფოტოგრაფები ვალდებულნი არიან, ბოლომდე გადმოაპირქვავონ თავიანთი ფოტოჩანთები და პოლიციელებს აჩვენონ, რომ აკრძალული არაფერი შეაქვთ. მოკლედ, ყველას შეამოწმებენ და შეჯიბრებაზე საეჭვო ვერავინ მოხვდება, მაგრამ თავად პილოტების უსაფრთხოება ნამდვილად არ არის გარანტირებული.

ის ბარიერი, რომელიც ტრასას ტრიბუნებისგან გამოყოფს, სულაც არ გახლავთ ისე მაღალი, რომ ზედ ვერავინ გადახტეს, როგორც ეს ორჯერ უკვე მოხდა: 2000 წელს ჰოკენჰაიმში ფრანგი მაყურებელი გადავიდა ტარასზე, 2003 წელს კი სილვერსტოუნის ტურნირზე კინაღამ ირლანდიელი მღვდელი გადათელეს საოცარი სისწრაფით მიმავალმა ბოლიდებმა.

ტერორი, ქვიშა, არაკვალიფიციური ტექპერსონალი, დიდი ტურნირის ჩატარების გამოცდილების დეფიციტი... ამაზე მეტი საფიქრალი რაღა გინდა? ერთი ტერორისტიც რომ შეეპაროთ წესრიგის დამცველებს, ყველაფერი აირევა. დახაზული ბილიკიდან სულ ცოტათი რომ გადაუხვიოს რომელიმე პილოტმა, ქვიშაში ჩაეფლობა და ავარია გარანტირებული ექნება. პროფესიონალები კი ბაჰრეინს არ ჰყავს. ტექპერსონალი ისეთი ხალხია, რომელსაც აქამდე შეხება არ ჰქონია ფორმულასთან. ისინი, ყველანი, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით შეარჩიეს. "უბედური შემთხვევა რომ მოხდეს, მათ ნამდვილად გაუჭირდებათ დახმარების აღმოჩენა", - მიაჩნია ბაჰრეინის რბოლის ბოსს ელი სიმენს. ასეთი სახიფათო არც ერთი რბოლა არ ყოფილა...

# შუმის ორი ცოლი ჰყავს. მეორე "ფერარია"

გიგა გურასაშვილი

RTL-ის ცნობით, მალაიზიის გრან-პრისკენ თითქმის ათმილიონიანი ტელეაუდიტორიის ყურადღება იყო მიპყრობილი, რაც 1,6 მილიონით მეტია შარშანდელთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ალბათ, თითოეულ მათგანს გაუჩნდა ეჭვი, რომ მიმდინარე სეზონიც სკუდერიის, პირველ ყოვლისა კი, მიხაელ შუმახერის ჩემპიონობით დასრულდება. მართალია, სეზონი სულ ახლახან დაიწყო და მის დამთავრებამდე დიდი დროა, მაგრამ "ფერარის" გერმანელი პილოტის უპირატესობა იმდენად თვალშისაცემია, რომ გამორიცხული არაა, "შუმი" მეშვიდედ დაეუფლოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ნიკი ლაუდაც დარწმუნებულია, რომ "ფერარის" კონკურენტებს პილოტთა საჩემპიონო და კონსტრუქტორთა დავაში წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეთ: "ჩემპიონატი "წითელი" იქნება". ამავე აზრისაა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, რომელმაც თანამემამულის სადიდებლად საქებარი სიტყვები არ დაიშურა: "არაფერი არ შეედრება იმას, რაც გააკეთეს მიხაელ შუმახერმა და "ფერარიმ".

შარშან და იმის წინაც, როდესაც "შუმი" ჩემპიონობისკენ იკაფავდა გზას, ბევრი უკმაყოფილო იყო და, ალბათ, სამართლიანადაც: ფორმულა 1-ის ჩემპიონატები სულ უფრო და უფრო მოსაწყენ სანახაობად იქცაო. სამეფო რბოლის მამებმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციასთან ერთად კვალიფიკაციათა სისტემაც კი შეცვალეს, რათა შუმახერის უპირატესობა გარკვეულწილად დაემუხრუჭებინათ და დანარჩენებისთვის ერთგვარი სტიმული მიეცათ, მაგრამ არც ამან გაჭრა. "შუმი" შარშანაც ჩემპიონი გახდა (ცოტა გაჭირვებით, მაგრამ მაინც) და წლეულსაც პირველი ორი გრან-პრი მოიგო.

ზემოთ თქმულის საპირისპიროდ, ედი ჯორდანი, რომლის გუნდშიც შედგა შუმახერის დებიუტი, არ ფიქრობს, რომ ფორმულა 1-ს მოწყენილობის საშიშროება ელის: "ტაიგერ ვუდსმა (გოლფის აფროამერიკელი დიდოსტატი,-რედ.) ზედიზედ ცხრაჯერ გაიმარჯვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ხოტბას ასხმას. ჩვენ, ეტყობა, კრიტიკულად ვართ განწყობილი საკუთარი შოუს მიმართ".

ჯორდანს მიაჩნია, რომ გულშემატკივრებმა უნდა დააფასონ ის შესაძლებლობა, რომელიც მათ ფორმულა 1-ის ყველაზე წარმატებული პილოტის ცქერის საშუალებას აძლევთ: "მალაიზიაში დავინახეთ, რომ მიხაელი ისევ საუკეთესოა. მისმა მეწყვილემ, რუბენს ბარიკელომ, მეოთხე ადგილი დაიკავა. პაექრობა ძალზე მჭიდროდ მიმდინარეობდა და, არ მესმის, რატომ ღელავს ყველა...

ის, რაც ახლა ხდება, უბრალოდ, საოცრებაა".



*"ფერარი" და შუმახერი განუყრელები არიან.*

მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს არც უცხოური პრესისგან მოჰკლებია დითირამბები. მიხაელის მალაიზიური წარმატების შემდეგ მხოლოდ ესპანურ პრესას ჰქონდა ოდნავ ნაღვლიანი რეაქცია: ესპანელებს გული დასწყდათ მათი თანამემამულის, "რენოს" პილოტის ფერნანდო ალონსოს მეშვიდე ადგილის გამო. მთლიანობაში საერთაშორისო პრესას საქებარი სიტყვები არ დაუშურებია არც შუმახერისთვის და არც ჯეისონ ბატონისთვის, რომელმაც პირველად კარიერაში კვარცხლბეკზე ასვლის პატივი დაიმსახურა (საუკეთესო სამეულში მოხვედრას BAR-ის ბრიტანელი პილოტი 68 რბოლის მანძილზე ელოდა.-რედ.)

ახლა კი ამონარიდები წერილებიდან, რომლითაც პრესა მიხაელ შუმახერსა და, ნაწილობრივ, ჯეისონ ბატონს გამოეხმაურა.

**ესპანეთი:**

"Marca": "მათთვის, ვინც არც გერმანელია და არც იტალიელი, წამების მაგვარია, როდესაც ფორმულა 1-დან გამოსული ყველა ცნობა მიხაელ შუმახერით იწყება".

"El Pais": "საბურავებმა და ამინდმა მიხაელ შუმახერსა და "ფერარის" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოაპოვებინა".

"El Mundo": "ამბობენ, რომ "ფერარიში" მორიგი გამარჯვებისთვის შამპანურს აციებენ".

**იტალია:**

"Gazzetta dello Sport": "ასაკის მატებასთან ერთად უკეთესი ხდება. "ფერარი" შუმახერისთვის მეორე ცოლივითაა. "ფერარი" და შუმახერო, თქვენ განუმეორებლები ხართ! შუმახერი "ფერარიზე" უკეთესია: აჭარბებს და ქედმოუხრელია. "შუმი" მეტოქეებს უმოწყალო გაკვეთილს უტარებს. ხანდახან "ფერარი" საკუთარ წარმატებებს საბურავებს უმადლის, ხანდახან - მანქანას, ხანდახან - შუმახერს. მაგრამ შედეგი ყოველთვის ერთია: "ფერარი" იმარჯვებს!"

"Corriere della Sera": "შუმახერის დამუხრუჭება შეუძლებელია. გერმანელს პრაქტიკულად არ ჰყავს მეტოქეები. რუბენს ბარიკელოც კი ვერ უქმნის პრობლემებს. ვარსკვლავი ტენორი მარტო მღერის. იგი დუეტს აგრძელებს ბარიტონ მონტოიასთან ("BMW-უილიამსის" კოლუმბიელი პილოტი), რომელთანაც, სხვათა შორის, მანძილს ინარჩუნებს. მალაიზიის ჯუნგლებში შუმახერი შვეიცარიული საათივით მუშაობს".

"CorRiere dello Sport": "შუმახერის ნამდვილი სიმფონია! შუმახერი არის ადამიანი-ორკესტრი, რომელმაც მსმენელი დაატყვევა. მონტოია მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას უწევს".

"La Repubblica": "შუმი" კარგი ძველი ღვინოსავითაა".

"Tuttosport": "შუმი" უკვე მორიგი ტიტულის შესაგებებლად გარბის. მიხაელი მიუწვდომელია. იგი უმკლავდება როგორც შიდა, ისე გარე კონკურენტებს".

**საფრანგეთი:**

"LEquipe": "შუმი" გაუმაძღარია".

"Le Parisien": "შუმის" არავისთვის არაფერი აღარა აქვს დასამტკიცებელი".

"Liberation": "შუმახერი თავს კომფორტულად გრძნობს. უპრობლემოდ გაიმარჯვა მალაიზიაში".

**დიდი ბრიტანეთი:**

"The Mirror": "საოცარი ბატონი ფორმულა 1-ს მომხიბვლელობას უბრუნებს. ერთი წელიწადია, რაც "მაკლარენი" გამარჯვებას ვერ აღწევს. "ფერარი" სიმტკიცის გამოცდას უძლებს. რაკი მალაიზიაში გაიმარჯვეს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ "ფერარი" ყველგან მოიგებს".

"The times": "მონტოია "ფერარის" "ბარიკადით" იმედგაცრუებულია".

"The sun": "კვარცხლბეკზე მივესალმებით ახალბედას - ბატონის შედეგი სპორტისთვის კარგია".

**კოლუმბია:**

"El Tiempo": "მალაიზიის გრან-პრი ყველასთვის გაკვეთილია - მიხაელ შუმახერის გარდა".

ჭიდაობა

# ქართველი ებრაელი - ისრაელის იმედი

ზიზა ზურასაშვილი

*ისრაელი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართული საჭიდაო სკოლის იმედადაა. იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ებრაელი გოჩა ციციაშვილი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობას მოიპოვებს, იგი გახდება პირველი, რომელიც ისტორიულ სამშობლოს ოლიმპიურ ოქროს მედალს მოუტანს.*


ისრაელის მთავარი იმედი თბილისში ვარჯიშობს.

ლაპარაკია ისრაელზე, თორემ, ზოგადად, მსოფლიო სპორტს არაერთი ებრაელი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს. მაგალითისთვის ამერიკელი მოცურავის მარკ სპიცის გახსენებაც კმარა, რომელიც იმ ოთხ (ლარისა ლატინინა - ტანვარჯიში; პაავო ნურმი - მძლეოსნობა; კარლ ლუისი - მძლეოსნობა) სპორტსმენთაგანია, რომელსაც ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონობა მოუპოვებია.

და მაინც, ვინაა გოჩა ციციაშვილი? რაკი მას ჩვენში მეტ-ნაკლებად კარგად იცნობენ, საინტერესოა, თავად უცხოური სააგენტოები როგორ წარმოგვიჩენენ ქართული ბერძნულ-რომაული სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, რომლმაც ათი წლის წინ ისტორიულ სამშობლოს მიაშურა და მისი დროშის ქვეშ ასპარეზობს. მაშ ასე, გოჩა ციციაშვილი "როიტერის" თვალითა და პატარა გადახვევებით:

ბერძენ-რომაელი მოჭიდავე მეგობრული და გულღიაა, რომელიც, შესაძლოა, ისრაელისთვის ერთადერთი იმედიც კი იყოს, დაეუფლოს პირველ ოლიმპიურ "ოქროს". ციციაშვილი დაიბადა საქართველოში, თუმცა, მიგრაციის შემდეგ საკუთარ თავს ისრაელის წარმომადგენლად მიიჩნევს.

"ერთადერთი, რაც მინდა, ის არის, რომ ჩემს ქვეყანას წარმოვადგენდე. მე ებრაელი ვარ და ამით ვამაყობ. ალბათ, არასდროს მომინდებოდა, რომელიმე სხვა ქვეყნის სახელით გამოვსულიყავი", - "როიტერთან" საუბარში აცხადებს ციციაშვილი.

ციციაშვილი ისრაელისთვის მედლის პრეტენდენტად ატლანტის (1996) ოლიმპიურ თამაშებზეც მოიაზრებოდა, მაგრამ მაშინ მეხუთე ადგილით დაასრულა ასპარეზობა. ციციაშვილს ოთხი წლის შემდეგაც, სიდნეის ოლიმპიურ ხალიჩაზე იმედით შეჰყურებდნენ, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა - მეექვსე ადგილი. დიდ სარბიელზე წარუმატებლობებს შარშან, პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატზე დაუსვა წერტილი, როდესაც 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში უმთავრეს ტიტულს და ათენის ოლიმპიადის საგზურს დაეუფლა.

საინტერესოა სტატისტიკაც. ციციაშვილი სპორტის ყველა სახეობაში (ვაჟთა შორის) მეოთხე სპორტსმენია, რომელმაც ისრაელს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ოქროს მედალი მოუტანა.

"აშკარაა, ოლიმპიურ ხალიჩაზე მსოფლიო ჩემპიონად გასვლა გარკვეულ უპირატესობას მანიჭებს".

ეს წონა იმითაცაა ჩვენთვის გამორჩეული, რომ აქ ასპარეზობს მსოფლიო ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე - გოჩა ციციაშვილის განუყრელი მეგობარი. ამ მეგობრებს კი ყველაზე მეტად საჭიდაო ხალიჩაზე ერთმანეთთან შეხვედრა აფრთხობთ. გამორიცხული არ არის, ციციაშვილისა და ვახტანგაძის გზები ათენშიც გადაიკვეთოს. თუმცა, აჯობებს, ეს ფინალამდე არ მოხდეს.

საინტერესოა, რომ ისრაელი ათენის ოლიმპიურ თამაშებს "შინაურ" ოლიმპიადად მიიჩნევს. ისრაელში სჯერათ, რომ ახლო მომავალში ოლიმპიური თამაშები ისრაელთან გეოგრაფიულად ასე ახლოს არ გაიმართება. ასე რომ, ისრაელს იმედი აქვს, ათენის თამაშები მისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგება.

თუმცა, ციციაშვილი გარკვეულ სიფრთხილეს მაინც იჩენს: "ყველა ის სპორტსმენი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა, იქ იქნება. ამიტომ ოქროს მედლის მოპოვება ძალიან ძნელი იქნება.

აშკარაა, შვედი აზა აბრაჰამიანის (სომხეთიდან ემიგრირებული) სახით, რთული მეტოქე მელის (სწორედ აბრაჰამიანი დაამარცხა ციციაშვილმა პარიზის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.-რედ.). ჩემამდე სწორედ ის იყო ჩემპიონი. მიუხედავად ამისა, მედლის კანდიდატი მაინც მე ვარ. მინდა, რომ ჩემით იამაყონ".

უინტერესო არ უნდა იყოს ისრაელის ოლიმპიურ მოძრაობაში მცირე ექსკურსი. ისრაელის ოლიმპიური კომიტეტი 1933 წელს დაარსდა, მაგრამ მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიან წევრად მხოლოდ 1952 წელს მიიღეს. სწორედ იმ წელიწადს, როდესაც საბჭოთა კავშირის და, შესაბამისად, ქართველ ოლიმპიელთა დებიუტი შედგა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, იქიდან მოყოლებული, ისრაელს პირველ ოლიმპიურ მედლებამდე (ვერცხლი და ბრინჯაო), ბარსელონას თამაშებამდე (1992 წელი) ლოდინი მოუხდა. ატლანტისა და სიდნეის თამაშებზე კი თითო ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ. 1952 წლიდან მოყოლებული, ისრაელის ოლიმპიური ყულაბა ოთხ მედალს ითვლის.

საერთოდ, სპორტში საკუთარ წარმატებებს ისრაელი უნდა უმადლოდეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ემიგრირებულ სპორტსმენებს, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება და სკოლა ისტორიული სამშობლოს სამსახურში ჩააყენეს. სპორტის ზოგიერთი სახეობა ისრაელში საერთოდ არ სარგებლობდა პოპულარობით. ახლა კი ციციაშვილი საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით სამშობლოში ჭიდაობის პოპულარიზაციას ეწევა.

ქართველ-ებრაელ ფალავანს ჯგუფში ჰყავს 50-მდე ახალგაზრდა მოჭიდავე, რომლებსაც საპორტო ქალაქ აშდოდში წვრთნის, ქალაქში, რომელიც ცნობილია დიდი ქართული კომუნით.

"აქ სპორტისთვის დიდ მომავალს ვხედავ. ადგილობრივ მოსახლეობაში სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს."

ისრაელში საჭიდაო ენა რუსულია, რადგან, ფაქტობრივად, ყველა, ვინც სპორტის ამ სახეობას მისდევს, ყოფილი საბჭოელია.

თუმცა, იმისთვის, რომ მოჭიდავეემ კლასი აიმაღლოს, ყოფილ თანამემამულეებთან ჭიდილია საჭირო.

"რა თქმა უნდა, სპარინგ-პარტნიორების ნაკლებობა გვიბიძგებს იმისკენ, რომ რუსეთში, საქართველოში ან უკრაინაში ვივარჯიშოთ", - "როიტერთან" საუბარში აცხადებს ციციაშვილი. "როიტერის" ჟურნალისტი მიუთითებს იმაზეც, რომ ციციაშვილი დროის დიდ ნაწილს თბილისში, პირადი მწვრთნელის ოთარ ტატიშვილის ზედამხედველობით ატარებს.

სხვათა შორის, ციციაშვილი ახლაც საქართველოშია და ბერძენ-რომაელთა ნაკრებთან ერთად შეკრებას ბორჯომში გადის.

პოპულარობის მიუხედავად, ციციაშვილი არც ისე მდიდარია. წარმოიდგინეთ, ავტომანქანაც არ ჰყავს. ვიდრე მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, მისი ერთადერთი შემოსავალი თვეში 1000 დოლარი იყო.

"დიდი თანხა არაა, მაგრამ, ასე თუ ისე, თავი მაინც გაგვქონდა. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილების არც საბაბი მაქვს და არც უფლება. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, დახმარება გამეზარდა. ისრაელის ოლიმპიური კომიტეტის (იოკ) მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. განსაკუთრებით ეფრაიმ ზინგერის (იოკ-ის ერთ-ერთი მარალჩინოსანი) მადლობელი ვარ. თუ შინ მედლით დავბრუნდები, ეს იქნება უსაზღვრო სიამაყის გრძნობა მთელი ქვეყნისთვის".

ბოულინგი

# აი, მესმის გართობა!

ასეთი ამაღლებული განწყობა დღეს ბოულინგცენტრის ბევრ სტუმარს ეუფლება. ბოულინგმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ცნობიერებაში და მრავალი ახალგაზრდა თუ ასაკოვანი მიმდევარიც გაიჩინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს თამაში, თავისი აზარტულობიდან გამომდინარე, საოცრად პოპულარული გახდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში. მას ერთნაირი ხალისით თამაშობენ მენეჯერები თუ კომერსანტები, სახელმწიფო მოხელეები თუ შემოქმედებითი ინტელიგენცია. პროფესიონალ მოთამაშეთა გვერდით დამწყები ბოულერებიც ცდილობენ, დახვეწონ თამაშის ტექნიკა და, რაც მთავარია, კარგი შედეგის მიღწევით სტიმულიც მიეცათ. გახალისებისა და გართობისთვის ბოულინგცენტრში არჩევანი, მართლაც, დიდია. ამიტომაც მარტოოდენ ბურთის გასაგორებლად როდი ეპატიჟებიან ბოულინგკლუბში, ხშირად აქ სადღესასწაულო საღამოებსა თუ სხვადასხვა წვეულებებზეც იწვევენ.

ამ მხრივ ატმოსფერო ნამდვილად ჩინებული და მომხიბვლელია. ინტერიერის ფერადოვნება და გემოვნებიანი მუსიკა კარგი განწყობის საწინდარია. ხოლო რეგულარულად მიმდინარე ტურნირებისა და ჩემპიონატების კვალდაკვალ ნაირ-ნაირი სიურპრიზების შეთავაზება კლუბის ტრადიციად იქცა. ზოგჯერ კლუბში პირველად მოსულ სტუმარს ელის სასიამოვნო საჩუქარი, ზოგჯერ კი კლასიკური მოთამაშე ჯილდოვდება სამახსოვრო სუვენირით, ანდა, უბრალოდ, ვიქტორინა ან სანახაობრივი თამაში გაჩაღდება და პრიზი მასში გამარჯვებულს გადაეცემა. ხშირ სტუმრებს ელასტიკური საშეღავათო სისტემითაც ანებივრებენ. მოკლედ, ასეთი მოულოდნელობებით აღსავსეა საკლუბო ცხოვრება.

გართობის ეს უჩვეულო კერა იმითაც არის საინტერესო, რომ აქაურობა საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის ადგილადაც მოიაზრება. ხშირად თქვენს გვერდით მოთამაშე არაერთ პოპულარულ ადამიანს იხილავთ. ხან შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეები მოდიან დროის გასატარებლად, ხანაც სასიქადულო სპორტსმენები ცდილობენ სპორტული ფორმის შენარჩუნებას. პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწენიც არცთუ იშვიათად სტუმრობენ ბოულინგცენტრს, უფრო კი, ალბათ, პოლიტდებატებისგან მიღებული დაძაბულობის მოსახსნელად და განსატვირთავად. სხვადასხვა უცხოური თუ ადგილობრივი კომპანიებიც მრავალგზის აწყობენ თავყრილობას მოსალხენად, დაღლილობისგან გასათავისუფლებლად. უმაღლეს სასწავლებელთა სტუდკავშირები საზაფხულო თუ ზამთრის სესიების წარმატებით დასრულებას ხანდახან ბოულინგცენტრში აღნიშნავენ და კარგადაც ხალისობენ.

როგორც იტყვიან, მთავარია სურვილი, თორემ დროსტარების მიზეზი ყოველთვის მოიძებნება. ამიტომაც, ზოგი ოჯახის წევრებთან ერთად დადის, ზოგი სამეგობრო წრესთან ერთად. ისეთებიც არიან, ვისაც მარტო მოსვლა ურჩევნია. თქვენც შემოუერთდით და იგემეთ ბოულინგის ხიბლი.

***ბოულინგცენტრის ადმინისტრაცია გარწმუნებთ, რომ ბოულინგი სასარგებლოა თქვენი გახალისებისთვის.***


ბოულინგს ყველა თაობის წარმომადგენელი თამაშობს.

კალათბურთი

# ახლოვდება...

სანდრო ნავერიანი


ცქიტიშვილი პლეი-ოფს უმიზნებს.

იძაბება სიტუაცია, იძაბება!

დიახ, პატივცემულო მკითხველო, სიტუაცია დაიძაბა და ყველაფერი შეიძლება ისე დამთავრდეს, რომ ვერც ერთი ქართველი ვერ ვიხილოთ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი-ოფში.

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ პლეი-ოფში სტეფანიას "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი", ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსი" ან რუსი კირილენკოს "იუტა ჯაზი" მოხვდებოდა. სიტუაცია არ შეცვლილა - ისევ ეს სამი გუნდი იბრძვის დასავლეთ კონფერენციის მერვე საგზურისთვის, რომელიც პლეი-ოფში თამაშის საშუალებას იძლევა. ერთადერთი, რაც ცხრილში შეიცვალა, ის არის, რომ "დენვერი", რომელიც ამ სამეულში პირველი იყო, ახლა ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, პორტლენდი მეორეზე გადავიდა და "იუტა ჯაზი" სამეულის სათავეში ჩადგა. სამეული-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დანარჩენი გუნდების ბედი უკვე გადაწყვეტილია: "საკრამენტო ქინგზი", "მინესოტა თიმბერვულვზი", "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", "სან-ანტონიო სფურზი", "მემფის გრიზლის", "დალას მავერიქსი" და "ჰიუსტონ როქეთსი" უკვე პლეი-ოფში არიან, ხოლო "სიეტლ სუპერსონიქსს", "გოლდენ სთეით უორიორზს", "ლოს-ანჯელეს კლიპერზსა" და "ფენიქს სანზს" პლეი-ოფში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი აქვთ. ამისთვის საჭიროა ყველა მატჩის მოგება, ხოლო მათმა კონკურენტებმა ყველა თამაში უნდა წააგონ, რაც თითქმის გამორიცხულია.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, "დენვერ ნაგეთსის" გასვლა ჯობს და ამას მიზეზიც აქვს: იმ შემთხვევაში, თუ პლეი-ოფში პორტლენდური გუნდი გავა, მოედანზე ვლადიმერ სტეფანიას მაინც ვერ ვიხილავთ - მას ტრავმა აქვს და მხოლოდ მაისში დაიწყებს მსუბუქად ვარჯიშს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ "დენვერ ნაგეთსმა" მიაღწია საწადელს და პლეი-ოფში გაძვრა, მაშინ საშუალება მოგვეცემა, ნიკოლოზ ცქიტიშვილის თამაში ვნახოთ.

რაც შეეხება შანსებს, "ტრეილ ბლეიზერზს" კვლავ უკეთესი შანსი აქვს ("დენვერისა" და "იუტასგან" განსხვავებით), მაგრამ, როგორც გუნდი, "დენვერიც" და "იუტაც" გაცილებით ძლიერები არიან, ვიდრე "პორტლენდი".

აღმოსავლეთ კონფერენციაში კი "ინდიანა პეისერზს", "ნიუ-ჯერსი ნეთსს", "დეტროიტ პისტონზს", "ნიუ-ორლეან ჰორნეთსს", "მილუოკი ბაქსსა" და "მაიამი ჰიტს" გარანტირებული აქვთ პლეი-ოფში თამაში. რაც შეეხება პლეი-ოფის დანარჩენ ორ საგზურს, მისთვის "ნიუ-იორკ ნიქსი", "ბოსტონ სელტიქსი", "კლივლენდ კავალიერსი", "ფილადელფია სევენთისიქსერზი" და "ტორონტო რეფტორზი" იბრძოლებენ. ამ ორ უკანასკნელს ნაკლები შანსი აქვს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთ გუნდში ალენ აივერსონი თამაშობს, ხოლო მეორეში - ვინს კარტერი. ამ კალათბურთელებს კი მარტოსაც შეუძლიათ არა მარტო მატჩის შემოტრიალება, არამედ სატურნირო მდგომარეობისაც. "ატლანტა ჰოუქსი", "ვაშინგტონ ვიზარდსი", "ჩიკაგო ბულზი" და "ორლანდო მეჯიქი" კი განწირულნი არიან და მათ პლეი-ოფში გასვლის თეორიული შანსიც აღარა აქვთ.

მოკლედ, ახლოვდება პლეი-ოფი და სულ რაღაც ერთ კვირაში ყველა, 16-ვე გუნდის ვინაობა გვეცოდინება.

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 31 მარტი**

**НТВ+ФУТБОЛ**

08:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "PHOENIX SUNS" - "SACRAMENTO KINGS". მე-7 თამაში
11:00 11:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. არგენტინა - ეკვადორი
15:00 მინი ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "სპარტაკ-შელკოვო"
16:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 თავისუფალი დარტყმა
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:25 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
18:55 "ევროფანკლუბი"
19:25 "ყველაზე სასაცილო ლიგა"
19:40 "დარტყმა გოლისთვის"
19:55 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "სპარტაკ-შელკოვო". პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 თავისუფალი დარტყმა
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. არგენტინა - ეკვადორი
23:25 ამხანაგური მატჩი. გერმანია - ბელგია. პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:10 03:10-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 NBA TV. "WASHINGTON WIZARDS" - "NEW JERSEY NETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 17:15, 19:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:40 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში. შესვენებისას (14:00) - პრესცენტრი
15:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
16:15 სპორტული ცეკვები. "სტანისლავ შკლიარის თასი". მეორე ნაწილი
17:30 "ბილიარდის მეუფენი"
18:00 "NHL - პლიუსი"
18:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში
18:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
19:30 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში
21:00 "ათენის გზაზე"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "Power week - NHL-ის კვირა"
23:00 პაველ ბურე. "რუსული რაკეტის გაფრენა"
00:45 ახალი ამბები
01:00 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
02:30 "NHL - პლიუსი"

**EUROSPORT**

11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კლასიკა
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კლასიკა
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
17:30 ველოსპორტი. საერთაშორისო შეჯიბრება ბელგიაში
19:30 ფეხბურთი. ევრო-ს ისტორია
20:00 ფეხბურთი. ევრო-ს ისტორია
20:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კლასიკა
21:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
23:00 ცხენოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოლანდიაში
00:00 გოლფი. US PGA ტურნირი
01:00 მულტისპორტი
01:15 ახალი ამბები
01:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004
04:15 ახალი ამბები

## შუასაუკუნეობრივი რომანი ფულზე




საფრანგეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მოწმობა არა მარტო მატიანეებში, არამედ იმდროინდელ რომანებშიც მოიპოვება. ტერმინი "რომანი" იმ დროს სრულიად ზუსტად გამოხატავდა ამ ლიტერატურული ჟანრის თვისებას, რადგან შესაბამისი ტექსტები რომანულ-ლათინურ ენაზე იწერებოდა. ეს ენა ლიტერატურულ ნორმად იყო მიღებული მსხვილი ფეოდალების კარზე. ერთ-ერთი ასეთი რომანის ავტორი იყო ინგლისის მეფის, **ჰენრი პლანტაგენეტის** კარზე მომსახურე კლერკი, სახელად **ვასი**. სანამ ინგლისის მეფე გახდებოდა, ჰენრი საფრანგეთში ცხოვრობდა და ანჟუს გრაფის ტიტულს ატარებდა, შემდეგ ნორმანდიის ჰერცოგის ტიტული მიიღო, მოგვიანებით კი აკვიტანიის ჰერცოგიც გახდა, რადგან ცოლად შეირთო ალიენორა — ლუი VII-ის გაძევებული მეუღლე.

რაც შეეხება ვასის რომანს, მას ეწოდება "Roman de Rou" და მასში ნორმანდიის პირველ მმართველთა ცხოვრებაა აღწერილი. იმდროინდელი რომანისტები, მიუხედავად მათი ლიტერატურული პროდუქციის გასართობი, თავშესაქცევი ფუნქციისა, მაინც ვერ სცილდებოდნენ სასულიერო და ისტორიულ მწერლობას. ასევე ვასის რომანიც ბენედიქტელი ბერის, **გიომ ჟიუმეჟელის** ისტორიულ ქრონიკას ეფუძნება.

სწორედ ამ ქრონიკებს თარგმნის ვასი ლათინურიდან სასაუბრო რომანულ ენაზე და თან საკუთარი დამატებებიც შეაქვს ტექსტში. აქ გვხვდება პირველად ეგრეთ წოდებული სანიმუშო მეფის პორტრეტი, რომელიც განახლებული ტიპის მონარქიას შეესაბამება. რომანში აღწერილია ნორმანდიის მეფე **რიშარ I**, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოდის საკუთარი კოშკიდან. რა მოსდის მეფეს? რატომ მოიკლო მან სუფთა ჰაერზე ყოფნა, ნადირობა და ლხინი? — საოცარია! მეფე ითვლის. თავის მრჩევლებთან ერთად განმარტოებული ციხე-დარბაზში და ითვლის აკრეფილ გადასახადებს, სახელმწიფო შემოსავალს, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს.

რიშარის შემდეგ ტექსტში გამოჩნდება გრაფი რობერტი, ბრწყინვალედ წოდებული. ისიც ასახულია როგორც ძღვენთა მიმღები და ხარკის ამკრეფი. მაგრამ მეფისაგან განსხვავებით რობერტი იტოვებს მხოლოდ იმას, რისი შეჭმა და შესმა შეიძლება. ყველაფერი დანარჩენი — ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ძვირფასი ჭურჭელი, ცხენები და ქსოვილები — მეფეს ეკუთვნის. რაც შეეხება ფულს, სწორედ ფულია თხრობის ცენტრი და მთავარი ღერძი.

ფული ზარდახშებსა და სკივრებში არ უნდა დაიმალოს. ფული უნდა დარიგდეს. გავიხსენოთ, რუსთაველის სიტყვები: "რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია". ვასი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ფული სახელმწიფო ორგანიზმის ძარღვებში მჩქეფარე სისხლია. ფულის ინტენსიური ბრუნვა განაპირობებს სოციალური წესრიგის სიმყარეს. თუ გულუხვობის იდეა მანამდეც ცნობილი იყო რაინდულ კოდექსში, თუ სიძუნწე ფეოდალის ერთ-ერთ უმთავრეს ცოდვად და ნაკლოვანებად იყო აღიარებული. ვასის რომანში გულუხვობა პირველად იძენს პრაგმატულ დასაბუთებას.

ვასი მოგვითხრობს გრაფის სამ ძღვენზე. პირველ ფულად ჯილდოს რაინდი იღებს. ამ რაინდს არაფერი გააჩნია, იგი სიღარიბით იტანჯება, როგორც მრავალი მისი მსგავსი. მაგრამ ის მაშინვე თმობს გრაფის საჩუქარს და ეკლესიას სწირავს მიღებულ თანხას. მეორე ძღვენი მღვდელს ერგება — ეს მშვენიერი სამკაულია, რომლის დანახვაზე მღვდელი სიხარულით ცას ეწევა, მაგრამ სიხარბით დამხრჩვალი მაშინვე კვდება. ის დასჯილია, რადგან ეკლესიის მსახურს, რაინდის მსგავსად, არ შეჰფერის ამქვეყნიური სიკეთით ტკბობა. მესამე ძღვენი ეკუთვნის მდაბიოს. მაგრამ ეს უბრალო მდაბიო როდია, ანუ შუა საუკუნეებისათვის ასე ცნობილი უბირი გლეხი. ვასის მიერ აღწერილი მდაბიო დახელოვნებული ოსტატია, რომელიც ჭედავს რკინას და მშვენიერ დანებს ამზადებს. ეს მდაბიო ოსტატი ერთადერთია, ვინც სიმდიდრეს იტოვებს: სამეფო ძალაუფლება აძლევს მას გამდიდრების უფლებას, რომ არასოდეს მოაკლდეს ხარისხიანი იარაღი და სხვა მოწყობილობა. თანაც მხოლოდ მდიდარს შეიძლება დაავალო გადასახადის გადახდა.

ვასის რომანი პოლიტიკურ გაკვეთილს შეიცავს. მისი სამი პერსონაჟი სოციალური იერარქიის თანახმადაა დახარისხებული: ეს სამი საფეხური წარმოადგენს იმ სოციალურ კატეგორიებს, რომლებზედაც არისტოკრატთა ძალაუფლება, ანუ მაშინდელი სახელმწიფო ემყა-



# საფრანგეთის ალიონი

XII საუკუნე მხოლოდ საქართველოსთვის არ ყოფილა ოქროს ხანა: სწორედ ამ ასწლეულის განმავლობაში მოხდა საფრანგეთის სახელმწიფოს წარმოშობა და ფრანგი ნაციის ჩამოსაყალიბებლად პირველი საძირკვლის ჩაყრა. ამის შემდეგ ასეთი საოცარი და სწრაფი განვითარება ფრანკების შთამომავლებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე არ ჰქონიათ. სამყარო მათ თვალწინ იცვლიდა ფერს: ადამიანებს უკვე ძველებურად აღარ ეშინოდათ ბუნების, საკუთარ თავს კი განიხილავდნენ არსებად, რომელიც ოდესღაც თვით ღმერთს ეხმარებოდა ქვეყნიერების შექმნაში. თვით ქვეყნიერების შექმნა კი მათთვის უკვე ერთჯერადი აქტი კი არ იყო, არამედ მარადისობაში გაგრძელებული პროცესი. ცივილიზაციაც უკვე განიხილებოდა როგორც ცოცხალი მცენარე, რომლის მოვლასა და გახარებაში ყოველ თაობას თავისი განუმეორებელი წვლილი შეჰქონდა.

თვით ლათინურმა სიტყვამ renovatio (განახლება) შეიცვალა მნიშვნელობა: ადრე ის ძველის გახსენებასა და აღდგენას ნიშნავდა, XII საუკუნიდან კი ნებისმიერი სიახლე უკვე აღმშენებლობად აღიქმება. ადამიანები უკვე ფიქრობდნენ, რომ ჭეშმარიტი მშვიდობა გონებაზეა დამყარებული. ამ აზრების ნაყოფიერი სავანე იყო მდინარე ლუარას ჩრდილოეთით წარმოშობილი ინტელექტუალური ცენტრები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ქალაქი პარიზი იმის წყალობით, რომ მეფე **ლუი VII** (1137 – 1180) იქ დაამკვიდრა თავისი მუდმივი რეზიდენცია, რითაც სამეფო ძალაუფლების ახალ ტიპს ჩაუყარა საფუძველი.

ისტორიკოსები ახლა იწყებენ იმის შეგნებას, რომ ტრადიციული თვალსაზრისისგან განსხვავებით, ეს მეფე სულაც არ ყოფილა უძლური მონარქი, ხორციელ ვნებებს აყოლილი უმწიფარი ყმაწვილი, მოღალატე ცოლის მიმართ გადამეტებული სიყვარულით დაბრმავებული. დედოფალმა **ალიენორამ** მართლაც გაუფუჭა რეპუტაცია მეფეს, როცა თავისი ინიციატივით მიატოვა ქმარი და მზითევში მოყოლილი აკვიტანიის საჰერცოგოც თან წაიღო. დედოფალმა საჯაროდ განაცხადა, რომ ქმარი მისი ბიძაშვილია, რის გამოც მათი ქორწინება სისხლის აღრევა გამოდიოდა, თუმცა ამავე დროს სულ სხვაგვარი ჭორები დაიძრა: ამბობდნენ, რომ წმინდა მიწაზე ყოფნისას ალიენორას საკუთარი ბიძა, ანტიოქიის გრაფი დაეუფლა. სინამდვილის დადგენა ახლა უკვე სრულიად შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ შეიძლება დავადასტუროთ: სწორედ აკვიტანიელთა მოდგმის ამ მეთაურმა აუხნია თავგზა დედოფალს და სეპარატისტულ ნაბიჯზე დაიყოლია. თუმცა ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან სამხრეთ საფრანგეთში თავისუფალ და ლაღ ცხოვრებას მიჩვეული დედოფალი ქმრის სახლში ცუდად გრძნობდა თავს პირქუში მღვდლების მუდმივი კონტროლის გამო.

მიუხედავად ხალხის უკმაყოფილებისა და რომის პაპის საყვედურებისა, ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მეფემ 1152 წელს თვითონ მოსთხოვა ეპისკოპოსებს ქორწინების გაუქმება. ეს გასაგებიც იყო: მონარქს სიბერე კარს მოადგა, ალიენორას კი მხოლოდ ქალიშვილები უჩნდებოდა. დინასტიის მომავალი საფრთხის წინაშე დადგა. ამ შემთხვევაში კეთილმორწმუნე მეფეებიც აძევებდნენ საყვარელ კანონიერ ცოლებს და სხვას ირთავდნენ, ვისაც საჭირო სქესის მემკვიდრის შობა შეეძლო. მაგრამ ლუი VII-ის შემთხვევაში ჩვენ მისი ყოფილი ცოლის ხმაც შეგვიძლია მოვისმინოთ: ალიენორა ჩიოდა, რომ მეფის კი არა, ბერის ცოლი იყო. როგორც ეტყობა, მონარქის მიერ მიღებულმა აღზრდამ თავი იჩინა და სამხრეთული ჟინის დაკმაყოფილებაში ვერაფერი გააწყო. თუმცა დედოფლის საყვედურში უფრო ღრმა აზრიც დევს: საფრანგეთის ახალმა მონარქიამ ეკლესიაზე დააფუძნა თავისი სიძლიერე.

სენ-დენის სააბატო მანამდეც იყო საფრანგეთის მეფეების იდეოლოგიის წარმმართველი, მაგრამ ლუი VII-ის მეფობაში სენ-დენის აბატი, **სუგერიუსი** სამეფოში მეორე კაცი გახდა. ადრე სამეფო იდეოლოგიის შემქმნელი ბერების მსოფლმხედველობა ფსევდოდიონისე არეოპაგელის ნაწარმოებებზე იყო დამყარებული, ლუი VII-ის დროიდან კი ახალი ორიგინალური ნაწერებიც შეიქმნა. მეფის მამის, **ლუი VI**-ის დროს ეპისკოპოსმა **ტიურპენმა** დაწერა ფსევდოისტორიული თხზულება "კარლოსისა და როლანდის ისტორიები", გარდა ამისა, შედგენილ იქნა ნაყალბევი სიგელი, რომლის საფუძველზე ყველას უნდა დაეჯერებინა, თითქოს **კარლოს დიდმა** თავისი გვირგვინი მართლაც უანდერძა სენ-დენის სააბატოს. მაგრამ ნუ ვუსაყვედურებთ ამ ადამიანებს: იმ ეპოქაში თვით სიგელის შემდგენლებს სჯეროდათ, რომ ჭეშმარიტ დოკუმენტს წერდნენ. ყველაზე გულისამაჩუყებელი დეტალი ისაა, რომ ტიურპენის თხზულებასა და თვით სიგელშიც აღწერილია, როგორ დადო კარლოს დიდმა სენ-დენის საკურთხეველზე ოქროს მონეტები და თავის მემკვიდრეებსაც უანდერძა, ყოველ წელს ასე მოქცეულიყვნენ. რა თქმა უნდა, სამეფო ძალაუფლების განმტკიცებასთან ერთად ბერებს თავიანთი სააბატოს გამდიდრებაზეც უნდა ეზრუნათ, რადგან ოქროს მონეტების გარეშე ლოცვა რატომღაც საკმარისად ეფექტური არაა.

მეორე მხრივ, ასეთი დამოკიდებულება საერო ხელისუფლებასთან ეკლესიას სრულ უფლებას აძლევდა, დაუბრკოლებლად დაემყარებინა კონტროლი ქვეყანაზე, რომელიც "ოდესღაც გალიად, ახლა კი საფრანგეთად იწოდება". საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის ასეთი მატერიალურ-სულიერი გარიგება, ამ უკანასკნელს ყოველთვის აძლევდა საშუალებას, განეცხადებინა: "საფრანგეთად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების...". უნდა ვიცოდეთ, რომ სიტყვა საფრანგეთი ამ ტექსტში ეთნონიმიდან კი არ მომდინარეობს, არამედ სიტყვიდან franch (თავისუფალი), რაც ამ ტერიტორიის სუვერინიტეტს გულისხმობს. სწორედ ამ დროიდან ხდება საფრანგეთისა და გერმანიის განცალკევება ერთმანეთისაგან, რადგან კარლოს დიდის დროს თავისუფალი სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი ჯერ არ ყოფილა დადგენილი — გალიასთან გაიგივებამ საბოლოოდ მოწყვიტა ის გერმანულ მიწებს.


გუსტავ დორე - ლუი VII ჯვაროსნულ ლაშქრობაში

მაგრამ ლუი VII ძველი ტრადიციის ბრმა მიმდევარიც არ ყოფილა: ახალმა მეფობამ ახალი ბერობაც მოითხოვა. ასე დაარსდა ახალი ორდენი, ბენედიქტელთა განაყოფი — ცისტერციანელებად წოდებული. ორდენის სახელწოდება ჩრდილოეთ საფრანგეთის ყველაზე გავლენიანი მონასტრის, **სიტოს** ლათინიზებული სახელიდან მომდინარეობს. იმ დროს ამ მონასტერში მხოლოდ ერთი ფრანგი მეფე ესვენა — ლუი VII-ის ბაბუა, **ფილიპე I**. შვილიშვილმა ბაბუას მიბაძა და სწორედ სიტოში და არა სენდენიში მოამზადებინა თავისი საძვალე. აქედან მოყოლებული, ცისტერციანელთა ორდენი მყარად იყო დაკავშირებული სამეფო ძალაუფლებასთან. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ორდენის წევრები თავიანთ გენერალს კი არა, ეპისკოპოსებს — სამეფო ძლიერების უშუალო გამომხატველებს ემორჩილებოდნენ. საეკლესიო რეფორმატორის სახელი მეფემ სიცოცხლეშივე მოიხვეჭა და მიუხედავად განქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემებისა, 1162 წელს რომის პაპამ მას წმინდა საყდრის უმაღლესი ჯილდო, ოქროს ვარდის ორდენი უბოძა.

მაგრამ ოდნავ უფრო ადრე ლუი VII-ს საკმაოდ არასასიამოვნო გამოცდილების მიღება მოუხდა. 1144 წელს მან დაიყოლია თავისი უახლოესი მინისტრი, **რაულ დე ვერმანდუა**, გაყროდა თავის ცოლს, რათა მეფის ცოლისდა შეერთო. რაულის პირველი ცოლის ბიძა იყო შამპანის გრაფი **ტიბო**, რომელიც საფრანგეთის სამეფოსაგან სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. ორ სენიორს შორის კონფლიქტი მომწიფდა. ეს მაშინვე იგრძნო ცისტერციანელმა ბერმა, მეფესთან დაახლოებულმა ბერნარმა, რომელმაც ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და შამპანის გრაფს დაუწყო წაქეზება. ტიბომ მეფის წინააღმდეგ ჯარი გამოიყვანა. ლუიმ სასტიკად ჩაახშო ამბოხი, თუმცა დაირღვა გონიერი მეფობის უმთავრესი პირობა — საღვთო მშვიდობა. ამის გარდა, მეფის ჯარმა უცაბედად გადაწვა ვიტრის ტაძარი, რომელშიც მრავალი ღარიბ-ღატაკი და უსახლკარო აფარებდა თავს. ბერნარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ღვთის ცხებულმა მეფემ ცოდვა ჩაიდინა და დანაშაულის მუდმივი შეგრძნება შეიძინა. ახლა უკვე ვერსად წაუვიდოდა ბერის სულიერ გავლენას.

ლუი VII-მ მოსანანიებლად ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლა გადაწყვიტა. 1145 წელს მან ბერნარის ხელიდან საჯაროდ მიიღო ჯვარი და თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა. მანამდე ჯვაროსნულ ლაშქრობაში არც ერთ მეფეს არ მიუღია მონაწილეობა. ამ გრანდიოზული წამოწყების განსახორციელებლად მეფეს ირგვლივ გრაფები და ეპისკოპოსები შემოეხვივნენ, როგორც ოდესღაც იკრიბებოდნენ ისინი კარლოს დიდის გარშემო. სამეფო კარმა ის ბრწყინვალება და საზეიმო იერი შეიძინა, როგორიც უკვე ასი წელი, ანუ **რობერტ ღვთისმოსავის** დროიდან არ ჰქონია. საინტერესოა, რომ მეფის ლაშქრობის განმავლობაში სახელმწიფოს მმართველობა სენ-დენის სააბატოს, ანუ თვით სუგერიუსს ევალებოდა. ეკლესიამ საერო ხელისუფალი ქვეყნის გარეთ გაიტყუა და დროებით მაინც მიაღწია თავის სანუკვარ მიზანს...

აღმოსავლეთში კი ფრანკთა ლაშქარი დამარცხდა. ეს დამარცხება ლაშქრობაში მონაწილე ქალებს დააბრალეს: ჯვაროსანთა ხორციელმა თავშეუკავებლობამ ისინი ღვთის მფარველობას მოაკლო. მაგრამ მეფის მიერ გაღებულმა მსხვერპლმა და განცდილმა ფიზიკურმა ტანჯვამ მაინც დიდი სახელი მოუტანა მას. სამშობლოში დაბრუნებულს ხალხის საყოველთაო აღტაცება დახვდა, გზად რომში გამოვლილი კი პაპმა შვილივით მიიღო. ლუი VII პირველი ფრანგი მეფე იყო, რომელმაც ასეთი შორეული მოგზაურობა გაბედა. შემდეგ მან კიდევ ორი მნიშვნელოვანი ექსპედიცია მოაწყო: პილიგრიმად გაემგზავრა ჯერ შარტრეზში, შემდეგ კი ესპანეთში — სან დიეგო დე კომპოსტელას ტაძარში. ამ მოგზაურობისას მეფე საკუთარი თვალით იხილეს, მისი სიტყვა ისმინეს და შეეხნენ მას იმ პროვინციათა მცხოვრებლები, სადაც ადრე არასოდეს დაუდგამთ ფეხი მონარქებს.

მეფის ღვთისმოსაობა ხილული და ხელშესახები იყო. ასე იქცა სულიერ მოთხოვნათა აღსრულება ხელისუფლების პიარ-კამპანიად, თუმცა მეფემ ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა. ქვეყანაში, სადაც მსგავსი მოვლენები სპონტანურად, შეუფერებლად ხდება, მენტალობა აუცილებლად შუასაუკუნეობრივ დონეზე უნდა იყოს დარჩენილი.

სწორედ ამ კამპანიის შედეგი იყო, რომ 1166 წელს კლუნის აბატმა, **ედმა** შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა მეფეს: "აწ უკვე არა მხოლოდ ფრანკიაა თქვენი სამეფო, თუმცა სამეფო ტიტულში ის განსაკუთრებულად მოიხსენიება, არამედ ბურგუნდიაც თქვენ გეკუთვნით". და ეს მაშინ, როცა ედის წინამორბედი აბატი, **ღირსი პეტრე** ხმამაღლა აცხადებდა, რომ კლუნის მხარეში "მეფე არ არსებობს"! ედი კი დასძენს, რომ მეფემ თავისი საუფლო ერთ მთლიან სხეულად უნდა მიიჩნიოს. ამ დროს ხდება, რომ ლუი VII პირველად აცხადებს შროშანის ყვავილს საფრანგეთის სახელმწიფო ემბლემად. მეფე იმოსება ცისფერი მოსასხამით, რომლის ოქროსფერი ნაქარგები თანავარსკვლავედებს ჰგავს. ეს ბუნებრივიცაა: ამქვეყნიურ სამეფოში დამკვიდრებული წესრიგი კოსმიური წესრიგის ანარეკლია. ასე ასწავლიდან ფსევდოდიონისე არეოპაგელი და ეს სიმბოლო აირჩია თავისი სამოსის უმთავრეს სახედ ასი წლით ადრე მეფე **ანრი II-მ**. მეფის პიროვნებაში უნდა გაერთიანებულიყო და ერთმანეთს დაკავშირებოდა ზეციური და ამქვეყნიური წესრიგი — მეფე ყველა მოკვდავის თავს ზემოთ ამაღლდა. ამ ადგილის მოსაპოვებლად ადრე მხოლოდ ყველაზე გამოჩენილი აბატები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რაც შეეხება სამეფო გვირგვინს, იგი დაკბილულ ოქროს რგოლს წარმოადგენდა და, როგორც სუგერიუსი განმარტავს, მისი ყოველი კბილი ერთი რომელიმე ფეოდის სიმბოლო იყო. ამგვარად გვირგვინის იდეა სამეფოს ყველა ცალკეულ პროვინციას აერთიანებდა. როდესაც მეფე არეოპაგიტული იერარქიის მწვერვალზე ადის და ამ გვირგვინს იდგამს თავზე, ამ ჟესტით ის ადასტურებს, რომ მთელ საფრანგეთში მშვიდობისა და წესრიგის მცველის მისია აკისრია.

ეს საყოველთაო მშვიდობა ლუი VII-მ სუასონში გამოაცხადა 1155 წელს ათი წლის ვადით. მეფემ განმარტა, რომ ამ მშვიდობას აცხადებს საეკლესიო მრევლის თხოვნითა და ბარონების რჩევით, რათა ბოროტთა რისხვა აილაგმოს და მძარცველთა ძალადობა შეწყდეს. სუასონში შეიკრიბნენ, რეიმსის მთავარეპისკოპოსი, სანსის მთავარეპისკოპოსი, მათი ქორეპისკოპოსები და უდიდესი მონასტრების აბატები. ყოველმა მათგანმა ერთმანეთის მიყოლებით დაიფიცა, რომ მშვიდობას დაიცავდა. სამღვდელოთა შემდეგ იგივე ფიცი დადეს ბურგუნდიის ჰერცოგმა, ფლანდრიის გრაფმა, შამპანის გრაფმა, ნევერის გრაფმა და სხვებმა. ყველაზე ბოლოს კი თვით მეფემ დაიფიცა: "კრებულისა და თითოეული თქვენგანის წინაშე ჩვენ ვიძლევით სამეფო სიტყვას და ვაცხადებთ, რომ ურყევად დავიცავთ ამ მშვიდობას და ჩვენი ძალაუფლების შესაფერისად დავსჯით ყველას, ვინც ამ ხელშეკრულებას დაარღვევს".

მსგავსი ხელშეკრულებები ორასი წლით ადრეც ყოფილა, მაგრამ ახლა უკვე მშვიდობის გარანტად მხოლოდ ეპისკოპოსები არ გამოდიოდნენ. ახლა მშვიდობის დაცვა მეფესა და მის ვასალებს ევალებოდათ. მიუხედავად გარეგნული უნებისყოფობისა და ხასიათის სირბილისა, ლუი VII-მ მოახერხა საერო ხელისუფლების გათავისუფლება ეკლესიის მკლავებისაგან. იქნებ ამიტომაც აჭარბებდნენ მატიანეები მისი სისუსტეების აღწერისას — ქრონიკებს ხომ იმ ეპოქაში მხოლოდ ბერები წერდნენ.


ლუი VII ბერნარისგან იღებს ჯვარს

***ნოდარ ლადარია***
***ლეილა ბეზარაშვილი***

# როკოკო


მადონა

არ გაგიკვირდეთ, თუ ამ ზაფხულს ქალებმა პარიკების ტარება დაიწყეს - პოპის დედოფალ მადონას საკუთარი გემოვნების მთელი მსოფლიოსთვის თავს მოხვევის გასაოცარი ნიჭი აქვს. 2004 წლის ტურნესთვის Re-Invention მან ახალი სტილი შექმნა - ეროტიკული როკოკო.

24 მაისს ორი შვილის დედა და ბოლო დროს "წესიერი გოგო" ლოს ანჯელესში მსოფლიო ტურნეს დაიწყებს. მისი თაყვანისმცემლები სულმოუთქმელად ელიან სკანდალური ვარსკვლავის ახალ გამოხდომებს. ბრიტნი სპირსის "აწყვეტის" შემდეგ სავარაუდოა, მადონამ მსოფლიოს უჩვენოს, რომ სინამდვილეში პროვოკაციული ეროტიკის ყადრი სწორედ მას - 45 წლის მადონას ესმის.

ჭორი კი უკვე ათასგვარი ვრცელდება. ამას ბიძგი მადონას მიერ გაკეთებულმა განცხადებამაც მისცა - ის ეძებს მომღერლებს, რომლებიც თანახმა არიან, თმა შეიჭრან ან, სულ მცირე, ვარცხნილობა კარდინალურად შეიცვალონ. ნეტავ, რას უპირებს მათ მადონა - პარიკების დამხობას?

# ლაიფციგის რეკორდი

გასულ ხუთშაბათს გახსნილ ლაიფციგის წიგნის ბაზრობაში 30 ქვეყნიდან ჩასულმა 2084 გამომცემელმა მიიღო მონაწილეობა. საგამოფენო სივრცე 44 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. წლევანდელი ბაზრობის მასშტაბი, გასულ წელთან შედარებით, ცხრა პროცენტითაა გაზრდილი. ბაზრობის ახალი ხელმძღვანელი ვოლფგანგ მარცინი გახსნისთანავე ვარაუდობდა, რომ დამთვალიერებელთა რაოდენობა 100 ათასს გადააჭარბებდა.

გახსნის ცერემონიაზე არცთუ სასიამოვნო ინციდენტიც მოხდა: გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა სალომონ კორნმა, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა. ეს დემონსტრაციული ქმედება მან იმით ახსნა, რომ ლატვიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამჟამინდელმა ევროგაერთიანების კომისარმა, სანდრა კალნიეტემ თავის მისასალმებელ სიტყვაში ნაციონალ-სოციალიზმი და კომუნიზმი ერთ დონეზე დააყენა, რაც ბატონმა კორნმა, ლამის, პირად შეურაცხყოფად მიიჩნია.

წლევანდელი ბაზრობა ძირითად აქცენტს აკეთებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურაზე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ საბავშვო და საყმაწვილო წიგნებსაც, ძირითადად - კომიქსის ხასიათისას. 160-ზე მეტ ადგილას წელს 1200-ზე მეტი საჯარო კითხვა გაიმართა.

"წიგნების საგაზაფხულო დღესასწაულმა" გამომცემლებსა და წიგნით მოვაჭრეებს დიდი სიხარული მოუტანა - წიგნის მიმართ ინტერესი აშკარად გაიზარდა, რაც, თავისთავად, შემოსავლის ზრდის მაუწყებელია. გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანების ხელმძღვანელი დიტერ შომანი ვარაუდობს, რომ წელს მათი შემოსავალი ოთხი პროცენტით გაიზრდება.

ავტორებისთვისაც და მკითხველებისთვისაც ბაზრობა ნამდვილი დღესასწაული იყო. მთელ ევროპაში ცნობილი პროგრამა "ლაიფციგი კითხულობს" წელს მეორე პროგრამით განივრცო - "ლაიფციგი ისმენს". "ოჯახური შეხვედრები", "წიგნის წვეულებები" და საყვარელ ლიტერატორებთან ერთად საღამოების გატარების პერსპექტივა უამრავ ადამიანს იზიდავდა. დარბაზებში იმდენად ბევრი მნახველი დადიოდა, რომ ზოგჯერ საცობებიც კი წარმოიქმნებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, ორგანიზატორებს მომავალი წლის ბაზრობისთვის საგამოფენო სივრცის გაზრდა მოუწევთ.

# პირველად აუქციონზე


კურტ კობეინი

ელექტროგიტარა Mosrite Gospel Mark IV, რომელიც ერთ დროს კურტ კობეინის კუთვნილება იყო, 17 აპრილს ტეხასში დაწყებულ აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი ყოველწლიურ, რიგით 27-ე გიტარის შოუს ფარგლებში გაიმართება.

ეს გიტარა, საკულტო "ნირვანას" ლიდერის პირველი ინსტრუმენტია, რომელიც აუქციონზე მოხვდა საერთოდ. გიტარა საგანგებოდ ცაცია მუსიკოსისთვის არის დამზადებული. კობეინმა ის 1990 წელს შეიძინა, ორი წლის შემდეგ კი გაყიდა. ინსტრუმენტზე კარგად იკითხება წარწერა - NIRVANA და F*** Elvis, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტრუმენტს "ნირვანას" ფანებისთვის. არ ამოეფხაჭნა კობეინს ეს ორი სიტყვა, ეს გიტარა, ალბათ, არც არავის ინტერესს არ გამოიწვევდა. ახლა კი, ის ნამდვილი სამუზეუმო ექსპონატია.

აუქციონზე, ასევე, წარმოდგენილი იქნება როჯერ მაკქუინის, ჯეიმს ჯეიმერსონის გიტარები და ერთ დროს ელტონ ჯონის კუთვნილი ფორტეპიანო. სწორედ ამ უკანასკნელზე დაიწერა პოპულარული ბრიტანელი მუსიკოსის ჰიტები: Your Song და Tiny Dancer; თავად ინსტრუმენტი კი გამოსახულია ელტონ ჯონის ალბომის Empty Sky-ის ამერიკული ვერსიის გარეკანზე.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

31 მარტი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.30** "ტელეღიპუცები" **18.20** არჩევნები-2004 **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "დოგვილი". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი, სტელან სკარსგაარდი.

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა) **13.00,** 16.05(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00,** 23.35(ფრანს2) **01.00,** 02.50(შვეიცარია) 03.20(აფრიკა) **05.25** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.10, 20.00, 23.00** საინფორმაციო გამოშვებები **09.30** ტელედილა. **11.20** კლიენტი გოგო. მხ. ფილმი. **14.20** ევროპის ახალი სახეები. **17.30** აკუსტიკა. **19.30** ციფრები და ასოები. 22. 30 კითხვები ჩემპიონისთვის. 02. 05 ეცრანს მიპყრობილი მზერა. **03.30** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **06.50** სამხრეთის ანარეკლი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "ლურჯი ფრინველი" **11.15** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" **14.40** თქვენი უფლებები **15.15** მხ. ფილმი "შურისმაძიებლები-თამაში ორისათვის" **16.45** მღერის ეთერ კაკულია **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ენერგია **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** მათი შვილები **23.30** მხ. ფილმი "ოსტატის შეხება"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "ოთხი ოთახი". მთ.რ-ში ტიმ როტი, ანტონიო ბანდერასი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "მისი თამაში" მთ.რ-ში დენზელ ვაშინგტონი, მილა იოვოვიჩი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "სამი ფერი წითელი" (ირენ ჟაკობი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "მულენ რუჟი" (ნიკოლ კიდმანი)

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.35** კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 5-6 ს. **20.55** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "გამოაღეთ ფანჯრები"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "იმპერია" **13.30** მხ. ფილმი "სახიფათო ჩაძირვა" **15.00** მხ. ფილმი "იურული პერიოდის პარკი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "პაროლი ხმალთევზა" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "შთამომავლობა" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.20** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** ლარის მახე **14.05** სერიალი "შტოკინგერი" **15.15** მხ. ფილმი "მკვლელი ჩვენს შორისაა" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "თენდება გვიან" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "შიშველი მახა" (ა. სანჩერი)

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.30, 17.50, 19.35, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ყოვლისშემძლე ბრიუსი" **13.15** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **14.50** ევროპის სტადიონებზე **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზურგის ქარი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ქართ. ფილმი "ფესვები" **01.00** მხ. ფილმი "შიშველი იარაღი"

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია "საკალათბურთო ციებ-ცხელება" **10.55** მუსიკა **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10** "პოზიცია" **13.00, 17.00, 19.00, 23.00, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **13.10** "პოზიცია" (გაგრძ.) **14.10** ფანტასტიკა "უცხოპლანეტელებზე მონადირე" **15.40** მუსიკა **16.10** მულტფილმი "პიტერ პენი 2" **17.35** კომედია "პოკროვის ალაყაფის კარი" **18.45, 03.00** მუსიკა **19.10** დოკუმენტური ფილმი **20.10** მხ. ფილმი "საზიზღარი კოიოტი" **22.00** "ხედვა" **23.30** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** დრამა "ომი" **03.30** მხ. ფილმი "იუბილარი" **05.00** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20 Сериал "Клон" 12.20** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20 Комедия "Призрак замка Моррисвиль" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.25** "Просто смех!" **20.00 Футбол. Товарищеский матч. Сб. Болгарии - сб. России 22.00, 00.30** "Время" **23.40** "Тайны века". "Взрыв на линкоре" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "Природа вещей" **01.40** "50 героев "Формулы власти" **02.10** "Цирковые династии" **02.40 Комедия "Отель "Парадиз" 04.20 Сериал "Мертвая зона"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Небо и земля" 10.50** "Короткое замыкание" **11.45, 14.50, 17.30, 01.20** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50, 00.20 Сериал "Пан или пропал" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Детектив "Пуаро Агаты Кристи" 18.10 Сериал "Крот" 19.05 Сериал "Комиссар Рекс" 20.00 Сериал "Закон" 21.50** Спокойной ночи, малыши! **23.00** "Как "добивали" Хрущева". Фильм 2 **00.00** Вести+ **01.30 Худ.фильм "Америкэн бой" 03.55** Дорожный патруль **04.10** Агентство одиноких сердец **04.35 Сериал "Арабский принц"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45 Сериал "Медовый месяц" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок": Н. Фоменко - А. Турчин **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Нежный возраст" 15.15** Мультфильмы "Каникулы Бонифация" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики: Экспедитор", 3 с. 19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Литовский транзит", 7 с. 21.50 Сериал "Медовый месяц", 3 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45** Док.фильм "Почти смешная история" **00.55 Сериал "Литовский транзит"**

# ირლანდიელები აღარ ეწევიან



ირლანდია პირველი ევროპული ქვეყანაა, სადაც სამუშაო ადგილებში, ბარებსა და რესტორნებში სიგარეტის მოწევა აიკრძალა. უკანასკნელი მონაცემებით, ირლანდიაში მწეველთა რაოდენობა 1998 წლიდან 31 პროცენტით შემცირდა და საერთო მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდა. ამასთან, ირლანდიაში მიიჩნევენ, რომ თამბაქოს გამო, ქვეყანაში ყოველწლიურად, დაახლოებით, 7 ათასი ადამიანი იღუპება. განაწყენებული მწეველი ირლანდიელები აპროტესტებენ გადაწყვეტილებას და ამბობენ, რომ სამართლიანი იქნებოდა, მათთვის ბარ-რესტორნები მაინც დაეტოვებინათ.

სრულიად შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში, ირლანდიის მიბაძვით, სხვა ქვეყნებმაც, "დომინოს პრინციპით", საკუთარ ტერიტორიაზე იგივე წესები დაამკვიდრონ. ამის საფუძველი კი არსებობს. მაგალითად, ჰოლანდიის კანონმდებლობა მოწევას კრძალავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის, რკინიგზის სადგურებზე, მატარებლებში, ტუალეტებსა და ოფისებში. სასტუმროებში, ბარებსა და რესტორნებში კი 2005 წლამდე მოწევა ნებადართულია.

# სისხლიანი აისბერგი



სკანდალურად ცნობილმა, დანიაში მცხოვრებმა წარმოშობით ჩილელმა მხატვარმა მარკო ევარისტმა კიდევ ერთხელ მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. მისი წყალობით, გრენლანდიის დასავლეთში მდებარე ერთ-ერთი აისბერგი წითლად გამოიყურება.

"ჩვენ ყველამ უნდა გავაფერადოთ ჩვენი დედა-ბუნება, იმიტომ, რომ ის ჩვენი საკუთრებაა. ეს ჩემი აისბერგია, მე მეკუთვნის", - ამბობს მხატვარი.

900 კვადრატული მეტრის მოედნის შეღებვას მხატვარმა ორი საათი და სამი ათასი ლიტრი საღებავი მოანდომა; მას, ასევე, დასჭირდა სამი სახანძრო მანქანის რეზინის მილი და ოცი ასისტენტი. მარკო ევარისტს მუშაობა მოუწია მინუს 23 გრადუს ტემპერატურაში.

გრენლანდიის ხელისუფლება, ჯერჯერობით, არ რეაგირებს "თავხედი" მხატვრის ნამოქმედარზე.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

# მკვდარი ცხოველების სანაცვლოდ

კალიფორნიული კომპანია Genetic Savings & Clone-ის ახალი პროექტი, შესაძლოა, ერთგვარ ნუგეშად იქცეს იმ ადამიანებისთვის, რომელთაც საყვარელი შინაური ცხოველების გარდაუვალ სიკვდილზე ფიქრი აფრთხობთ. ეს კომპანია მათ საყვარელი არსებების გენეტიკურ ასლებს სთავაზობს.

უახლოეს მომავალში კომპანია ცხრა კატის კლონირებას გეგმავს. ექვსი მას გასაყიდად სჭირდება, სამს კი - საგამოფენოდ შეინახავს.

ცხოველთა დნმ-ს ასლების დამზადება მათი სიკვდილისთანავე უნდა მოხდეს, სხვა შემთხვევაში კლონირება შეუძლებელია. კომპანია ამაყობს, რომ ამ დროისათვის რამდენიმე ასეული კლიენტი ჰყავს, მიღებული აქვს შეკვეთა ოთხ კატაზე. პროცედურა 50 ათას ამერიკულ დოლარადაა შეფასებული. კომპანიაში ამჟამად ძაღლების კლონირებაზე მუშაობენ.



საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"
წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

*5, 12,19, 26 აპრილი*
*"თავისუფალი თეატრი"*
*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



## ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კოლეჯის ხელშეკრულებით (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები
თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი
ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67
ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთ სტუდენტს ექნება საშუალება უფასოდ მიიღოს განათლება.

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა

ლონდონში

## საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებს ვაკანსიას პრეს-მდივნის თანამდებობაზე

მსურველებს შეუძლიათ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და რეკომენდაციის

**წერილები გამოაგზავნონ შემდეგ ფაქსზე: 95 52 09. დაინტერესების შემთხვევაში დაგიკავშირდებათ ორგანიზაციის ადმინისტრაცია და მიგიწვევთ გასაუბრებაზე.**

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ღ.ჭანაძის N70 ტელ:29-48-61







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.